

აფეთქება დესტაბილიზაციის მიზნით A3



პრესომბუდსმენი A3



სახალხო დამცველის საპასუხოდ A4

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 26 აპრილი, 2006 წელი. №89 (1241) | ფასი 50 თეთრი

## რევიუ

### საალდგომო სატელევიზიო მაუწყებლობა

თითქოს პოლიტიკურმა ცხოვრებამ აზრი დაკარგა მას შემდეგ, რაც ოპოზიცია და უმრავლესობა გაიბუტა. შეწყდა კამათი, დებატები, ღია დაპირისპირება და ა.შ. ამიტომ ჩვენი სატელევიზიო ყუთების ცისფერი ეკრანიც განაცრისფრდა და უინტერესო გახდა.

A7





ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს:
http://www.iwpr.net/sub-form.html

A5

„ბრიტანეთის ავიახაზების„ და „24 საათის„ ერთობლივი ვიქტორინა

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 26/04 | 27/04 |
|---|---|---|
| თბილისი | 13 | 18 |
| ტყიბული | 2 | 8 |
| სოხუმი | 8 | 9 |
| დმანისი | 0 | 1 |
| გორი | 5 | 8 |
| ონი | -5 | 2 |
| ზუგდიდი | 7 | 11 |
| ახმეტა | 13 | 18 |
| გაგრა | 11 | 10 |
| სამტრედია | 3 | 11 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8160 |
| ევრო | 2.2511 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2220 |
| რუბლი | 0.0662 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
პროექტი A 5
სპორტი A 6
რევიუ A 7
სხვადასხვა A 8

# „ვატერლოოს" მოლოდინში

კვლავ ბოიკოტი, ნგრევის პირას მყოფი შენობა და გალში დახურული ქართული სკოლები...

გიორგი ასანიშვილი

ოპოზიცია ხელისუფლების მიმართ წაყენებული მოთხოვნების "ინტერნაციონალიზაციას" ცდილობს. მისი ლიდერები გასულ პარასკევს ევროკავშირის "ტროიკის" წევრებს შეხვდნენ და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ საკუთარი თვალთახედვა გააცნეს, გუშინ კი ფრაქცია "დემოკრატიულმა ფრონტმა" საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები პარლამენტში მიიწვია და ის მემორანდუმი გადასცა, რომლის საფუძველზეც ოპოზიცია პლენარულ სხდომებს ბოიკოტს უცხადებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ვინ იყიდის 450 საწარმოს აქციებს?

კახა ბენდუქიძე "წითელი დირექტორების" წინააღმდეგ

**B**

**ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ანგლო-საქსონურ სისტემებში სახელმწიფო, ტრადიციულად, მინიმალური ხარისხით ერევა ეკონომიკაში, ხოლო სახელმწიფო ქონებაზე დამყარებული საწარმოების შექმნა იქ მეტად უმნიშვნელო წილით ხდება. ევროპულ სახელმწიფოებში, მათ შორის - გერმანიაში, სახელმწიფოს ყოველთვის ძლიერი როლი ჰქონდა და ბევრი საწარმო სახელმწიფოს საკუთრებაში იყო. იაპონური ფენომენის მთავარი ხიბლია გადაწყვეტილებათა ეფექტურობა - შეზღუდვათა მინიმუმი და ქცევის ვარიანტების დიდი მასშტაბი. იაპონელები ფართოდ იყენებენ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიულ პროცესს, როცა გადაწყვეტილების მიღებაში ყველა მონაწილეობს და ნებისმიერი ალტერნატივა განიხილება.**



## სიახლე "24 საათში"

© გაზეთი 24 საათი

# Weekend

### ყოველ შაბათს, შაბათ-კვირის საკითხავი

- შაბათის სტუმარი
- დათო მაღრაძის "დედაქალაქი"
- ქეთევან იგნატოვას "გულახდილად"
- დიზაინი, მოდა, სტილი
- ელიტარული ქრონიკა
- ნოდარ ლადარიას "დროთა კავშირი"
- თავშესაქცევი ამბები
- ფოტონარკვევი
- პორტრეტი
- მეცნიერება და ტექნიკა
- ავტომობილი
- ბესტსელერი
- დეტექტივი, ფანტასტიკა
- კროსვორდები, თავსატეხები, კომიქსები

## კიდევ ერთი სიახლე "24 საათში"

24 საათი

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

1 მაისიდან ყოველდღიური სპორტული ბლოკი

# ლიტერატურული პრემია "საბა 2006"

A7



## აფხაზები „ზარალს" ითვლიან

სოხუმი თბილისისგან ომის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს. როგორც აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ "ინტერპრესნიუსთან" საუბრისას განაცხადა, აფხაზეთისთვის ომის და მის შემდგომ პერიოდში მიყენებულ ზარალს, "პრეზიდენტ" ბაგაფშის დავალებით, აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტრო დათვლის, რის შემდეგაც აფხაზური მხარე საქართველოსგან ზარალის ანაზღაურებას ყველა დონეზე მოითხოვს.

"ვის ვისი ჰმართებს მართლაც გასარკვევია", - აღნიშნა შამბამ, რომლის ინფორმაციით, ქართული მხარის მიერ აფხაზეთისთვის მიყენებული ზარალი 1994 წლის მონაცემებით 13 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

შამბას თქმით, დღეისთვის თანხა შესაძლოა, გაცილებით მეტი აღმოჩნდეს, ვინაიდან აფხაზი ეკონომისტები იმის დათვლასაც გეგმავენ, თუ რა ზარალი მიაყენა აფხაზეთის ეკონომიკას საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა ეკონომიკურმა და საკომუნიკაციო ბლოკადამ.

სოხუმის ხელისუფლების საგარეო უწყების ხელმძღვანელის თქმით, აფხაზურმა მხარემ საქართველოს მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე ფიქრი მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს პარლამენტმა რუსეთისგან კომპენსაციის მოთხოვნის საკითხის დაყენება გადაწყვიტა.

სერგეი შამბასთვის ასევე გაუგებარია, რა საჭირო იყო დევნილთა სახლებისთვის კოსმოსიდან სურათების გადაღება გაუგებარია. მისი განცხადებით, 2005 წელს დანიის ლტოლვილთა საბჭომ აფხაზეთში აღწერა და აღრიცხვაზე აიყვანა თითოეული დევნილის სახლი.

"უკეთესი იქნებოდა, ეს 2 მილიონი ლარი გაჭირვებული დევნილებისთვის გადაეცათ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ თანხებს ვიღაც მიითვისებს", - დასძინა დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა.

## „ჰამასი" და სუდანი ალ-ქაიდას წინააღმდეგ

სუდანის ხელისუფლებამ და დაჯგუფება "ჰამასმა" გააკეთეს განცხადება, რომლითაც მათ უარი თქვეს უსამა ბინ ლადენის მოწოდებაზე, მონაწილეობა მიიღონ დასავლეთის წინააღმდეგ გამოცხადებულ ჯიჰადში.

კვირას, არაბულმა ტელეკომპანია "ალ-ჯაზირამ" ალ-ქაიდას ლიდერის განცხადება გაავრცელა, რომელშიც მან პალესტინის იზოლირების მცდელობაში დასავლეთი დაადანაშაულა და ბრალი ისლამის წინააღმდეგ წარმოებულ ომში დასდო.

ბინ ლადენის მტკიცებით, ერაყსა და საუდის არაბეთში მიმდინარე პროცესები ცხადყოფენ, რომ "ისლამის წინააღმდეგ სიონისტური ჯვაროსნული ლაშქრობა მიმდინარეობს".

აშშ-ის სადაზვერვო სამსახურები თვლიან, რომ "ალ-ჯაზირას" მიერ გავრცელებული აუდიოჩანაწერი მართლაც უსამა ბინ ლადენს ეკუთვნის.

თეთრი სახლის ინფორმაციით, ალ-ქაიდას ლიდერის უკანასკნელი განცხადება იანვრის შემდეგ პირველია და ეს ცხადყოფს, რომ იგი "იმალება და მას წნევა აწუხებს". ბინ ლადენმა მუსლიმ ბოევიკებს დასავლეთ დარფუნში "მძარცველი ჯვაროსნების წინააღმდეგ ხანძლივი ომისათვის მზადებისაკენ" მოუწოდა.

"ჩვენი ამოცანაა დავიცვათ არა ხართუმის ხელისუფლება, არამედ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მუსლიმი ერები", - განაცხადა ბინ ლადენმა.

ოპოზიცია აშშ-ს ხელისუფლებას ადანაშაულებს, რომ ბინ ლადენი ჯერ არ დაუკავებიათ. "ამის ერთ-ერთი მიზეზი იმაშია, რომ ჩვენი საქმეები ერაყში კარგად არ მიდის", - განაცხადა კონგრესმენმა დემოკრატიული პარტიიდან ჯეინ ჰარმანმა. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ჯონ კერი ასევე მიიჩნევს, რომ აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა თანამდებობა უნდა დატოვოს.

სუდანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბინ ლადენის განცხადებებთან ყოველგვარი კავშირი უარყო. ჰამასის მხარდამჭერი განცხადების მიუხედავად, ჰამასის ოფიციალურმა წარმომადგენელმა სამი აბუ ზუჰრიმ სააგენტო "როიტერს"-ს განუცხადა, რომ "ჰამასი დასავლეთთან კარგი ურთიერთობების დამყარებაშია დაინტერესებული".

"ჩვენ მოვუწოდებთ დასავლეთს, გადახედოს თავის დამოკიდებულებას პალესტინასთან და საერთოდ მუსლიმებთან", - აღნიშნა აბუ ზუჰრიმ. **24 საათი**

## თავისუფალი სიტყვა

FM უცნობი 92.0

**გადაცემა გადის რადიო "უცნობის" ეთერში ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემას უძღვება ჟურნალისტი ირაკლი იმნაიშვილი.**

**ირაკლი იმნაიშვილი:** ჩვენი გადაცემის თემაა ბრწყინვალე შვიდეული, ღვთაებრივი ცეცხლი. ჩვენთან სტუმრადაა ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსი დიმიტრი.

**მთავარეპისკოპოსი დიმიტრი:** ქრისტე აღსდგა!

**ირაკლი იმნაიშვილი:** ჭეშმარიტად! თქვენ ჩამოიტანეთ ღვთაებრივი ცეცხლი. დელეგაცია ყოველ წელს ჩადის იერუსალიმში, წმინდა მიწაზე. წელს იქ თქვენც ბრძანდებოდით, ჩამოიტანეთ ღვთაებრივი ცეცხლი. როგორც სამებაში მყოფებმა შევიტყვეთ პატრიარქის ქადაგებიდან, ტრანსპორტირების დროს იყო გარკვეული პრობლემები. ეშმაკს შეშურდა – ბრძანა უწმინდესმა.

**მთავარეპისკოპოსი დიმიტრი:** მე მხვდა ეგ ბედნიერება წილად. წელს გახლდით იერუსალიმში, ძალიან მრავალრიცხოვანი დელეგაცია იყო, სულ ორიათასამდე კაცი მთელი ამ ერთი კვირის მანძილზე. სულ ემატებოდა და ემატებოდა... და, ღვთის მადლით, გადმოვიდა ეს ღვთაებრივი ცეცხლი და ჩამოვიტანეთ თბილისში. იყო რაღაც უსიამოვნება გზაში, მაგრამ ღვთის მადლით, ყველაფერი კარგად დასრულდა. როგორც აგვიხსნეს, იყო რაღაც მაგნიტური ველი, იერუსალიმიდან რომ ავფრინდით, დაახლოებით 15-20 წუთის შემდეგ თვითმფრინავმა დაიწყო ვარდნა. მგზავრობის დიდი ნაწილის დროს დაისადგურა პანიკამ. და იქ იყო ერთი პატარა ქალბატონი ანა, 9 წლის, რომელმაც დაიწყო გალობა, სხვებისგან განსხვავებით. და მერე ვამბობდით, ამ გალობამ გადაგვარჩინა.

**ირაკლი იმნაიშვილი:** წმინდა მიწაზე ჩასვლის დროს თავს მაინც გრძნობ სტუმრად. რამდემინე საუკუნის წინ იყო დრო, როცა ქართველებს იქ ჰქონდათ ძალიან ბევრი ეკლესია-მონასტერი. თუმცა წელს უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯი. გაჩნდა პირველი, ახალი.

**მთავარეპისკოპოსი დიმიტრი:** ღვთის მადლით, აღარ ვგრძნობთ თავს სტუმრებად, რამეთუ რამდენიმე წლის წინ აწ განსვენებულმა ცნობილმა ბიზნესმენმა, ბატონმა მამუკა ჯინჭარაძემ შეიძინა ბეთლემში, შობის ტაძრის მახლობლად, ორასიოდე მეტრში სახლი, სადაც გაიხსნა წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი. და ამჟამად იქ რამდენიმე მონაზონი ცხოვრობს. და იქვე, მახლობლად, არის შესაძლებლობა ნაკვეთის შეძენის, სადაც ტაძარი აშენდება. ამჟამად მხოლოდ სახლი გვაქვს, და ჩვეულებრივი მონასტრული ცხოვრებით ცხოვრობენ დედები. ნაკვეთის შეძენა დაახლოებით 250-300 ათას დოლარად არის შესაძლებელი. მინდა ეს ჩვენი საქმიანი წრეების გასაგონად ვთქვა, რადგან ეს ძალიან დიდი შესაძლებლობაა. თუ ეს ადამიანები სულის ცხონებაზე არ ფიქრობენ, ოქროს ასოებით ხომ შევლენ ისტორიაში. ავაშენებთ პატარა ტაძარს მონასტრის მახლობლად, რომელიც 99 წლით შევიძინეთ, და იქვე აშენდება პატარა სასტუმრო მომლოცველებისათვის, პილიგრიმებისათვის. ჩვენ იქ უკვე გველიან. ეს ადგილია, სადაც ყველაზე მეტად ელიან ქართველებს. ეს არის ადგილი, სადაც უხარიათ ჩვენი მისვლა და ლოცულობენ საქართველოსა და ქართველებისათვის. ქართველები კვლავ იბრუნებენ ადგილს წმინდა მიწაზე, რომელიც მათ ჰქონდათ. მინდა მცირე ექსკურსი გავაკეთო წმინდა მიწის შესახებ. ქართველებს ყოველთვის ჰქონდათ ლტოლვა წმინდა მიწაზე ჩასვლისა და ცხოვრებისა. ამას მოწმობს ის მონასტრები, რომლებსაც ქართველები აშენებდნენ. დაახლოებით ოცამდე მონასტერია ცნობილი, რასაც ქართველები აშენებდნენ. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ცნობილი ჯვრის მონასტერი. იყო კიდევ იაკობის მონასტერი. ეს მონასტერია, სადაც ცხოვრობდა უფლის ხორციელი ძმა, იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი, იოსების შვილი იაკობი. იოსებს სხვა შვილებიც ჰყავდა. მაგრამ საინტერესოა ერთი გარემოება – როდესაც მემკვიდრეობის განაწილება ხდებოდა, იაკობი ერთადერთი იყო, ვინც თავისი წილი დაუთმო უფალს. ამიტომ იაკობი ერთადერთია, რომელიც უფლის ძმად იწოდება. ის, სადაც ცხოვრობდა იოსების ოჯახი, ქართული მონასტერი გახდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მე-17 საუკუნეში ჩვენ დავკარგეთ ეს მონასტერი. ჯვრის მონასტერი – უფრო მოგვიანებით. და ამჟამად იქ არის მოთავსებული სომეხთა იერუსალიმის საპატრიარქო.

**ირაკლი იმნაიშვილი:** იაკობის მონასტერში.... ჯვრის მონასტერში ბერძნები არიან. და წარწერებიც ნელ-ნელა ქრება, როგორც მე ვიცი...

**მთავარეპისკოპოსი დიმიტრი:** სამწუხაროდ...

# „ვატერლოოს" მოლოდინში

პირველი გვერდიდან



მიხეილ მაჭავარიანის აზრით, "მრეწველებთან" კონსულტაციები შედეგიანი იყო.

ივანე ლომთათიძის ფოტო

დახურულ კარს მიღმა გამართული 45-წუთიანი შეხვედრის დასრულების შემდეგ, საზღვარგარეთის საელჩოების წარმომადგენლებს მასმედიასთან კომენტარი არ გაუკეთებიათ, ოპოზიციონერი დეპუტატები კი არ მალავდნენ, რომ დიპლომატიურ კორპუსთან დიალოგით კმაყოფილები დარჩნენ.

**"ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ჩემთვის მოულოდნელიც კი აღმოჩნდა, ელჩებმა ასეთი დაინტერესება რომ გამოხატეს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბარში ოპოზიციური ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ კობა დავითაშვილმა. იგი მადლობას უხდის უცხოელ დიპლომატებს იმისთვის, რომ, ცალკეულ შემთხვევებში, საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს ხელისუფლების ქმედებებს მკაცრ შეფასებებს აძლევს. დავითაშვილის თქმით, ასეთ ფაქტს, კერძოდ, ადგილი ჰქონდა ნატო-ში, სადაც ოფიციალური თბილისი გააფრთხილეს, რომ აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარება. ანალოგიური ტონი შეიმჩნეოდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის განცხადებაშიც, რომელშიც საუბარი იყო იმაზე, რომ საქართველო ავტორიტარულ სახელმწიფოდ არ უნდა ჩამოყალიბდეს...

უცხოელ დიპლომატებთან შეხვედრას დადებით შეფასებას აძლევს "რესპუბლიკელთა" ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილიც. **"უცხოელებმა უნდა იცოდნენ, თუ რატომ მოხდა, რომ ქვეყანამ, რომელსაც ძალიან სერიოზული წარმატების მიღწევის შანსი ჰქონდა, ისეთი ნაბიჯები გადადგა, რის შემდეგაც ქვეყანაში, ფაქტობრივად, ერთპარტიული მმართველობა დამყარდა. მსოფლიომ უნდა გაიგოს, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ვარდების რევოლუციის იდეალებს უღალატა,"** - საკმაოდ კატეგორიულია ბერძენიშვილი.

ვიდრე ოპოზიცია საერთაშორისო მხარდაჭერის მოლოდინშია, პარლამენტის ხელმძღვანელობა მისი შემორიგების გზებს ეძებს. უმრავლესობას ესმის, რომ მიზანს მხოლოდ მაშინ მიაღწევს, თუ ოპოზიციის ერთიანობას შეარყევს. ერთი შეხედვით, ეს არც თუ ისე ძნელია, რადგან ხელისუფლების პოლიტიკურ ოპონენტებს შორის შიდა დაპირისპირება არსებობს. უმრავლესობა ვარაუდობს, რომ "მრეწველების" დაყოლიებას მოახერხებს და ზურაბ ტყემალაძის ფრაქციას სხდომათა დარბაზში დაბრუნებაზე დაითანხმებს. თუმცა, ამ მიზნის მიღწევა დღემდე ვერ ხერხდება. სახელისუფლებო გუნდი "მრეწველების" "უმადურობით" გაოცებულია.

**"კონსულტაციების დროს, რომელსაც ფინანსთა მინისტრიც ესწრებოდა, საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით ზურაბ ტყემალაძის მიერ გამოთქმული შენიშვნების 90 პროცენტი გავითვალისწინეთ. ამ შეხვედრებზე "მრეწველებმა" ახალი მოთხოვნები წამოაყენეს, რომელთა გასააზრებლად მთავრობამ გარკვეული დრო მოითხოვა,"** - აღნიშნა ბიუროს გუშინდელ სხდომაზე პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა. ამასთან დაკავშირებით, "მრეწველები" აცხადებენ, რომ ხელისუფლებამ მხოლოდ ტექნიკური ხასიათის შენიშვნები გაითვალისწინა და, ამდენად, ბოიკოტი კვლავაც გაგრძელდება.

თავის მხრივ, პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე ამტკიცებს, რომ პლენარულ სხდომებზე ოპოზიციის "შეტყუება" ხელისუფლების თვითმიზანი არ არის. **"როდესაც ოპოზიცია აცხადებს, რომ პარლამენტი ერთპარტიული გახდა, მან თავადაც უნდა მიიღოს ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად,"** - მიიჩნევს ნინო ბურჯანაძე. მისთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება სერიოზულმა პოლიტიკურმა ძალამ უარი თქვას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში მონაწილეობაზე, რომლებიც მიმდინარე კვირის პლენარული სხდომების დღის წესრიგშია შეტანილი.

შრომის კოდექსი, საბაჟო კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, - ეს ისეთი თემებია, რომელთა განხილვაც, თუნდაც ოპოზიციის გარეშე, მიხეილ მაჭავარიანის თქმით, "ნამდვილი ვატერლოო იქნება".

პოლიტიკური ვატერლოოს თავიდან აცილება ჯერ კიდევ არ არის გვიან, მაგრამ თუ გარკვეული ზომები არ იქნება მიღებული, პარლამენტში სხვა სახის კატაკლიზმაც არის მოსალოდნელი.

**"პარლამენტის შენობა, პრაქტიკულად, წყალზე დგას. საქმე შენობის გადარჩენა-არგადარჩენას ეხება,"** - შეშფოთებულია ნინო ბურჯანაძე. შექმნილი ფორსმაჟორული მდგომარეობის გამო, ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი აუცილებლად მიიჩნევს სარემონტო სამუშაოების სასწრაფოდ დაწყებას, რაც, თავის მხრივ, დედაქალაქისა და ცენტრალური მთავრობების მხრიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას საჭიროებს.

პოლიტიკური თუ სტიქიური საფრთხეების წინაშე მდგომ პარლამენტში სხვა სახის საშიშროებებზეც წუხან: გუშინ დეპუტატები აღშფოთებით საუბრობდნენ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც გალის რაიონის სკოლებში ქართული ენის სწავლების აკრძალვას ითვალისწინებს.

**"აფხაზეთში ქართველების ფიზიკური გენოციდი სულიერი გენოციდით იცვლება,"** - აცხადებს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი. ამასთან დაკავშირებით, პარლამენტი დღეს საგანგებო განცხადების მიღებას გეგმავს.

# ბრძოლა საარჩევნო სიების დასაზუსტებლად

ნათია მსხილაძე

*ამომრჩეველთა ერთიანი სიის მოწესრიგების პროცესში საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თანამშრომლობა პოლიტიკურ პარტიებს შესთავაზა. ამ მიზნით, ცესკო-ს თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი გუშინ კონსერვატიული, ლეიბორისტული, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების, "ახალი მემარჯვენეების", "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", "მრეწველებისა" და სალომე ზურაბიშვილის ორგანიზაციის – "საქართველოს გზის" წარმომადგენლებს შეხვდა.*



სიები კვლავ არაზუსტია!

ცესკო-ს თავმჯდომარემ გურამ ჩალაგაშვილმა, პარტიების წარმომადგენლებს თბილისის დიდუბის რაიონის N8 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა პირველადი სიები გადასცა.

ამ სიაში მყოფი 8103 ამომრჩევლის მისამართი დასაზუსტებელია, 500 მოქალაქის შემთხვევაში პირადობის მოწმობების ნომრების გაორება აღინიშნება, ანუ ერთი და იგივე ნომერი ორ მოქალაქეს აქვს მინიჭებული. სიაში მოხვედრილია მიცვალებულთა გვარებიც. სულ დიდუბის N8 საარჩევნო ოლქში 44 ათასამდე მოქალაქეა რეგისტრირებული.

გურამ ჩალაგაშვილის განცხადებით, პირადობის მოწმობების ნომრების გაორების პრობლემის გადაჭრაზე სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ზრუნავს. გაორებული ნომრების შეცვლა ერთ კვირაში ან ათ დღეში მოხდება. მისამართების დაზუსტებაზე საოლქო საარჩევნო კომისიები იმუშავებენ, ხოლო გარდაცვლილთა გვარებს სიებში პოლიტიკური პარტიები გადაამოწმებენ.

როგორც ცესკო-ში განმარტეს, ერთიანი სიის სრული კომპიუტერული ვერსია საოლქო კომისიებს მზად 10 ივლისისთვის ექნებათ.

ცესკო-ს თავმჯდომარემ პარტიების წარმომადგენლებს ხმის მიცემის ახლებური წესი გააცნო და დასძინა, რომ ხმის მიცემის პროცედურა ამჯერად უფრო გამარტივებულია და ფარულობა მეტადაა დაცული.

გარდა ამისა, გურამ ჩალაგაშვილმა ისაუბრა ამომრჩეველთა მარკირების საკითხზე. მისი თქმით, მარკირების პროცედურა ზედმეტ ხარჯთან არის დაკავშირებული. **"მარკირების ჩატარებას აზრი არ აქვს, რადგან მარკირების სითხის მოშორება შესაძლებელია სითხით, რომელიც ნებისმიერ აფთიაქში თავისუფლად იყიდება,"** -აღნიშნა ჩალაგაშვილმა.

როგორც შეხვედრაზე "კონსერვატორმა" კახა კუკავამ განაცხადა, იმისთვის, რომ ოპოზიციამ ამომრჩეველთა სიების გადამოწმება შეძლოს, საჭიროა კომისიამ სიაში ყოველი ახალი შესწორების შეტანისას, შესაბამისი სამართლებრივი აქტი გამოსცეს, სადაც ეს შესწორება იქნება მითითებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, კუკავას თქმით, სიების გადამოწმება შეუძლებელია.

მან ასევე არ გაიზიარა გურამ ჩალაგაშვილის პოზიცია ამომრჩევლის მარკირებასთან დაკავშირებით. მოქმედი კანონმდებლობით, ცესკო-ს ეკრძალება ამომრჩეველთა ერთიანი სიიდან საზღვარგარეთ გასული, საკონსულოს აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეების ამოღება.

# ქუთაისურ თვითმფრინავს საქართველოში მყიდველი არ გამოუჩნდა

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

ქუთაისის საავიაციო-ტექნიკური ქარხნის მორიგი პროდუქტი - ოთხადგილიანი თვითმფრინავი "მერკური" - საწარმოთა მართვის სააგენტომ აუქციონზე გასაყიდად ერთი თვის წინ გაიტანა. აუქციონზე განაცხადების შეტანის ვადა 24 აპრილს ისე ამოიწურა, რომ ქუთაისურ თვითმფრინავს მყიდველი არ გამოუჩნდა. "მერკურის" პირველ და უკანასკნელ მყიდველად ამ დრომდე საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტი რჩება, რომელმაც ქუთაისური თვითმფრინავი ორი წლის წინ 350 000 ამერიკულ დოლარად შეიძინა. "მერკურის" მეორე გამოშვების საწყისი ფასი აუქციონზე 140 000 დოლარით განისაზღვრა.

**"მეორე გამოშვება წინასთან შედარებით გაცილებით გაუმჯობესებულია. იგი მეტი მანევრირების საშუალებას იძლევა,"** - ამბობს საქართველოს სასაზღვრო ძალების მფრინავი ალიოშა ონიანი, რომელიც უკვე ორი წელია "მერკურის" პირველი გამოშვებით დაფრინავს.

**"პირველი გამოშვება რეალურად უფრო ძვირი დაჯდა, ამიტომაც უფრო მეტი ფასი ჰქონდა. შემდეგშიც, თუკი ჩვენი თვითმფრინავი ბაზარზე კარგად გავიდა, გაცილებით უფრო გაიაფდება, რადგან მისით შესაძლოა მომავალში კერძო ბიზნესმენებიც დაინტერესდნენ,"** - აცხადებს "24 საათთან" საუბარში გარი მამედოვი, ქუთაისის საავიაციო ქარხნის დირექტორის მოადგილე ექსპლუატაციის საკითხებში.

ოთხადგილიანი "მერკური" ორძრავიანია, 4 კმ-ის სიმაღლემდე დაფრინავს და სიჩქარე 300 კმ/სთ-ს შეადგენს.

**"იმისათვის, რომ ამ თვითმფრინავით ერთი საათის განმავლობაში იფრინოთ, მხოლოდ 65 დოლარის საწვავია საჭირო მაშინ, როცა ვერტმფრენს იგივე დროში 1200 დოლარის საწვავი სჭირდება,"** - აცხადებს ქარხნის დირექტორი ირაკლი კოხრეიძე.

**"ასეთ თვითმფრინავს სხვაგან ვერსად შეხვდებით. გარდა იმისა, რომ ის ძალიან ეკონომიურია, იგი ადვილად ახდენს მანევრირებასა და პატრულირებას,"** - ამბობს გარი მამედოვი.

"მერკურის" სამანევრო და საპატრულო შესაძლებლობების დასადასტურებლად საქართველოს სასაზღვრო ძალების თანამშრომლები იხსენებენ ცოტა ხნის წინ ფოთში მომხდარ ფაქტს, როცა ქუთაისურმა თვითმფრინავმა ზღვაში უკანონო თევზმჭერი თურქული გემი აღმოაჩინა.

**"ეს არის ორძრავიანი თვითმფრინავი, მაგრამ ერთი ძრავითაც შეუძლია ფრენა. ამასთან, მისი მართვა შეუძლია როგორც ერთ, ისე ორ მფრინავს. ამდენად, ამ თვითმფრინავის გამოყენება სასწავლო პროცესისთვისაც შეიძლება,"** - აცხადებს გარი მამედოვი.

როგორც ჩანს, სწორედ ამ ნიშნით აღმოჩნდა საინტერესო "მერკური" პეტერბურგის საავიაციო ინსტიტუტისთვის, რადგან ქუთაისური თვითმფრინავის რეალურ მყიდველად ქარხანაში სწორედ ამ ინსტიტუტს ასახელებენ, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც საქართველოში ამ თვითმფრინავს მყიდველი არც აუქციონზე გამოუჩნდა.

**"ჩვენ ხელშეკრულება გვაქვს "ავიატონთან" და სწორედ იგი შეისყიდის ჩვენს ამ თვითმფრინავს 140000 დოლარად,"** - აცხადებს ირაკლი კოხრეიძე.

"მერკური" "ავიატონისა" და ქუთაისის საავიაციო ქარხნის ერთობლივი პროდუქტია. რამდენიმე ათეული სასამართლო საქმის განხილვის შედეგად ამ ერთობლიობას ცოტა ხნის წინ, შეიძლება ითქვას, წერტილი დაესვა. ქუთაისის საავიაციო ქარხანა ამჟამად ისევ სახელმწიფოს საკუთრებაა და მისი ბედი, სხვა სახელმწიფო ქარხნების მსგავსად, მომავალ პრივატიზაციაზეა დამოკიდებული. მანამდე კი, ქარხნის ხელმძღვანელობა ექვსადგილიანი "მერკურის" გამოშვებაზეც ფიქრობს.

## მოკლედ

### ბრიტანელი დიპლომატები სოხუმს სტუმრობენ

ქართულ-აფხაზურ სამომავლო ურთიერთობებზე გუშინ, სოხუმში, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტთან სერგეი ბაგაფშთან გამართულ შეხვედრაზე იმსჯელეს.

დიდი ბრიტანეთის მხრიდან შეხვედარში მონაწილეობა საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის განყოფილების დირექტორმა ენდრიუ პეიჯმა მიიღო.

"აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება გამორიცხულია. აფხაზმა ხალხმა 1999 წელს ჩატარებულ რეფერენდუმზე მხარი აფხაზეთის დამოუკიდებლობას დაუჭირა და ამ არჩეული გზიდან არ გადაუხვევს", - განუცხადა სერგეი ბაგაფშმა ინგლისელ დიპლომატებს.

მისივე მტკიცებით, აფხაზეთის ხელისუფლება აფხაზეთის მომავალს კოსოვოს საკითხის გადაჭრას არ უკავშირებს, ვინაიდან აფხაზეთის 1000-წლოვანი ისტორია მას აძლევს დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისა და ცივილიზებულ თანამეგობრობასთან ცივილიზებული ურთიერთობების დამყარების უფლებას.

ბაგაფშმა ბრიტანელ დიპლომატებს შეახსენა იმის შესახებ, რომ აფხაზეთის რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში უკრაინასთან და საქართველოსთან ერთად, დამოუკიდებელ სუბიექტად შედიოდა. **ინტერპრესნიუსი**

### თურქეთი საქართველოს სასაზღვრო ძალებს ეხმარება

თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბი საქართველოს სასაზღვრო უწყებას 677 191 აშშ დოლარის ღირებულების აღჭურვილობას გადასცემს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურში განუცხადეს, ქართველი მესაზღვრეები თურქი კოლეგებისგან 7ცალ (2,5 ტონიანი) სამხედრო-ტაქტიკური ტიპის მანქანას, ერთ საველე-სარემონტო "ლენდ-როვერის" ტიპის სამხედრო მანქანას და ორ კომპიუტერს მიიღებენ. აღნიშნული დახმარება საქართველოს სასაზღვრო უწყებასა და თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს შორის გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება. საზეიმო ცერემონია ლილოში, თავდაცვის სამინისტროს ლოგისტიკის ბატალიონის ტერიტორიაზე გაიმართება. ცერემონიას თურქეთის შიარაღებული ძალების ატაშე, გენერალ-მაიორი იუქსელ ოზთექი, საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენენტი ბადრი ბიწაძე და სხვა ოფიციალური პირები დაესწრებიან. **ინტერპრესნიუსი**

### აზერბაიჯანი რუსული იარაღის ტრანზიტზე დათანახმდა

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში, რუსეთის საგარეო უწყების თავმჯდომარის მოადგილემ გ. კარასინმა და აზერბაიჯანის ელჩმა რუსეთის ფედერაციაში პოლატ ბიულბიულ ოგლიმ ოფიციალური ნოტები გაცვალეს, რომლებითაც ორმხრივი შეთანხმება გააფორმეს.

შეთანხმების მიხედვით აზერბაიჯანი ტრანზიტულად, რუსეთის სამხედრო ტვირთებს, საქართველოდან რუსეთში გაატარებს. შეხვედრაზე აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის ურთიერთობებიც განიხილეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოდან რუსეთის ბაზების გასვლის ხელშეკრულებას საქართველო-რუსეთს შორის ხელი 31 მარტს სოჭში მოეწერა. **ჯი ეიჩ ენი**

### აშშ პრობლემებზე თვალს არ დახუჭავს

აშშ-მ გამოაცხადა, რომ პრეზიდენტ ბუშის შეხვედრა აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ილჰამ ალიევთან არ ნიშნავს, რომ ამერიკა უგულებელყოფს აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების მდგომარეობის და დემოკრატიული რეფორმების შესახებ მონაცემებს.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ერელიმ განაცხადა, რომ ბუშის ადმინისტრაცია აზერბაიჯანის ლიდერთან იმუშავებს ორივე მხარისთვის საინტერესო თემებზე, მაგრამ აზერბაიჯანში რეფორმების შესახებაც იქნება საუბარი. ალიევი ბუშს 28 აპრილს ხვდება. **რადიო თავისუფლება**

### ჩინეთი ნავთობის მარაგების შექმნას იწყებს

ჩინეთი შიშობს, რომ აშშ-სა და ირანს შორის ომის დაწყების შემთხვევაში, ირანიდან ნავთობის მიწოდება შეწყდება.

პეკინმა საუდის არაბეთს სპეციალური გეგმა შესთავაზა, რომლის თანახმად ჩინეთი საუდის არაბეთიდან ნავთობის დამატებით შესყიდვას განახორციელებს და შავი ოქროს სპეციალურ სახელმწიფო მარაგებს შექმნის. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# აფეთქება დესტაბილიზაციის მიზნით

## ვინ დგას დაჰაბში მომხდარი ტერორისტული აქტის უკან?

თეა მაისურაძე

ეგვიპტის მჭიდროდ დასახლებული რაიონი, საკურორტო ქალაქი დაჰაბა, რომელიც შარმ ეშ-შეიხის მახლობლად მდებარეობს და ფეშენებელური სასტუმროებითა და სავაჭრო დაწესებულებებით არის ცნობილი, ორშაბათს ტერორისტთა სამიზნედ იქცა.

ადგილობრივი დროით 21:00 სთ-ზე ერთდროულად 3 ბომბი აფეთქდა კაფეში, რესტორანში და სუპერმარკეტში, როცა ისინი ხალხით იყო გადაჭედილი. ამავდროულად, ქუჩა სავსე იყო კოპტებით, რომლებიც აღდგომის დღესასწაულს აღნიშნავდნენ, რაც წელს "შემ ან-ნესიმს", გაზაფხულის პირველი დღის აღმნიშვნელ უძველეს დღესასწაულს დაემთხვა.

ეგვიპტის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული მონაცემებით, აფეთქებების შედეგად 24 ადამიანი დაიღუპა და 87 დაშავდა. დაღუპულთა უმრავლესობას (21) ეგვიპტელები შეადგენენ, ხოლო დანარჩენი სამი რუსეთის, გერმანიისა და შვეიცარიის მოქალაქეები არიან. დაღუპული რუსეთის მოქალაქე 30 წლის ლეონიდ ტიტარენკო კომპანია "მონოლითის" დირექტორი იყო. დაშავებულთა შორის არიან სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები: დანიელები (5), იტალიელები (2), გერმანელები (2), ფრანგები (2), სამხრეთ კორეელი, ამერიკელი, ლიბანელი, პალესტინელი, ებრაელი და ავსტრიელი. ტერაქტის შედეგად დაღუპულთა და დაჭრილთა შორის საქართველოს მოქალაქეები არ არიან. ეგვიპტეში საქართველოს კონსულის მოვალეობის შემსრულებლის, შალვა დათიაშვილის განცხადებით, ამ საკურორტო ქალაქში ზოგადად ქართველების ყოფნა არ დასტურდება. დაჭრილები შარმ ელ შეიხისა და კაიროს საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

აფეთქებების შედეგად დანგრეულ შენობებს შორის არის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რესტორანი ალ კაპონე.

ტერორისტული აქტს მსოფლიოს ლიდერები გუშინვე გამოეხმაურნენ. ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაკი მომხდარს "საშინელ ტერორისტულ აქტს" უწოდებს.



*ამგვარი ქმედებებით ტერაქტის ორგანიზატორებს ეგვიპტეში დესტაბილიზაციის გამოწვევა სურთ.*

ტერაქტს ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიც ეხმიანება, მას შემაძრწუნებელს უწოდებს და აღნიშნავს: "ვგმობ ფაქტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ეგვიპტეში და რასაც უცოდველი ადამიანების სიცოცხლე შეეწირა" - აღნიშნავს ჯორჯ ბუში.

მომხდარს ევროკავშირიც გმობს, სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ახლობლებს და აცხადებს, რომ დამანგრეველმა ტერორისტულმა ძალებმა კიდევ ერთი ტანჯვა და იმედგაცრუება მოუტანეს უდანაშაულო მაქალაქეებს.

ჰამასის დაჯგუფების პალესტინის კაბინეტის წარმომადგენელი ტერაქტს "ადამიანური ღირებულებების წინააღმდეგ მიმართულ კრიმინალურ აქტს" უწოდებს: "ჩვენ ვგმობთ ტერორისტულ აქტს, რომელმაც დააზარალა და საფრთხე შეუქმნა ეგვიპტის ეროვნულ ინტერესებს".

მსოფლიოს ლიდერთა განცხადებებს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინიც უერთდება, რომელიც გმობს დახაბში განხორციელებულ ტერორისტულ აქტს და ეგვიპტის პრეზიდენტისადმი გაგზავნილი დეპეშით სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს.

ეგვიპტის ეკონომიკა მჭიდროდ არის დამოკიდებული ტურიზმზე, აცხადებს ეგვიპტის ტურიზმის მინისტრი მისტერ გარანა: "ხალხი აღშფოთებულია, ყოველი 1 მილიონი ტურისტი ეგვიპტეში 200,000 სამუშაო ადგილს ქმნის და ეს არის ის, რაც ეგვიპტის სახელმწიფოს სჭირდება". თუმცა, მომხდარმა ამჯერად ტურიზმის ინდუსტრიაზე მეტად თავად ეგვიპტის ხელისუფლებას მიაყენა ზიანი. ოფიციალური კაირო შეშფოთებულია და მიიჩნევს, რომ ამგვარი ქმედებებით ტერაქტის ორგანიზატორებს ეგვიპტეში დესტაბილიზაციის გამოწვევა სურთ, რაც რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის ეროვნულ ინტერესებს უქმნის საფრთხეს.

ამ დროისათვის ეგვიპტის პოლიციამ თვითმკვლელების მიერ ტერაქტების განხორციელების შესახებ ვერსია გამორიცხა. როგორც გაირკვა, ასაფეთქებელი მოწყობილობები საათის მექანიზმით აამოქმედეს.

შეგახსენებთ, ეს ეგვიპტეში წითელი ზღვის სანაპიროზე მომხდარი რიგით მეოთხე ტერაქტია ბოლო ორი წლის განმავლობაში. 2005 წლის ივლისში შარმ ეშ-შეიხში მომხდარ ტერაქტს 64 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, იმავე წლის აპრილში კაიროში ტურისტებზე თავდასხმის დროს 3 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 2004 წლის ოქტომბერში თაბაში და რას შიტანში კი 34 ადამიანი, აქედან 12 ებრაელია.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არც ერთ ადგილობრივ ტერორისტულ დაჯგუფებას არ აუღია. ეგვიპტის ტურიზმის მინისტრმა ზოჰეირ გარანამ აღნიშნა, რომ ჯერჯერობით რთულია იმის დადგენა, თუ ვინ დგას ამ ტერორისტული აქტის უკან, თუმცა პალესტინის მხარე თავის მოსაზრებებს აფიქსირებს და მომხდარში ბრალს ისრაელს სდებს.

პალესტინის ელჩი რუსეთის ფედერაციაში აბდელ მონემ ბაკერი აცხადებს, რომ მომხდარ ტერაქტში ისრაელის ხელი ურევია. მისი განცხადებით, ამ გარემოების ბევრი დამადასტურებელი ფაქტიც არსებობს, მნიშვნელოვანია, თუნდაც კაიროში ისრაელის ელჩის განცხადება, როდესაც მან აღნიშნა, რომ დაზარალებულთა შორის ებრაელები არ არიან და ეს მოხდა მაშინ, როდესაც მსოფლიოში ჯერ არავინ არ იცოდა, რა ხდებოდა და იყო თუ არა საერთოდ მსხვერპლი. "მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს ჩემი აზრი არაა და მე უბრალოდ იმას ვაცხადებ, რაც ანალიტიკოსებისაგან გავიგე" -აღნიშნავს მონემი. ელჩის განცხადებით, ეგვიპტეში მომხდარი პირდაპირ საფრთხეს უქმნის მთლიანად ახლო აღმოსავლეთის და, მათ შორის კი, პალესტინის უსაფრთხოებას.

პალესტინის მხარე მიიჩნევს, რომ ტერაქტის ორგანიზატორებს მიზნად დასახული ჰქონდათ ეგვიპტის ხელისუფლების გამოთიშვა რეგიონული და საერთაშორისო პრობლემების მოგვარების პროცესში აქტიური მონაწილეობისაგან და მისი შიდა პრობლემებზე გადართვა.

ოფიციალური მოსკოვიც აცხადებს, რომ მომხდარი ტერაქტის მიზანია ახლო აღმოსავლეთში არასტაბილური სიტუაციის შექმნა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის მიხაილ კამინინის განცხადებით: "მომხდარი აქტი არის იმ ექსტრემისტების დაგეგმილი და განხორციელებული, რომელთაც სურთ არაბეთის ერთ-ერთ ლიდერ ქვეყანაში, ეგვიპტეში მდგომარეობის გართულება და ახლო აღმოსავლეთში სიტუაციის დაძაბვა". კამინინის განცხადებით, რუსეთი უერთდება საერთაშორისო საზოგადოებას და გამოთქვამს მზადყოფნას, მოახდინოს ძალების მობილიზება საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ. ოფიციალური მოსკოვი სოლიდარობას უცხადებს ეგვიპტეს და დახმარებას ჰპირდება მომხდარზე ადეკვატური რეაგირების შემთხვევაში.

# უკრაინული „ტესტი" ოქრუაშვილისთვის

*რუსეთის მთავარი სანიტრისაგან შერისხული ქართული ღვინისათვის საგარეო ბაზრების ათვისებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი უკრაინიდან იწყებს. ეს მხოლოდ გრძელი გზის დასაწყისია...*

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება"
სპეციალურად „24 საათისთვის„

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ჩინეთში მიღებულმა უპრეცედენტო გადაწყვეტილებამ საზოგადოებაში ბევრი თავსატეხი გააჩინა. ერთნი ფიქრობენ, რომ სააკაშვილი ეკონომიკურ ბლოკს და ზურაბ ნოღაიდელს აღარ ენდობა და თავდაცვის მინისტრს პრემიერ-მინისტრობისათვის ამზადებს; მეორენი კი საპირისპირო აზრს ემხრობიან - შესაძლოა, არატიპური ამოცანის დაკისრებით, პრეზიდენტი ცდილობს, შეასუსტოს ოქრუაშვილი, რომლის რეიტინგმა, კონტროლირებადი ტელეარხების გავლენით, ერთ ხანს თვით სააკაშვილიც კი დაჩრდილა.

სხვათა შორის, ოქრუაშვილისთვის ერთგვარ პილოტურ პროექტად სწორედ უკრაინის შეთავაზებით, საქართველოს პრეზიდენტმა, ნებსით თუ უნებლიეთ, ამგვარ ურთიერთგამომრიცხავ მსჯელობას ლეგიტიმური საფუძველი შეუქმნა.

ვერსია პირველი: წესით უკრაინიდან, სადაც ქართული ღვინო დაცულია პოლიტიკური ფობიებისაგან, ოქრუაშვილი ხელცარიელი არ უნდა დაბრუნდეს. საქართველო ხომ სწორედ ირაკლი ოქრუაშვილის თავდაცვის მინისტრობის დროს იქცა გასაღების ბაზრად უკრაინაში წარმოებული საბრძოლო ნაკეთობებისათვის. ზუსტად დაანგარიშებული არ არის, მაგრამ უკრაინაში შესყიდული ტანკები, ქვეითთა საბრძოლო მანქანები, ჯავშანტრანსპორტიორები, ცეცხლსასროლი იარაღი და ბოლოს, რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსები, სახელწოდებით "კალჩუგი", საქართველოს ბიუჯეტს დაახლეობით 50 მილიონი დოლარი დაუჯდა. ამის სანაცვლოდ კი ოქრუაშვილს, სავარაუდოდ, არავინ დაამადლის დამატებით კიდევ რამდენიმე მილიონი ბოთლი ქართული ღვინის შეტანას უკრაინის ბაზარზე.

მაგრამ, მეორე მხრივ, საქმე არც ისე მარტივადაა, თუ საპირისპირო ვერსიას განვიხილავთ, შესაძლოა, სწორედ უკრაინა იქცეს ერთგვარ ვატერლოოდ ირაკლი ოქრუაშვილის მზარდი იმიჯისათვის.

ჯერ ერთი, უკრაინაში შეუძლებელია არ ახსოვდეთ, რომ სწორედ ირაკლი ოქრუაშვილის მინისტრობის დროს მიადგა ზიანი უკრაინის, როგორც იარაღის ექსპორტიორი ქვეყნის იმიჯს. საქართველოში ხომ ჯერაც არ დასრულებულა გამოძიება უკრანაში შესყიდული უვარგისი ჯავშანმანქანების საქმეზე, რომლის გამოც სამი ქართველი მაღალჩინოსანი ოფიცერი უკვე ერთი წელია, რაც პატიმრობაში იმყოფება. წინასწარი გამოძიების მიხედვით, რომლის მიუკერძოებლობაში დღემდე ბევრ ექსპერტს შეაქვს ეჭვი, უკრაინის უმსხვილესი ექსპორტიორის "უკრსპეცექსპორტის" მიერ საქართველოსათვის მიყიდული 40 ჯავშანმანქანიდან თურმე 38 გამოუსადეგარი ყოფილა. თავის დროზე, უკრაინა ისე შეძრა ამ სკანდალმა, რომ უკრაინის პოლიტიკურ სპექტრში ღიად ალაპარაკდნენ საქართველოს ხელისუფლებაში არსებულ პრორუსულლობზე. ესეც რომ არ იყოს, ირაკლი ოქრუაშვილს დღესდღეობით ვერავინ დაჰპირდება ახალი დახლების გახსნას ქართული ღვინისათვის, სანამ უკრაინაში საპარლამენტო უმრავლესობის შექმნისათვის დაძაბული მოლაპარაკება გრძელდება. მით უფრო, რომ პრემიერ-მინისტრობის მაღალ შანსებს კვლავაც ინარჩუნებს "რეგიონების" ლიდერი ვიქტორ იანუკოვიჩი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის მიმართ არ აქვს ისეთი თბილი მეგობრული გრძნობები, როგორიც "ნარინჯისფერთა" ლიდერებს ვიქტორ იუშჩენკოს ან იულია ტიმოშენკოს.

ასე რომ, უკრაინა იოლად დასაძლევი თამასაცაა და გადაულახავი დაბრკოლებაც ირაკლი ოქრუაშვილისთვის, რომელიც თავის კარიერაში ჯერჯერობით მხოლოდ სიმაღლეების აღებას არის ჩვეული.

## პრესომბუდსმენი

ნოდარ ლადარია

მახსოვს, ერთი ჩემი მეგობარი ქალი ჩიოდა, სულ რამდენიმე თვის მყავდა ბავშვი, როცა ჩემი დედამთილი პირსახოცებს "აკრახმალებდაო". ვერაფერს შეედავები: ბავშვის სისუფთავე მეტად საშური საქმეა, მაგრამ ნაზი კანი თუ სალეს ქვასავით გახამებული პირსახოცით გავულიზიანეთ, ვერაფერი შედეგია. რატომღაც ეს შემთხვევა მომაგონდა, როცა "24 საათში" 17 აპრილს გამოქვეყნებული ღია წერილი წავიკითხე. მართლაც მკვიდრად შეკრული ტექსტია, რომელიც ლიბერალური დემოკრატიის პრინციპთა ლაკონური გადმოცემით იწყება — **"თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების ქვაკუთხედი სხვადასხვა მსოფლმხედველობის, მრწამსის, ეროვნებისა თუ პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანების კონსენსუსია სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითად პოსტულატებზე"** — ხოლო სრულდება მათეს სახარებიდან (10:26) საკმაოდ აზრიანად შერჩეული ციტატით — **"არ არსებობს დაფარული, რომ არ გაცხადდეს, გვეუბნება სახარება. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენი პოლიტიკური ნება იქნება დანაშაულში მონაწილე ყველა პირის გამოვლენისა და დასჯის გარანტი"**. უკვე ყველასათვის გასაგებია, რომ ეს წერილი საქართველოს პრეზიდენტისადმია მიმართული, მისი დაწერის მიზეზი კი ის უკმაყოფილებაა, რომლითაც საზოგადოების ერთი ნაწილი სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამოძიებას ადევნებს თვალს. ტექსტი მართლაც გამოზომილადაა შედგენილი. თუნდაც ის რად ღირს, რომ მასში არ გვხვდება იდიოტური ეგზალტაციით სავსე გამოთქმა "სიკვდილის ბრიგადები". მისგან ძლივსშესამჩნევი აჩრდილიღაა დარჩენილი: **"ადამიანთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ძალუფლებით აღჭურვილი პირები თვითონ წარმოადგენენ სასიკვდილო საფრთხეს"**...

არა, ამ წერილის შინაარსთან კამათს არ ვაპირებ. მე მხოლოდ საკუთარი შეგრძნებების გამოკვლევით ვარ გართული. კერძოდ, მაინტერესებს, მაინც რატომ გამახსენდა ამ წერილის წაკითხვისას გახამებული პირსახოცები. ბავშვის თემა წერილში აშკარად გამოიკვეთება: ლაპარაკია **"საქართველოს ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ბოლომდე ჩამოუყალიბებელი სახელმწიფოებრიობის"** შესახებ. ძალიან კარგი! გამოდის, რომ ტექსტი მაინც აღიარებს, რომ დასრულებული თუ არა, დაწყებული მაინც არის სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. ვნახოთ, რა მიმართულებით ვყალიბდებით. უპირველესად ის უნდა აღვნიშნო, რაც ზედაპირზე ძევს: დღევანდელი რუსეთისა და თუნდაც ბელარუსისგან განსხვავებით საქართველო ძალიან არა ჰგავს საბჭოთა კავშირს. ამაზე კამათი ძნელი იქნებოდა და არც იმის აღიარებაა ადვილი, რომ ეს გარემოება ნაკლს წარმოადგენს. პირიქით, ბატონებო, საბჭოთა კავშირისაგან თვალსაჩინო განსხვავება ჩვენი რეალობის ერთ-ერთი და არც თუ უმნიშვნელო ღირსებაა.

ეს განსხვავება ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში იყო შესამჩნევი, ბოლო წლებში კი ბევრად უფრო გაღრმავდა. რა მიმართულებით? — ესეც არაა ძნელი შესამჩნევი. საბჭოთა კავშირისაგან ჩვენი ქვეყნის განსხვავება იმ აზრით ვითარდება, რომ პიროვნების მოთხოვნების გასათვალისწინებლად აღარავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, უმღერია თუ არა მას სტინგთან ერთად, გაუტანია თუ არა გოლები ალბანეთის ნაკრების კარში, იცის თუ არა წარბების ლამაზად ამოქნა, მიუღია თუ არა ლიტერატურული პრემია ალმა-ათის ფესტივალზე, გასულა თუ არა მისი გადაღებული ფილმი ტელეკომპანია "კავკასიის" ეთერში, გამოუქვეყნებია თუ არა რამდენიმე სტატია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ "მაცნეში" და ასე შემდეგ. აქ კარგად უნდა გამიგოთ: მე სწორედ იმიტომ ვქილიკობ, რომ თვითონ ვარ პირწავარდნილი ელიტარისტი. სწორედ ამის წყალობით ვგრძნობ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ანტიელიტარული განწყობები (განსაკუთრებული სიცხადითა და ხშირად აბსურდთან მიახლოებული სიმკვეთრით მათ **გიგა ბოკერია** ამჟღავნებს ხოლმე) სულაც არაა ძნელი ასახსნელი: ეს ნორმის ფარგლებში შეზღუდული ადამიანების ბუნებრივი რეაქციაა ათწლეულების განმავლობაში გაბატონებულ მანკიერ ტრადიციაზე. სხვათა შორის, კოლექტიური წერილებიც ამ მანკიერ ტრადიციას მიეკუთვნება და აქ ძალიან ძნელი იქნება საყვედური, თუ ამ ტექსტის ადრესატიც მის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას არ გამოიჩენს. რატომ? — ოჰ, არა, წერილის შინაარსს არ ვეკამათები, რადგან ეს შეუძლებელია. წერილის შინაარსზე არც ვლაპარაკობ. მე იმას ვგულისხმობ, რომ ტექსტში მოცემულ სიმართლეს ადვილად გადასწონის ერთი აზრი, რომელიც "იმედის" ტელეეთერში გამოთქვა **გიგა ლორთქიფანიძემ**: "თუ არ დაგვიჯერებენ, დავიღუპებით".



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ამ ფრაზას სულ არ სჭირდებოდა თქმა. ისედაც აშკარაა, რომ სწორედ ეს აზრი უდევს ღია წერილს მთავარ მოტივაციად. ჩვენი "შემოქმედებითი ელიტა" ყოველთვის იყო ხელისუფლების ჭირვეული საყვარელი. ჭირვეულ საყვარლებს კი ერთი ზნე სჭირთ: გამოცდის ჩატარება უყვართ, ხანდახან კი ეს გამოცდა ინფანტილურისტერიულ მოთხოვნას ჰგავს: "მითხარი უარი! შენ თვითონ პირდაპირი ტექსტით მითხარი უარი! მე კი შეგაშინებ, რომ ვენებს გადავიჭრი!"

დიდი და ძვირფასი რამეა ამქვეყნიური სამართალი. მაგრამ როცა მისი ყიდვა ისტორიის შეჩერების ფასად გიწევს, არ შეიძლება არ დაფიქრდე და ეჭვი არ შეგეპაროს. დანაშაული საზიზღარია, მაგრამ მით უფრო დიდი შანსი აქვს რაიმე შემთხვევით თამაშში კოზირად იქცეს. მე მეზიზღება ძალაუფლების ბოროტად გამომყენებელი ნაძირალები, მაგრამ გაცილებით მეტად მეძვირფასება ხელისუფლება, რომელიც თავისი მიზნების მისაღწევად "შემოქმედებით ინტელიგენციას" არ იხმარს. ამგვარი ინტენციის მმართველი ჯგუფი საქართველოში ჯერ არ ყოფილა და ეს კი, მერწმუნეთ, ერთ რამედ ღირს.

მაინც რას ჩავაცივდი ღია წერილზე ხელისმომწერ ამ ოთხმოცდაცხრამეტ ადამიანს? — სულაც არა. მე იმის ბედი უფრო მაღელვებს, რასაც ქართველ საზოგადოებას უწოდებენ. აბა, დაფიქრდით: განა ამ წერილს სიამოვნებით არ მოაწერდნენ ხელს შორეულ გარეუბნებში მცხოვრები თბილისელები, ვინმეს რომ კარიდან კარზე ჩამოეტარებინა? მოაწერდნენ, როგორ არა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ვინმე ჩამოატარებდა, რადგან საზოგადოებრივი აქტიურობის იდეა ჩვენს ხალხში ჯერჯერობით მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელ ჩნდება, ისიც მაშინ, როცა კანონი არჩევნების გამართვას მოითხოვს.

ერთი სიტყვით, ასეთი სურათი გვაქვს: შემოქმედებითი ელიტა დაჟინებით იყენებს ერთ რიტორიკულ ფიგურას — totum pro parte (მთელი ნაწილის მაგიერ) — იგი ამბობს "საზოგადოება" და მხოლოდ საკუთარ თავს გულისხმობს. ხალხი, თავის მხრივ, იგივე ხერხით პასუხობს — გაიხსენეთ ჩვენს ტოკ-შოუებში შესული ტექსტური შეტყობინებები: "ზუგდიდი თქვენთანაა!", "ჭიათურა შენთანაა!". ნუთუ ასე ძნელია დაწერო სიმართლე: "მე ასე ვფიქრობ!"? ძნელია, ორივე მხარისთვის ძნელია — ელიტისთვისაც და "უბრალო ხალხისთვისაც". ოჰ, როგორ გამოხარდებოდა, ოთხმოცდაცხრამეტი წერილი რომ შესულიყო კანცელარიაში მიხეილ სააკაშვილის სახელზე. მაგრამ არა — ერთი ტექსტი შეადგინეს და ქვეშ ოთხმოცდაცხრამეტი სახელი მიაწერეს: ეს კოლექტიური წერილი აღიზიანებს დღეს ჩვენი "ახალგაზრდა და ბოლომდე ჩამოუყალიბებელი სახელმწიფოებრიობის" ნაზ კანს, ეს ხელმოწერები აჩნია მას როგორც საბჭოთა სახამებლით გაუხეშებული პირსახოცის წითელი კვალი.

აი, ამგვარ ჯგუფურ იდენტობას უწოდებენ ჩვენთან ეროვნულ თვითმყოფადობას თუ ეროვნულ თვითშეგნებას — სწორედ მისი დაკარგვა ეშინიათ და ვერც კი ამჩნევენ, რომ დასაკარგი კი არა, მართლაც რომ გადასაგდებია. აი, **დიმიტრი შველიძემაც** იმავე თემას უძღვნა ვრცელი სტატია 20 აპრილის ნომერში: *დასავლეთი — ახალი საფრთხობელა ქართველი საზოგადოებისთვის*. სტატია ყურადღებას იმსახურებს.

ავტორის ძირითადი იდეა ისაა, რომ ჩვენი საზოგადოება ყოველთვის იყო ორად გახლეჩილი. თანაც ეს პოლარიზაცია ქრონოლოგიურ აღწერას ექვემდებარება:

კომუნისტები და ეროვნული მოძრაობა (1985-90)

ეროვნული ხელისუფლება და რევანშისტული ოპოზიცია (1991-92)

პუტჩისტები და ზვიადისტები (1992-95)

რეფორმისტები და პრორუსული კონსერვატორები (1995-2001)

რეფორმისტები და შევარდნაძისტები (2001-03)

მედასავლეთეები და რუსოფილები (2003-დღემდე).

ამგვარი კლასიფიკაცია ბევრ კითხვას ბადებს: რა ნიშნითაა მონათლული ზვიად გამსახურდიას მთავრობის ოპოზიცია რევანშისტულად? რატომაა სერიოზულად გამოყენებული ტერმინი პუტჩისტი? რას ნიშნავს "პრორუსული კონსერვატორი"?.. და ა. შ. მაგრამ ავტორს სჭირდება ეს ქრონოლოგია იმის დასამტკიცებლად, რომ დამოუკიდებლობის მიღებიდან დღემდე ჩვენი პრობლემა ყოველთვის ერთი და იგივე იყო: დასავლეთი თუ რუსეთი? ალბათ შესაძლებელია ჩვენი უახლესი ისტორიის ამ კუთხიდანაც განხილვა, მაგრამ ამ გამარტივებულ განხილვაში მე მხოლოდ ერთ მიზანს ვხედავ: ავტორს სურს უკიდურესად გამოკვეთოს ბოლო დროს გაძლიერებული ანტიდასავლური განწყობების სახიფათო მნიშვნელობა. რაიმე ვითარების მნიშვნელობის გასაზრდელად კი საქართველოში ერთადერთი საიმედო ხერხი არსებობს: წარსული უნდა მოუგონო მას. ამ მხრივ ჩვენი ავტორი შორს მიდის და უერთდება ჩვენში გავრცელებულ ისტორიულ მითებს: **"ჯერ კიდევ იბერიის მეფეები იყენებდნენ ჩრდილოკავკასიელებს თუ რომაელებს პართიის წინააღმდეგ; შემდგომში ქართველი მეფეები ბიზანტიელებს არაბების წინააღმდეგ; გვიან საუკუნეებში ოსმალებს ყიზილბაშების წინააღმდეგ; 1918 წელს საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლება გერმანიას ოსმალეთისა და რუსეთის აგრესიის გასანეიტრალებლად იყენებდა"**. აგაშენა ღმერთმა! — ნახევარი მსოფლიო გამოგვიყენებია მეორე ნახევრის საწინააღმდეგოდ. მაინც რა ვართ ეს ქართველები!

ალბათ ის უნდა თქმულიყო, რომ იბერიის მეფეები პართიის წინააღმდეგ რომაელების მხარეს გამოდიოდნენ, ქართველი მეფეები — არაბების წინააღმდეგ ბიზანტიელების მხარეზე, მერე კი ყიზილბაშების წინააღმდეგ ოსმალეთს ემხრობოდნენ, ხოლო 1918 წელს გერმანიის ეფექტურ დახმარებას ვერა და ვერ მიაღწია საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ. მაგრამ ეს ყველაფერი იქით იყოს. დიმიტრი შველიძის სტატია მეტად საჭირბოროტო საკითხს ეხება და ავტორიც საკმაოდ ზუსტად და დამაჯერებლად გადმოგვცემს დასავლეთის მოწინააღმდეგეთა არგუმენტებს — რიცხვით ჩვიდმეტს.

უბედურება სხვაა: ეშინია ჩვენს ავტორს. ეშინია, რომ "ანტიქართველობას" დააბრალებენ. ალბათ ამიტომაც მოიხსენიებს ბაპტისტებს სექტანტებად. ზემოთ ნახსენები ისტორიული მითოლოგიაც ამ შიშს უნდა დავაბრალოთ, თორემ მანამდეც წამიკითხავს მე დიმიტრი შველიძის ტექსტები და ვენდობი მის მეცნიერულ და სტილისტურ ალღოს.

ამიტომაც ერთი თხოვნით მინდა დავასრულო დღევანდელი სტატია.

დასავლეთის მოწინააღმდეგეთა ჩვიდმეტი არგუმენტიდან რვაში აშკარად შეინიშნება რელიგიური საფუძველი. ეს თავისთავად ძალიან ნიშანდობლივია და ემთხვევა იმ დაკვირვებებს, რომელსაც მე თვითონ ვაწარმოებ ხშირად კოლეგებთან ერთად. ჩანს, რომ ავტორმა საკმაოდ ბევრი მასალა მოიძია თავისი დასკვნების გასაკეთებლად და ტიპოლოგიის ასაგებად. სამწუხაროდ, სტატიაში ამ მონაცემებს ვერ ვხედავთ. მე ვთხოვდი ავტორს ჩვიდმეტი თუ არა, ოთხი ან ხუთი სტატია დაწეროს, რომელშიც გაცილებით უფრო დაწვრილებით განიხილავს საქართველოში ანტიდასავლური განწყობების ნიშნებსა და ბუნებას, მისი განვითარების დინამიკას. აღარაა საჭირო ოცდაათი წლის წინანდელი რეალობის მოხმობა: მარტო 2005-2006 წლების მასალებიც საკმაოდ მკაფიო დიაქრონულ სურათს მოგვცემს.

ამ სტატიების ციკლი არა მარტო საინტერესო, არამედ საოცრად სასარგებლო იქნება. სწორედ ამ სახის უკმარისობას ვგრძნობდი 20 აპრილს გამოქვეყნებული სტატიის კითხვისას და ჩემი ოდნავ მკვეთრი ტონიც ამან განაპირობა...

**სერიალის გადაღებად გვესაჭიროება**

**3, 5 და მეტ ოთახიანი არასტანდარტული ბინები**

**დიდი სამზარეულოთი, პრესტიჟულ უბნებში.**

**დღიური ანაზღაურებით.**

**ტელ: 20 69 69, 893 25 62 57**

მოკლედ

### ომბუდსმენი სტამბულის კონფერენციაზე

საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი სტამბულში გაემგზავრა, სადაც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (ბისეკი) წევრ სახელმწიფოთა ომბუდსმენების კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას. კონფერენციის თემაა "ომბუდსმენის ინსტიტუტის როლი დემოკრატიის კონსოლიდაციის პროცესში".

კონფერენციას ბისეკის წევრ სახელმწიფოთა ომბუდსმენების გარდა, ევროპის ომბუდსმენი ნიკიფორეს დიამანდოროსი, თურქეთის მე-9 პრეზიდენტი სულეიმან დემირელი და ბისეკის საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლები დაესწრებიან. კონფერენციაზე ომბუდსმენები ხელს მოაწერენ ერთობლივ განცხადებას, რომელიც ბისეკის წევრ სახელმწიფოებში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრების საქმეში ომბუდსმენის ინსტიტუტის როლის გააქტიურებას ისახავს მიზნად. **24 საათი**

### დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები იუსტიციის სამინისტროში

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ და მისმა მოადგილეებმა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: აშშ-ს, გერმანიის, პოლონეთის, თურქეთის, საფრანგეთის, ჩეხეთის საელჩოების, ასევე - ევროკომისიის, ორგანიზაცია "ციხის საერთაშორისო რეფორმის", წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, ევროპის საბჭოს, ეუთო-ს, იაპონიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების, ნორვეგიის იურიდიულ კონსულტანტთა მისიის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, გაერო-ს განვითარების პროგრამის, გაერო-ს ლტოლვითა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლები.

შეხვედრაზე ისაუბრეს იუსტიციის სამინისტროში მიმდინარე რეფორმებზე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და სამომავლო გეგმებზე.

ყურადღება გამახვილდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის, სააღსრულებო სისტემის, სახელმწიფო არქივების, სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის მიმდინარეობაზე. **24 საათი**

### თაღლითობა თავდაცვის მინისტრისა და პრეზიდენტის რწმუნებულის სახელით

შიდა ქართლის პროკურატურამ თაღლითობაში ბრალდებული გორელი ნინო ავეტისოვა დააკავა, რომელიც ირაკლი ოქრუაშვილისა და მიხეილ ქარელის სახელით, მოქალაქეებს, სამსახურებში და სასწავლებლებში მოწყობის მოტივით, ფულს სძალავდა. დაკავებული ნინო ავეტისოვა შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორის ირაკლი ოქრუაშვილის მდივანი იყო.

როგორც გორის პროკურორის მოადგილემ მირიან საძაგლიშვილმა განაცხადა, ავეტისოვამ მის მიერ ჩადენილი თაღლითობის ყველა ფაქტი აღიარა. გამოძიებით დადგინდა, რომ ავეტისოვამ 2005 წლის აგვისტოში გორში, სოხუმის ქუჩაზე მცხოვრებ მანანა კვერნაძეს თაღლითური გზით გამოსძალა 500 დოლარი.

გარდა ამისა, ავეტისოვას ბრალად ედება - გორში, სამეფო ქუჩაზე მცხოვრებ ჟანა ჟამურელისთვის 500 დოლარის გამოძალვა, გორში მცხოვრებ ქეთევან აბულაძისთვის 500 აშშ დოლარის გამოძალვა და დარეჯან ტერაშვილისა და ლია გოგლიძისთვის ათას-ათასი დოლარის გამოძალვა. პროკურორი მირიან საძაგლიშვილი აცხადებს, რომ გარდა აღნიშნული დანაშაულებისა, ავეტისოვას მიერ ჩადენილი თაღლითობის სხვა ფაქტებიცაა დაფიქსირებული, რომელთა გამოძიებაც ამჟამად მიმდინარეობს. გამოძიება სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილითაა აღძრული. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველო - ტრეფიკინგის დონორი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოხსენების მიხედვით, ადამიანებით ვაჭრობა მსოფლიოს, თითქმის, ყველა ქვეყნისთვის პრობლემაა.

გაერო-ს ნარკოლოგიური კომისიის მიერ ჩატარებული მონიტორინგის უკანასკნელი შედეგების მიხედვით, ტრეფიკინგის მსხვერპლი, ძირითადად, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აფრიკული ქვეყნების წარმომადგენლები არიან. მათ რიგებში არიან, ასევე, ისრაელის, თურქეთის, ჩინეთისა და იაპონიის მოქალაქეები.

ტრეფიკინგის მიმწოდებელთა შორის მეხუთე კალათაში მოხვდნენ - ალბანეთი, ბელორუსი, ლიტვა, რუსეთი, უკრაინა და მოლდოვა.

საქართველო კი ყველაზე მაღალ, მეოთხე კალათაშია. მასთან ერთად სომხეთი, ყაზახეთი, ლატვია, ესტონეთი, ბენინი, განა, ნეპალი და სხვა ქვეყნები აღმოჩნდნენ.

ამ მხრივ ყველაზე უკეთესი მდგომარეობაა ჩადში, ჩილეში, კოსტა-რიკაში, ფიჯის კუნძულებზე, სირიასა და ჰოლანდიაში.

რაც შეეხება დანიშნულების ქვეყნებს, ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობის მიხედვით, ყველაზე მაღალ კალათაში მოხვდნენ - აშშ, ბელგია, ნიდერლანდები, გერმანია, იტალია, თურქეთი და იაპონია. საქართველომ კი, ამ შემთხვევაში, ყველაზე დაბალ დონეზე გადაინაცვლა.

სატრანზიტო ქვყნების სიაში კი საქართველო საშუალო, ანუ მესამე კალათაშია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საპროტესტო აქცია სასამართლოსთან

მანქანის გატაცებაში ბრალდებულ გოჩა ბულიას ოჯახის წევრებმა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართეს. მათი განცხადებით, დაკავებული უდანაშაულოა, რადგან ბულიამ მანქანის მართვა არ იცის. არადა, მას ბრალი ედება მანქანის გატაცებაში.

აქციაში მონაწილეობდა გატაცებული ავტომანქანის მფლობელიც, რომელიც ადასტურებს, რომ მისი მანქანა ბულიას არ გაუტაცებია.

მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, აქციის მონაწილეები შიმშილობით და თბილისში, პარლამენტის წინ აქციების გამართვით იმუქრებიან.

გოჩა ბულია სამართალდამცველებმა ავტომანქანის გატაცების ბრალდებით რამდენიმე დღის წინ დააკავეს. სასამართლო პროცესზე ბულიამ ბლაგვი საგნით მუცელზე რამდენიმე ჭრილობა მიიყენა, თუმცა ჭრილობები საგანგაშო არ აღმოჩნდა, რის გამოც, პროცესი დიდხანს არ გადადებულა და მას მეორე დღესვე ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს. **ინტერპრესნიუსი**

### პატიმრობა საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში ბრალდებულებს, რუსეთის ორ მოქალაქეს, ცოლ-ქმარს - მარინა და ალექსანდრე გონჩაროვებს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

გონჩაროვები 23 აპრილს აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან დააკავეს. დაკავებისას მათ განაცხადეს, რომ ფოთში ნათესავებთან მიემგზავრებოდნენ, თუმცა კონკრეტული მისამართის დასახელება ვერ შეძლეს.

ზუგდიდში ჩატარებულ სასამართლო პროცესს დაესწრნენ ფოთის ეპარქიის წარმომადგენლები, რომელთაც განაცხადეს, რომ მარინა გონჩაროვა ფოთში დაკრძალული მეუფე ფილარეტის შვილიშვილია და ცოლ-ქმარი ნათესავის საფლავის სანახავად მიდიოდა. ეპარქიის წარმომადგენელმა, გონჩაროვების გათავისუფლების სანაცვლოდ, სასამართლოს გირაოს გადახდა შესთავაზა, მაგრამ მოსამართლემ გადაწყვიტა, დაეკმაყოფილებინა პროკურატურის მოთხოვნა საქმის საბოლოო გამოძიებამდე აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ.

ადვოკატები გადაწყვეტილების ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "გუდვილი" გაქურდეს

დაუდგენელმა პირებმა ჰიპერმარკეტი "გუდვილი" გაქურდეს. გავრცელებული ინფორმაციით, ჰიპერმარკეტიდან წაღებულია 200 ათას ლარზე მეტი; დგინდება ზარალის ზუსტი ოდენობა.

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მომხდართან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ არც სამართალდამცველები, არც ჰიპერმარკეტის ხელმძღვანელობა. დაუზუსტებელი მონაცემებით, დაუდგენელმა პირებმა წინასწარ დააზიანეს უსაფრთხოების საშუალებები - სიგნალიზაცია და სათვალთვალო კამერები.

სისხლის სამართლის საქმე, სავარაუდოდ, ქურდობის მუხლით აღიძვრება. **ინტერპრესნიუსი**

# სახალხო დამცველის საპასუხოდ

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვილიშორში ერთი წლის წინ მოკლული მამა-შვილის - თემურ და ლევან სულაბერიძეების ახლობლები სახალხო დამცველის სოზარ სუბარის ქუთაისში ჩასვლას ითხოვენ, რათა იგი სიმართლეში ადგილზე გაერკვეს.

**"სუბარი შეცდომაში შეიყვანეს - მან არ იცის, რომ იგი მკვლელს იცავს. თავის დროზე ჩემი ქმრისა და შვილის მკვლელობის საქმე წყალტუბოს პოლიციის მაშინდელმა უფროსმა ნუგზარ ქობულიამ გააფუჭა და ახლა ახალ უფროსს მაინც მისცენ საშუალება სიმართლე დაადგინოს",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას დაზარალებულმა ლია სულაბერიძემ.

სულაბერიძეების ახლობლების პროტესტი გამოიწვია სოზარ სუბარის მიერ ორიოდე დღის წინ გაკეთებულმა საჯარო განცხადებამ, როდესაც სახალხო დამცველმა წყალტუბოს პოლიციისა და ქუთაისის პროკურატურის თანამშრომლები გააკრიტიკა და ამით დაკავებულ თემურ ტყაბლაძეს გამოექომაგა. ცრუ დასმენის ბრალდებით დაკავებულ ტყაბლაძეს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. საქმე ისაა, რომ ტყაბლაძეს თავისივე



დაზარალებულები სახალხო დამცველის ქუთაისში ჩასვლას ითხოვენ.

საჩივარი ბუმერანგივით შემოუბრუნდა. სწორედ მან მიმართა პროკურატურას განცხადებით იმის თაობაზე, რომ წყალტუბოს პოლიციის ამჟამინდელმა უფროსმა ნუგზარ ქუთათელაძემ პოლიციის განყოფილებაში დაკითხვისას მას სცემა. შესაბამისი განცხადებით მან სახალხო დამცველის ოფისსაც მიმართა. პროკურატურა ძიებისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქმე ცრუ დასმენასთან ჰქონდა და ტყაბლაძის მიმართ პატიმრობის შეფარდება მოითხოვა.

გუშინ ქუთაისის სასამართლომ თემურ ტყაბლაძეს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა, გირაოთი შეუცვალა.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლთა განცხადებით, თემურ ტყაბლაძეს ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორის მონიტორინგისას შეხვდნენ. დაკავებულის განცხადებით, წყალტუბოს შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი ნუგზარ ქუთათელაძე მას ფიზიკური ზეწოლით აიძულებდა თემურ და ლევან სულაბერიძეების მკვლელების დასახელებას.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ტყაბლაძე არ უნდა დაეკავებინათ. **"მსგავსი ფაქტები მანკიერი და საშიში პრაქტიკის დანერგვის საფრთხეს ქმნის, რადგან პირები, რომელთა მიმართაც პოლიციელებმა წამება და არაადამიანური მოპყრობა განახორციელეს, ვეღარ გაბედავენ ჩივილს; მით უმეტეს, რომ დაკავებულებზე განხორციელებული ზეწოლა, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ ძნელი დასამტკიცებელია,"** – აცხადებს სოზარ სუბარი.

სულაბერიძეების ახლობლების თქმით, თემურ ტყაბლაძე მამა-შვილის მკვლელობის თანამონაწილეა და იგი განზრახ მკვლელობის მუხლით უნდა გასამართლდეს. ისინი ქუთაისში, სახალხო დამცველის ადგილობრივი ოფისის წინ ფართომასშტაბიანი აქციის გამართვას გეგმავენ.

# ადვოკატის შეფასება - „შეკერილი საქმე"

*საქალაქო სასამართლო მძიმე კატეგორიის საქმის არსებით განხილვას იწყებს. განზრახ მკვლელობა და განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში – ეს ის ბრალდებებია, რომლისთვისაც განსასჯელ ირაკლი მალანიას ასამართლებენ. როგორც მისი ინტერესების დამცველი ეკა ბესელია განმარტავს, "ირაკლი მალანიას საქმე ტიპური მაგალითია იმისა, თუ როგორ ხსნიან სამართალდამცველები სისხლის სამართლის საქმეებს, როგორ უხეში დარღვევებითა და ხარვეზებით მუშაობს გამოძიება და, საერთოდ, როგორ იზრდება ხელოვნურად გახსნილი საქმეების სტატისტიკა".*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ირაკლი მალანია 2005 წლის ივნისში, იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დააკავეს, თუმცა მას მკვლელობის ბრალდებით ასამართლებენ.

**"ირაკლი მალანიას დაკავების შესახებ იმავე დღესვე საინფორმაციო გამოშვებებში გავიდა სიუჟეტი, სადაც ნათქვამი იყო, რომ მალანია იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დააკავეს. რატომ იტრიალა ირაკლი მალანიას დაკავების ამსახველმა კადრებმა ორი დღის მანძილზე ტელეეთერით, მოგვიანებით აბსოლუტურად გასაგები გახდა. საქმე ისაა, რომ, საქმის მასალების მიხედვით, ირაკლი მალანიას დაკავების შემდეგ პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს მერაბ ბაღათურიას მოქალაქე მიხეილ სულავამ მიმართა განცხადებით, რომლის თანახმადაც, რამდენიმე წლის წინათ მასზე და მის მეუღლეზე განხორციელდა თავდასხმა. მიხეილ სულავამ განაცხადა, რომ ტელევიზიით ნაჩვენებ კადრებში თავდამსხმელი – მალანია ამოიცნო",** - აცხადებს ადვოკატი ეკა ბესელია. საუბარია 2002 წლის 20 მარტს დიდუბეში მდებარე ერთ-ერთ ჯიხურზე მომხდარ ყაჩაღურ თავდასხმაზე, რომლის დროსაც ჯიხურის მეპატრონე მიხეილ სულავა თავდამსხმელებმა დაჭრეს, მისი მეუღლე კი მიღებული მძიმე ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა.

რაც ყველაზე მთავარია, მიხეილ სულავას მიერ, დაახლოებით, ოთხი წლის წინ მიცემული ჩვენებები აბსოლუტურად განსხვავდება გამოძიებისთვის მოგვიანებით მიცემული ჩვენებებისგან. დაზარალებული თავდამსხმელს, მისივე მტკიცებით, მის მიერ ამოცნობილ მალანიას აბსოლუტურად განსხვავებული მონაცემებით აღწერს.

**"წლების განმავლობაში ეს იყო გაუხსნელი საქმე. პოლიციამ ვერ დაადგინა თავდამსხმელების ვინაობა. თითქმის, ოთხი წლის შემდეგ იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დაკავებულ ირაკლი მალანიას სწორედ ამ დანაშაულის გამო ასამართლებენ. რაც ყველაზე მთავარია, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს აქვს უტყუარი ალიბი, რომლის მიხედვითაც, 2002 წლის 20 მარტს მომხდარ დანაშაულში მონაწილეობას ვერანაირად ვერ მიიღებდა",** – აცხადებს ეკა ბესელია.

როგორც ადვოკატი განმარტავს, ჯიხურზე განხორციელებულ თავდასხმამდე ცოტა ხნით ადრე ირაკლი მალანია უმძიმეს ავტოავარიაში მოყვა და ორივე ფეხის ამპუტაციას სასწაულებრივად გადაურჩა - მან რამდენიმე მძიმე ოპერაცია გადაიტანა; ჯერ - სტაციონარულ, შემდეგ ამბულატორულ მკურნალობას გადიოდა, მკურნალობდა სხვადასხვა დაწესებულებაში და იმის გამო, რომ ოჯახს საავადმყოფოში მის დასაწვენად საჭირო თანხა არ ჰქონდა, მალანია მეგობრებს და ოჯახის წევრებს ექიმებთან ხელჯოხებით დაჰყავდათ. ერთი სიტყვით, იმ პერიოდში, როცა ყაჩაღებმა მიხეილ სულავა დაჭრეს, ხოლო მისი მეუღლე სიცოცხლეს გამოასალმეს, მალანიას დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეეძლო.

**"ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ალიბის დასადასტურებლად მოვითხოვეთ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება, რათა დადგენილიყო, რომ 2002 წლის 20 მარტს მომხდარი თავდასხმის პერიოდში მალანიას დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეეძლო. გამომძიებელმა მეთოფიშვილმა ექსპერტიზის ჩატარებაზე სასტიკი უარი განაცხადა. თუმცა, სასამართლოს წესით, ის ვაიძულეთ, თანხმობა ეთქვა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე. ექსპერტიზამ დაადასტურა მალანიას მძიმე დაზიანებები და სავარაუდო დასკვნა გასცა. გამორიცხული არ არის, რომ მალანიას შეძლებოდა დამოუკიდებლად გადაადგილება – ასეთი გახლდათ სავარუდო დასკვნის შინაარსი. ვინაიდან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, სავარაუდო დასკვნას მტკიცებულებითი მნიშვნელობა და ძალა არ გააჩნია, ჩვენ კვლავ მოვითხოვეთ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ეკა ბესელიამ.

მალანიას ალტერნატიული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა და ამჯერად ექსპერტებმა კონკრეტული დასკვნა მოამზადეს, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის ჩადენის პერიოდში, ანუ 2002 წლის 20 მარტს, კატეგორიულად გამოირიცხა ირაკლი მალანიას დამოუკიდებლად და თავისუფლად გადაადგილება.

**"ალტერნატიული ექსპერტიზის შედეგად ალიბი დადასტურდა. გარდა ამისა, კერძო გამოძიებით დავკითხეთ მედპერსონალი, რომელიც მალანიას მკურნალობდა; ასევე, დავკითხეთ მალანიას მეზობლები, მეგობრები და ახლობლები. ამ დაკითხვებით დადასტურდა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის უმძიმესი მდგომარეობა. მოპოვებული მტკიცებულებები წარვუდგინეთ გამოძიებას, მაგრამ გამომძიებელმა მეთოფიშვილმა კანონის სრული იგნორირებით, არც ერთი მოწმე არ დაკითხა. მას მხოლოდ დაზარალებულის, ყოფილი პოლიციელის მიხეილ სულავას და კიდევ ერთი მოწმის ჩვენება აინტერესებდა",** - აცხადებს ადვოკატი.

გამოძიებამ იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დაკავებულ ირაკლი მალანიას დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ბრალდება დაკავებიდან რვა თვის შემდეგ წაუყენა. ეკა ბესელიას მტკიცებით, ამ ხნის განმავლობაში გამოძიებას იმდენად არამყარი მტკიცებულებები ჰქონდა, რომ გამომძიებელი ვერ იღებდა გადაწყვეტილებას ბრალის წარდგენასთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, ბრალდების დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში, გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. ეკა ბესელიას თქმით, გამომძიებელმა ისე დაამთავრა მალანიას მძიმე ბრალდების საქმის გამოძიება, პროკურორმა ისე დაამტკიცა საბრალდებო დასკვნა და ისე გადაიგზავნა საქმე სასამართლოში, რომ არავის გახსენებია დაცვის მხარის არსებობა. გამომძიებელს საბრალდებო დასკვნაზე დასართავი დაცვის მოწმეების სიაც კი არ შეუდგენია და ბრალდებულსაც დაგვიანებით გააცნო საბრალდებო დასკვნა.

**"მალანიას საქმეში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის უამრავი მოთხოვნაა დარღვეული, რაც, მართლაც, უპრეცედენტო შემთხვევაა. არადა, ასეთი მძიმე კატეგორიის დანაშაულების გამოძიებისას, მტკიცებულების შეფასებისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციას ვაცნობეთ გამომძიებელ მეთოფიშვილის მიერ დაშვებული უხეში დარღვევების შესახებ. გენინსპექციას, კანონით, უნდა ემსჯელა ამ პროცედურულ დარღვევებზე. თუმცა, გენპროკურატურამ ეს საჩივარი საქალაქო სასამართლოს გადაუგზავნა და გამომძიებლის მიერ დაშვებულ დარღვევებზე მსჯელობა იმ მოსამართლეს დაავალა, რომელმაც მალანიას საქმე არსებითად უნდა განიხილოს.**

**დღევანდელი მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ხარისხის გათვალისწინებით, უკვე გასაგებია, რა ბედი ეწევა ირაკლი მალანიას წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს და რამდენად ობიექტურად მოხდება მისი სასამართლო გამოძიება. ფაქტი ერთია – ამ ტიპის სამართალდარღვევების თაობაზე საზოგადოება საქმის კურსში უნდა იყოს, რათა მართლმსაჯულებაზე კონტროლის ხარისხი გაიზარდოს",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ადვოკატმა ეკა ბესელიამ.

გაცნობებთ, რომ

"აგრიტექნიქს ჯგუფმა" განაახლა "სადიას" პროდუქციისა და ბანანის დისტრიბუცია - გაყიდვა საქართველოს ტერიტორიაზე.

საქონლის შეძენის პირობებსა და ადგილმდებარეობაზე ინფორმაციისათვის, გთხოვთ მოგვმართოთ ცხელი ხაზის შემდეგ ნომერზე: 8 77 99 11 09

აგრიტექნიქს ჯგუფი
agritechnics group

### უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი ..........

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ..........

საკონტაქტო ტელეფონი ..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია [illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible]
11. [illegible]

"24 საათის" [illegible] წერეთლის გამზ. 77 [illegible] "გაპი".

# მკვლელობის საქმეზე გამოტანილ განაჩენს კავკასიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა

*სომეხი მოქალაქის მკვლელობისთვის აზერბაიჯანელი სამხედრო პირისთვის გამოტანილი სამუდამო პატიმრობის განაჩენით სომხეთი კმაყოფილია, აზერბაიჯანი კი გასაჩივრებას მოითხოვს.*

მარინა გრიგორიანი, ბუდაპეშტი-ერევანი
რაუფ ორუჯევი, ბაქო

გასულ კვირას ბუდაპეშტის სასამართლომ აზერბაიჯანელი სამხედრო მოსამსახურე ინგლისურენოვანი სემინარის მონაწილე სომეხი კოლეგის მკვლელობაში დამნაშავედ სცნო და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

რამილ საფაროვს 2004 წლის თებერვალში გურგენ მარგარიანის ნაჯახით მოკვლისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას განაჩენის გასაჩივრების უფლება 30 წლის განმავლობაში არ ექნება. საფაროვი და გრიგორიანი, რომლებიც მკვლელობის დროს 26 წლის იყვნენ, ნატო-ს უნგრეთში ორგანიზებულ ინგლისურენოვან სემინარს ესწრებოდნენ.

ეს მკვლელობა 18 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ერთმანეთთან დაპირისპირებულ ორ ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ საქმედ იქცა. აზერბაიჯანში საფაროვის მხარდამჭერი ჯგუფები შეიქმნა, მარგარიანი კი სომხეთში წამებულად აღიარეს.

მკვლელობა 18-19 თებერვლის ღამეს, ბუდაპეშტის სამხედრო აკადემიაში მოხდა, სადაც ორივე მამაკაცი სემინარზე იმყოფებოდა. საფაროვი მარგარიანის ოთახში შევიდა და მოკლა. როგორც მოკლულის ცხედრის გაკვეთის შედეგად დადგინდა, საფაროვმა მარგარიანს ნაჯახით 16 დარტყმა მიაყენა და თავი გაუჩეხა.

მარგარიანის მოკვლის შემდეგ საფაროვი დერეფანში გავიდა და სემინარის მონაწილე მეორე სომეხი სამხედრო მოსამსახურის ჰაიკ მაკუჩიანის კარის შემტვრევა სცადა, მაგრამ საბედნიეროდ კარი ჩაკეტილი აღმოჩნდა.

მოსამართლე ანდრას ვასკუტიმ განაჩენის სიმკაცრე იმით ახსნა, რომ მკვლელობა წინასწარგანზრახული და განსაკუთრებული სისასტიკით იყო ჩადენილი. გარდა ამისა, საფაროვს სასამართლოს წინაშე მომხდარის გამო სინანული ერთხელაც არ გამოუთქვამს.

საფაროვის ადვოკატების მტკიცებით, მათი კლიენტი პოსტტრავმული სტრესის ქვეშ იმყოფებოდა. საფაროვი ჯაბრაილიდანაა – აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის მახლობლად მდებარე ერთ-ერთი რეგიონიდან, რომელიც 1993 წლის კონფლიქტის დროს სომხეთის სამხედრო ძალებმა დაიკავეს და მას ახლაც აკონტროლებენ.

ფსიქიკური მდგომარეობის შესაფასებლად საფაროვს რამდენიმე გამოკვლევა ჩაუტარდა და ერთ-ერთი მათგანის დასკვნით, იგი სრულიად საღ გონებაზე არ იმყოფებოდა.

თუმცა მოსამართლემ მხოლოდ ბოლო გამოკვლევის შესახებ ისაუბრა, რომლის დიაგნოზითაც დანაშაულის ჩადენის დროს საფაროვი საღ გონებაზე იმყოფებოდა.

როგორც საფაროვის მამამ საჰიბ საფაროვმა IWPR-თან საუბრისას განაცხადა, მისი ოჯახი სომხური აგრესიის მსხვერპლი გახდა.

„რამილის ორი ბიძაშვილი – ილდირიმ ხუდიევი და ჯაბარ იუსიფოვი სომეხი აგრესორების ტყვიებს შეეწირნენ. როგორი დამოკიდებულება უნდა გქონდეს ამის შემდეგ?“, – განაცხადა მან ჯაბრაილში სომეხი სამხედროების მიერ მისი ოჯახის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების დეტალებზე საუბრისას.

იანვარში გაზეთ „ექოში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ცნობილმა აზერბაიჯანელმა ფსიქიატრმა პროფესორმა აგაბეკ სულტანოვმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, საფაროვს სულიერი ტრავმა ჰქონდა მიღებული. სულტანოვი საფაროვის სულიერი მდგომარეობის გამოკვლევას ესწრებოდა. გამოკვლევის შედეგებმა ბრალდებულის საღ გონებაზე ყოფნა დაადასტურა.

მოგვიანებით რამილ საფაროვმა სასამართლოს განუცხადა, რომ 1993 წლის აგვისტოში, როცა სომხეთის სამხედრო ძალები მის მშობლიურ რეგიონს თავს დაესხნენ, იგი სახლში იმყოფებოდა. თუმცა მოვლენათა განვითარების ეს ვერსია დადასტურებული არ არის, რადგან სხვა დროს საფაროვმა ისიც განაცხადა, რომ 1992-1996 წლებში ბაქოსა და თურქეთში სწავლობდა.

სულტანოვის განცხადებით, როგორც საფაროვმა მასთან საუბრისას აღნიშნა, სომეხი კოლეგები მასა და მის აზერბაიჯანელ კოლეგას ნატო-ს სემინარის დროს დასცინოდნენ და აგინებდნენ. ერთ-ერთი ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა რამილ საფაროვი უნგრელი კოლეგის დაბადების დღეზე მივიდა და მას აზერბაიჯანის დროშის გამოსახულებიანი სამაჯური აჩუქა. გავრცელებული ინფორმაციით, მოგვიანებით მარგარიანმა უნგრელს უთხრა, რომ დროშაზე გამოსახული წითელი ხაზი აზერბაიჯანელთა ,,სისხლია, რომელიც ჩვენ დავღვარეთ, მათ ნაწლავები უნდა ამოვუღოთ“.

აზერბაიჯანის მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მარგარიანის მიერ აზერბაიჯანული დროშის შეურაცხყოფა დაპირისპირების უპირველესი მიზეზი გახდა.

თუმცა დაცვის მხარემ შეურაცხმყოფელი ინციდენტების მოწმეები სასამართლოს ვერ წარუდგინა. პროკურატურის იურისტებმა ასეთი შემთხვევების არსებობა ეჭვქვეშ დააყენეს, სულტანოვი კი მიკერძოებულობაში დაადანაშაულეს. მათი განცხადებით, საფაროვის სამედიცინო გამოკვლევაში მონაწილეობის მიღებითҮსულტანოვმა უფლებამოსილებას გადააmეტა და უნგრეთის კანონმდებლობა დაარღვია.

„ორი წლის განმავლობაში აზერბაიჯანული მხარე ამ საქმის ირგვლივ ტყუილების ინდუსტრიას ქმნიდა, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მათი მხარის ვერც ერთი მტკიცება ვერ დადასტურდა“, – განაცხადა სომხეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ჰაიკ დემოიანმა სასამართლო პროცესზე.

13 აპრილს გამართულ პროცესზე სასამართლოსთვის ბოლო მიმართვის დროს, ბრალდებულმა მოსამართლეს მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინება სთხოვა, თუმცა, ჩადენილის გამო სინანული არ გამოუთქვამს.

„მშვიდობიან პირობებში მძინარე ადამიანის მოკვლა ყოველთვის დანაშაულია და არ შეიძლება გმირობად ჩაითვალოს“, – ხაზგასმით აღნიშნა მოსამართლემ სამუდამო პატიმრობის განაჩენის გამოტანისას.

ორივე ქვეყნის გაზეთები და ტელევიზიები ამ საქმეს განსაკუთრებული მონდომებით აშუქებდნენ. სომხური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ულტრანაციონალისტურმა აზერბაიჯანულმა გაზეთმა საფაროვს „წლის ადამიანი“ უწოდა. ერთ-ერთი სომეხი ნაციონალისტის გამონათქვამი აზერბაიჯანულმა მედიამაც გამოაქვეყნა. იგი ამბობდა, რომ საფაროვის მოკვლაში 125 ათას დოლარს გადაიხდიდა.

სომხეთში სასამართლო განაჩენს კმაყოფილებით შეხვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანში საფაროვზე არაერთგვაროვანი შეხედულება არსებობს, თითქმის ყველა ეთანხმება მოსაზრებას, რომ განაჩენი ზედმეტად მკაცრია.

„საფაროვისთვის გამოტანილი განაჩენი აზერბაიჯანის ანტიამერიკული პოლიტიკის ვერდიქტიც იყო“, – განაცხადა ჰაიკ დემოიანმა პრესკონფერენციაზე.

„ამ გადაწყვეტილებას ჩვენთვის მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს“, – განაცხადა სომხეთის პარლამენტის ნაციონალისტური ფრაქციის „დაშნაკცუტიუნის“ თავმჯდომარემ ლევონ მკრტიჩიანმა.

„საფაროვი მეცოდება, იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და უკვე ასეთი საშინელი დანაშაული აქვს ჩადენილი. ვფიქრობ, ასეთი მკაცრი განაჩენი მომავალში სომხებისა და აზერბაიჯანელების ერთად ცხოვრების დროს მსგავსი სასტიკი დანაშაულის თავიდან აცილებისთვის გახდა საჭირო“, – განაცხადა იურისტმა ნარინე აბრაჰამიანმა.

„ძნელია იმის წარმოდგენა, რა შეიძლება მოხდეს, თუ ომის შედეგად დაზარალებული ყველა ადამიანი შურისძიებაზე ფიქრს დაიწყებს. სუმგაითსა და ბაქოში სომხებზე თავდასხმების დროს მთელი ოჯახები დაიღუპნენ. განა ამიტომ ყველამ ხელში ნაჯახები უნდა ავიღოთ და აზერბიჯანელების დახოცვა დავიწყოთ?“, – განაცხადა აზერბაიჯანის ქალაქ სუმგაითის მკვიდრმა ანა ჰაკობიანოვამ. 1988 წლის თავდასხმების დროს სუმგაითში ბევრი სომეხი დაიღუპა.

ერევანში მოკლულის მეგობრებმა და კოლეგებმა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „გურგენ მარგარიანის ინტერესების დაცვა“ შექმნეს. მარგარიანის მშობლებს, რომელთაც შვილის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით მათ კომენტარი საჯაროდ არასდროს გაუკეთებიათ, სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთი გამოუყვეს.

აზერბაიჯანის სახალხო დამცველმა ელმირა სულეიმანოვამ სასამართლო განაჩენს „უსამართლო“ უწოდა და საფაროვის აზერბაიჯანში ექსტრადირების იმედი გამოთქვა. ადრე გაკეთებულ განცხადებებში იგი საფაროვს აქებდა და „აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისთვის პატრიოტიზმის ნიმუშს“ უწოდებდა.

აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელმა ელდარ ზეინალოვმა სამუდამო პატიმრობის განაჩენს „გაუმართლებლად მკაცრი“ უწოდა და განაცხადა, რომ სასამართლოს საფაროვის ასაკი, მისი პიროვნების დადებითი დახასიათება და კიდევ ის ფაქტიც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მან დანაშაული პირველად ჩაიდინა.

მკვლელობიდან სამი დღის შემდეგ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა მედიას „ამ საქმის გაბერვისგან თავის შეკავება“ სთხოვა. მაგრამ აქტივისტთა ზოგიერთმა ჯგუფმა საფაროვი მაშინვე გმირად გამოაცხადა.

საფაროვის ერთ-ერთი დამცველის, „ყარაბაღის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის“ ხელმძღვანელის აკიფ ნაგის განცხადებით, სასამართლომ „უდაოდ სომხურ მხარეს დაუჭირა მხარი“. ნაგის აზრით, საფაროვი სამხედრო ტრიბუნალს უნდა გაესამართლებინა, რადგან მკვლელობა ნატოს სემინარის დროს მოხდა.

„ყარაბაღის განმათავისუფლებელმა ორგანიზაციამ“ 17 აპრილს ბაქოს ცენტრში საპროტესტო აქცია მოაწყო. ასობით სტუდენტის მთავარი ლოზუნგი იყო „თავისუფლება რამილ საფაროვს“.

მსვლელობა პოლიციამ დაარბია და საპროტესტო აქციის რამდენიმე მონაწილე, მათ შორის ნაგიც, დააპატიმრა.

აზერბაიჯანელი დიასახლისი ფატმა მამედოვა საფაროვის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია. ფატმას აზრით, იგი თავისი მხარდაჭერით ყველა იმ სასოწარკვეთილი აზერბაიჯანელის მდგომარეობას გამოხატავს, რომლებმაც სომხების გამო თავიანთი სახლები დაკარგეს.

„რამილი დიდხანს ითმენდა, მაგრამ ბოლოს ველარ აიტანა და ვფიქრობ, სწორადაც მოიქცა. ასე თუ ისე, მან უსაყვარლესი ადამიანებისა და თავისი ოკუპირებული სახლისთვის სომხებზე შური იძია“, – განაცხადა მამედოვამ.



*რამილ საფაროვი*

ავტორიტეტული აზერბაიჯანელი იურისტის ფუად აგიევის აზრით, განაჩენი ზედმეტად მკაცრი იყო. თუმცა, მან საფაროვის მდგომარეობის გაუარესებაში „აზერბაიჯანში მოქმედი გარკვეული საზოგადოებრივი ორგანიზაციები“ დაადანაშაულა.

„მათ ეს საწყალი ადამიანი და მის მიერ ჩადენილი საქციელი საკუთარი მიზნებისთვის არ უნდა გამოეყენებინათ. დაუყოვნებლივ უნდა შევაჩეროთ მიმდინარე კამპანია, რომელიც საფაროვის გმირად გამოცხადებას ცდილობს. იგი გმირი არ არის“, – განაცხადა აგაევმა IWPR-თან საუბარში.

საფაროვის ადვოკატებმა ბუდაპეშტში განაცხადეს, რომ ისინი მისი განაჩენის 10-15 წლამდე შემცირებას შეეცდებიან, მაგრამ თუ ვერაფერს გახდნენ, სარჩელს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში შეიტანენ.

www.iwpr.net

# აზერბაიჯანი: შუა საუკუნეების ცნობილი სასაფლაო განადგურებულია

IWPR-ის კორესპონდენტი ჯულას ცნობილი ქვის ჯვრების გაქრობას ადასტურებს.

იდრაქ აბასოვი, ნახიჩევანი
შაჰინ რზაევი,
ჯასურ მამედოვი, ბაქო
სედა მურადიანი,
ნარინე ავეტიანი, კარინე
ტერ-სააკიანი, ერევანი

აზერბაიჯანში მდებარე შუა საუკუნეების ცნობილი ქრისტიანული სასაფლაო ჯულა კავკასიაში მწვავე განხილვის საგნად იქცა. თუმცა სასაფლაოს იდუმალებით მოცული ბედის გარკვევა დღემდე ვერავინ შეძლო.

სომხები სასაფლაოს შუა საუკუნეების ჯვრის გამოსახულებიანი საფლავის ქვების – „ხაჩკარების“ უდიდეს და ძვირფას საცავად მიიჩნევდნენ. 80-იანი წლების ბოლოს დაახლოებით 2 ათასი „ხაჩკარი“ ჯერ კიდევ ამ ადგილას იყო. ქვისგან გამოკვეთილი თითოეული საფლავის ქვა ხელოვნების უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენდა.

სომხები სასაფლაოს განადგურების შესახებ საუბრობენ და ამ მოვლენას ავღანეთში თალიბანის მიერ ბუდას ორი უზარმაზარი ფიგურის დანგრევას ადარებენ. აზერბაიჯანი კი, თავის მხრივ, სომხეთს პროვოკაციასა და მის ტერიტორიაზე არსებული აზერბაიჯანული ძეგლების განადგურებაში ადანაშაულებს.

IWPR-ის კორესპონდენტი პირველი ჟურნალისტია, რომელმაც აზერბაიჯანისა და ირანის საზღვართან მდებარე სასაფლაო მოინახულა და საფლავების სრული განადგურების ფაქტი დაადასტურა.

ჯულას სასაფლაოს ბედით ევროპის პარლამენტი, იუნესკო და ბრიტანეთის ლორდთა პალატაც დაინტერესდა. ამჟამად ევროპის პარლამენტის დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით სამხრეთ კავკასიაში იმყოფება. თუმცა უშუალოდ სასაფლაოს ადგილის მონახულების უფლება არც ერთ დაინტერესებულ მხარეს არ მისცეს.

თუ საერთაშორისო დამკვირვებლები სასაფლაოს განადგურების ფაქტის დადასტურებას შეძლებენ, ამ მოვლენას ორ ქვეყანას შორის მწვავე დაპირისპირების ახალი ტალღა უეჭველად მოჰყვება, რადგან 1994 წელს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დასრულების შემდეგ აზერბაიჯანი და სომხეთი ურთიერთბრალდებათა მწვავე ომში არიან ჩაბმული.

IWPR-ის კორესპონდენტს სასაფლაოს ადგილის მონახულებისას აზერბაიჯანის უშიშროების სამსახურის ორი თანამშრომელი ახლდა და გადაადგილების უფლებაც შეზღუდული ჰქონდა. მან მდინარე არაქსთან ყოფილი სასაფლაოს ადგილამდე ჩასვლა ვერ შეძლო, რადგან ეს ტერიტორია დაცულ სასაზღვრო ზონაში მდებარეობს.

თუმცა, ჩვენმა კორესპონდენტმა კარგად დაინახა, რომ იმ ადგილას სასაფლაო აშკარად აღარ იყო – მხოლოდ გადაშიშვლებული მიწის მონაკვეთი მოჩანდა. იქ არც საწვრთნელი სამხედრო ბანაკი იყო, როგორც ამას ზოგიერთი სომეხი აცხადებს.

IWPR-ის კორესპონდენტმა მხოლოდ XX საუკუნის სომხური საფლავის ქვებიანი სასაფლაოს დანახვა მოახერხა, რომელიც მახლობლად მდებარე სოფელში ხელუხლებლად იყო დატოვებული.

ეს ტერიტორია ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მიუწვდომელი ადგილია. ის სომხეთისა და ირანის ტერიტორიებით შემოსაზღვრულ ნახიჩევანის რეგიონში მდებარეობს, რომელიც აზერბაიჯანის კუთვნილებაა. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მოუგვარებელი კონფლიქტის გამო ნახიჩევანი აზერბაიჯანის დანარჩენ ტერიტორიას მხოლოდ საჰაერო გზით უკავშირდება.

ძველი ჯულფა, ან როგორც მას სომხები უწოდებენ, ჯულა მდინარე არაქსის ჩრდილოეთ ნაპირზე მდებარეობს. ეს მდინარე ნახიჩევანს ირანისგან ჰყოფს.

სომეხი ისტორიკოსებისა და სხვა მკვლევარების ნაშრომთა მიხედვით, შუა საუკუნეებში ჯულფა საკმაოდ განვითარებული სომხური ქალაქი იყო. მაგრამ 1604 წელს სპარსეთის შაჰმა აბასმა ქალაქის მცხოვრებლები ისპაჰანში გადაასახლა, სადაც ახალი ჯულფას სახელით ცნობილი სომხური დასახლება დღემდე არსებობს.

ქალაქის ნანგრევები და სასაფლაო, რომელიც ამ ადგილზე დარჩა, წლების განმავლობაში არაერთმა მოგზაურმა მოინახულა. ბრიტანელი აღმოსავლეთმცოდნე სერ უილიამ ოუსლი აქ 1812 წლის ივლისში ჩამოვიდა და „ახლა სრულიად დაცემული ქალაქი“ (ასე უწოდა მან ამ ადგილს) და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განთქმული ქვის ხიდების ნანგრევები აღმოაჩინა.

„შევისწავლე ჯულფას ძირითადი ნანგრევები. ქალაქის მთელ მოსახლეობას, როგორც ჩანს, ყველაზე დაბალი ფენის 45 სომხური ოჯახი შეადგენდა“, – წერდა ოუსლი.

„თუმცა მისი ადრინდელი მოსახლეობის მრავალფეროვნებაზე საკმარისად მეტყველებს დიდი სასაფლაო, რომელიც მდინარის ნაპირას ფერდობზე მდებარეობს და საფლავის ქვების მრავალრიცხოვანი რიგებით არის დაფარული. ახლოდან ქვის რიგები ხალხის შეკრებას ან მწყობრში ჩამდგარ ჯარისკაცებს მოგაგონებთ“, – აღნიშნავდა ოუსლი.

ნახიჩევანის სომხური ძეგლების მთავარი ექსპერტის, ისტორიკოს არგამ აივაზიანის განაცხადებით, ჯულა შუა საუკუნეების ხელოვნების უნიკალური ძეგლია და ამ დრომდე შემორჩენილი ყველაზე დიდი სომხური სასაფლაო იყო. აქ გვხვდებოდა ვერძის ფორმის უნიკალური საფლავის ქვები და მასიური ქვის ხიდის ნანგრევები. აივაზიანის თქმით, ერთ ადგილზე თავმოყრილი ათასობით ,,ხაჩკარი“ მსოფლიოში სხვაგან არსად არ მოიძებნებოდა.

აივაზიანმა ეს ძეგლი ბოლოს 1987 წელს მოინახულა, როცა საბჭოთა პერიოდში ცუდად მოვლის მიუხედავად, ძირითადად ჯერ კიდევ დაუზიანებელი იყო.

ნახიჩევანში დაბადებულმა სომეხმა ხელოვანმა ლუსიკ აგულეცმა სასაფლაო ბოლოს ასევე 1987 წელს მოინახულა. იქ იგი გამცილებლების თანხლებით იმყოფებოდა.

„სომხეთში მსგავსი არაფერია. ეს უდავოდ შთამბეჭდავი ადგილი იყო. ორი გორაკი მთლიანად ,,ხაჩკარებით“ იყო დაფარული. მათი გადახატვის ან ფირზე აღბეჭდვის უფლება არ გვქონდა“, – განაცხადა აგულეცმა.

„ძველი ჯულას „ხაჩკარების“ განადგურება კაცობრიობის ისტორიაში მთელი ფენომენის წაშლას ნიშნავს, რადგან ისინი არა მარტო მათი შემქმნელი ხალხის კულტურის დამადასტურებელია, არამედ გარკვეული კულტურული ეპოქის ამსახველი სიმბოლოებიცაა“, – განაცხადა სომხეთის ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ჰრანუშ ხარატიანმა.

„ნახიჩევანის ტერიტორიაზე 27 ათასი მონასტერი, ეკლესია, „ხაჩკარი“, საფლავის ქვა და სხვა სომხური ძეგლი არსებობდა. დღეს ყველა მათგანი განადგურებულია“, – განაცხადა აივაზიანმა.

მიუხედავად იმისა, რომ სასაფლაოს ისტორიულ წარმომავლობას აზერბაიჯანში ეჭვქვეშ აყენებენ, მისი კულტურული მნიშვნელობა დასტურდება დავიდ ახუნდოვის მიერ 1986 წელს აზერბაიჯანულ ენაზე გამოცემულ წიგნში „უძველესი და ადრეული შუა საუკუნეების აზერბაიჯანის არქიტექტურა“. წიგნი ჯულას ქვის ჯვრების ამსახველ რამდენიმე ფოტოსაც შეიცავს.

ახუნდოვის წიგნის მიხედვით, ქვები კავკასიური ალბანური წარმოშობისაა. ეს მოსაზრება აზერბაიჯანში იმ ოფიციალური სასწავლო თეორიის ნაწილია, რომლის თანახმადაც ქვეყანაში არსებული ქრისტიანული მონუმენტები არა სომხების, არამედ ალბანელების მიერ არის შექმნილი. კავკასიელი ალბანელები, რომლებიც ახლანდელ ალბანეთთან კავშირში არ არიან, სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში ცხოვრობდნენ. მათი კულტურის გაქრობა შუა საუკუნეებში დაიწყო.

დღეს, სასაფლაოს ყოფილი ადგილსამყოფელის მახლობლად სოფელი გულისტანი მდებარეობს, სადაც 500-მდე მოსახლე ცხოვრობს. აქ მკაცრი, მშრალი კლიმატია და სახლები ძირითადად თიხითა და რიყის ქვითაა ნაშენი.

სიტყვაძუნწი ადგილობრივი მაცხოვრებლები აქ ოდესღაც სომხური სასაფლაოს არსებობას უარყოფენ.

„ჯულფას ზოგიერთ ნაწილში ისტორიული ქრისტიანული სასაფლაოებია შემორჩენილი, მაგრამ ისინი კავკასიელი ალბანელების ძეგლებია და სომხებთან არავითარი კავშირი არ აქვთ“, – განაცხადა ჯულფას მცხოვრებმა, პოლიტოლოგმა ზაურ იბრაგიმლიმ.

იბრაგიმლიმ ასევე აღნიშნა, რომ სოფელ სალხანგაიას მახლობლად დღემდე შემონახულია დიდი სომხური სასაფლაო და ეკლესია.

ჯულფას ადგილობრივი გაზეთის „არაქსის ხმის“ რედაქტორის ჰუსეინ შუკურალიევის განცხადებით, სასაფლაოს განადგურება ჯერ კიდევ 1828 წელს დაიწყო, როცა აზერბაიჯანი რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. შუკურალიევის თქმით, ათასობით საფლავის ქვა მეოცე საუკუნის დასაწყისში, რკინიგზის გაყვანის დროს განადგურდა.

აზერბაიჯანის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერი საფარ აშუროვი სასაფლაოს სომხურ წარმომავლობას ეჭვის ქვეშ აყენებს და ვერძის ფორმის ქვებს „განსაკუთრებულად თურქული მუსლიმანური საფლავის დეკორაციის ელემენტს“ უწოდებს.

თუმცა, ორმა მოწმემ IWPR-თან საუბრისას სასაფლაოს უახლეს წარსულში განადგურების ფაქტი დაადასტურა. თუმცა შესაძლოა, მისი განადგურება გაცილებით ადრე დაწყებულიყო, ვიდრე სომხები აცხადებენ.

ბაქოში მცხოვრები თუნუქის ქილების შემკეთებელი ინტიგამი 1988-89 წლებში საბჭოთა ჯარში, ჯულფაში მსახურობდა. 1989 წლის ბოლოს რადიკალურმა ნაციონალისტმა აზერბაიჯანელმა პოლიტიკოსმა ნემატ პანაჰოვმა ნახიჩევანისა და ირანის საზღვარზე მდებარე სასაზღვრო პუნქტები დაშალა. ინტიგამის განცხადებით, ჯულფას სასაფლაოს ნაწილი ამ პერიოდში განადგურდა.

IWPR კომენტარისთვის პანაჰოვს დაუკავშირდა, მაგრამ მან ჩვენს კორესპონდენტთან საუბარზე უარი განაცხადა.

„ჟურნალისტები ყოველთვის მატყუებენ, მათთან საქმის დაჭერა აღარ მსურს“, – განაცხადა პანაჰოვმა.

მეორე მოწმე, რომელმაც სახელის საიდუმლოდ შენახვა გვთხოვა, აცხადებს, რომ აღნიშნულ ადგილას ,,ხაჩკარები“ ჯერ კიდევ 2002 წლამდე იყო, მაგრამ შემდეგ ისინი ნახიჩევანის სამხედრო დანაყოფის ბრძანებით აიღეს.

სომეხმა არქიტექტორმა არპიარ პეტროსიანმა IWPR-თან საუბრისას განაცხადა, რომ მან ამ ადგილზე არსებული ძეგლების ნახვის მიზნით ირანის მხარის საზღვარი 1998 წელს მეგობართან ერთად მოინახულა. ხიდის ნანგრევები მათაც დაინახეს. პეტროსიანის განცხადებით, მდინარის მეორე მხარეს, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მათ მატარებელი შენიშნეს, რომლის საშუალებითაც სასაფლაოდან აღებული ქვები გადაჰქონდათ.

სომხეთის კულტურის მინისტრის მოადგილის გაგიკ გიურჯიანის განაცხადებით, სომხეთის მთავრობამ საგანგაშო მდგომარეობის შესახებ 1998 წელს განაცხადა.

„მაშინ მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობა ფეხზე დავაყენეთ და განადგურების პროცესი შევაჩერეთ. მაგრამ 2003 წელს ძეგლების განადგურება განახლდა. ბევრი ,,ხაჩკარი“ მიწაში დაფლეს, დანარჩენი კი დაამტვირეს და არაქსში ჩაყარეს“, – განაცხადა გიურჯიანმა.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც თებერვალში პრეზიდენტ ილჰამ ალიევსა და პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანს შორის ყარაბაღის სამშვიდობო პროცესის შესახებ გამართული მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა, ჯულას ირგვლივ პროპაგანდის ომი ახალ ფაზაში შევიდა.

გასულ კვირას აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ჯულას სასაფლაოსთან დაკავშირებით სომხების ბრალდებები მკაცრად უარყო და მათ „ტყუილი და პროვოკაცია“ უწოდა.

ახლა საერთაშორისო ორგანიზაციები სასაფლაოს ადგილის მონახულებას მოითხოვენ. თებერვალში ევროპის პარლამენტმა რეზოლუცია მიიღო და სასაფლაოს განადგურება დაგმო.

აზერბაიჯანმა განაცხადა, რომ ევროპის პარლამენტის დელეგაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ ეს უკანასკნელი სომხეთის მიერ კოტროლირებად ტერიტორიასაც მოინახულებს. ყარაბაღის კონფლიქტის დასრულების შემდეგ აზერბაიჯანის საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის თითქმის მეშვიდედს სომხეთი აკონტროლებს.

„ვფიქრობთ, თუ წარმოჭრილი პრობლემების მიმართ ერთიანი მიდგომა შემუშავდა, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მათ შორის ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული ქრისტიანული ძეგლების შესწავლა შესაძლებელი იქნება“, – განაცხადა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა ტაჰირ ტაგიზადემ.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრო სომხეთის ტერიტორიაზე ძველი მუსლიმანური ძეგლების განადგურების შესახებ აცხადებს. განცხადებაში ნათქვამია, რომ ერთ დროს მუსლიმანების მმართველობის ქვეშ მყოფ და ამჟამად სომხეთის ტერიტორიაზე არსებულ ერევნის სახანოში სულ მცირე 1 587 მეჩეთი და 23 მადრასა განადგურდა. განცხადების თანახმად, მხოლოდ ზანგეზურსა და ეჩმიაძინში 830-ზე მეტი მეჩეთი დაინგრა, სომხეთის მასშტაბით 500-ზე მეტი მუსლიმანური სასაფლაო განადგურდა. განადგურების თარიღი განცხადებაში მითითებული არ არის.

სომხეთის ჰელსინკის კომიტეტის პრეზიდენტის ავეტიკ იშხანიანის განცხადებით, 2001 წელს თალიბანის მიერ ბამიანის ბუდას ძეგლების განადგურებაზე მწვავე რეაქციასთან შედარებით, საერთაშორისო საზოგადოებრიობამ ჯულას სასაფლაოს დანგრევაზე დროული რეაგირება არ მოახდინა.

„რატომ არ მოხდა ამ საქმის მიმართ იგივე რეაგირება? იმ პერიოდში მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღება თალიბანის რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიპყრობილი და ბარბაროსობის ეს აქტი მის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყების პროგოპაგანდისტულ იარაღად გამოიყენეს“, – დასძინა იშხანიანმა.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით. სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.
კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

# ღია ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. ბათუმის N1 საავადმყოფოს მიერ 2006 წლის (7 აპრილი) გაზეთ @"24 საათში" (პარასკევი. N75) გამოქვეყნებულ განცხადებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები.

1. განცხადების დასაწყისი, პირველი აბზაცი.

შ.პ.ს. ქ. ბათუმის N1 საავადმყოფო (ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის N37) აცხადებს ღია ერთეტაპიან ტენდერს (თოთხმეტ ლოტად) საავადმყოფოს მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო ცინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლიარად უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 28 აპრილს 10 საათიდან 16 საათამდე და 1 მაისს 10 საათიდან 16 საათამდე.

შემდეგ როგორც ტექსტშია.

10. როგორც ტექსტშია,შემდეგ

მიმღები ბანკი: საქართვალოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი. აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახური ა/ა

000142101 ბ/კ 220501102 ს/კ 245444844 აჭარის შ.პ.ს. ქ. ბათუმის N1 საავადმყოფოს სატენდერო მოსაკრებელი.

შესორება: III ლოტი

დაემატება

| | | |
|---|---|---|
| 15 | კლაფორანი 1,0 გრ | ფლაკონი 3000 |

შესწორება: XI ლოტი

შესწორდება

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 | syphilis ultra rapid test strip | შეკვრა | 60 (25 ტესტი) |

შესწორება ეხება მოცემულ ნომერში შ.პ.ს. ქ. ბათუმის N1 საავადმყოფოს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.



# საქართველოს პრეზიდენტის ახალი ინვესტიცია

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების

ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა ეკონომისტებს (MBA), სახელმწიფო მართვის სპეციალისტებს და ჟურნალისტებს (მედია მენეჯმენტი), რომლებიც 2006-2007 აკადემიური წლის განმავლობაში გააგრძელებენ სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროპის ან ამერიკის შეერთებულ შტატების უნივერსიტეტებში.

სამაგისტრო პროგრამების დაფინანსება მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიას და/ან სწავლასთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მათ შორის - მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს). შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

სამაგისტრო პროგრამის გრანტი გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, ვინც წარმოადგენს ოფიციალური მოწვევის წერილს ევროპის ან აშშ-ის რომელიმე უნივერსიტეტიდან, რაც ადასტურებს, რომ კანდიდატს გავლილი აქვს უნივერსიტეტში სწავლის ან სამეცნიერო მუშაობის დასაწყებად აუცილებელი ყველა წინასწარი გასაუბრება, კონკურსი, გამოცდა და ა.შ.

დეტალური ინფორმაცია (ასევე განაცხადის ფორმა) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდზე:

www.drf.org.ge

www.jobs.ge

შემდგომი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მოგვმართეთ მისამართზე:

**განვითარებისა და რეფორმების ფონდი**
**ჭანტურიას ქ. N12, თბილისი 0108 საქართველო**
**ტელ.: 996723**


ფეხბურთი

# ყველა გზა... ქუთაისში მიდის

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურია დარჩენილი და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა კულმინაციას აღწევს. ორი ტურის წინ ოქროს მედლების მთავარი მაძიებლების – "სიონისა" და "ვიტ ჯორჯიას" მატჩმა თითქოს საბოლოოდ გადაწყვიტა ჩემპიონის ბედი. მატჩი "სიონმა" მოიგო და "ვიტ ჯორჯიას" 6 ქულით გაუსწრო. ერთი შეხედვით, ქულათა ასეთი სოლიდური მარაგის გაფანტვა დარჩენილ ოთხ თამაშში ძნელი მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო. თუმცა, 22 აპრილს გამართულმა 27-ე ტურმა რადიკალურად შეცვალა ვითარება. "სიონი" გასვლით მატჩში დამარცხდა "ბორჯომთან", "ვიტ ჯორჯიამ" ქუთაისის "ტორპედოს" სძლია და წინა ტურის სტატუს კვო აღდგა: ლიდერსა და მდევარს შორის სხვაობა კვლავ სამი ქულაა. ეს კი, დამეთანხმებით, სულაც არ არის ბევრი.

მართალია, ფეხბურთში პროგნოზის გაკეთება საკმაოდ უმადური საქმეა, რაც არაერთხელ დადასტურებულა როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო დონეზე, მაგრამ ჯობს სტატისტიკა მოვიშველიოთ და ობიექტურ, გნებავთ, სუბიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით განვიხილოთ, მედლების მოპოვების თვალსზრისით ვის როგორი შანსი დარჩა.

მთავარ პრეტენდენტს და თითქმის უკვე ჩემპიონ "სიონს" უახლოეს ორ ტურში ამოსუნთქვის შანსი ეძლევა. 28-ე ტურში ბოლნისური კლუბი უმაღლესი დივიზიონიდან პრაქტიკულად გავარდნილ და უმოტივაციო თბილისის "სპარტაკს" მასპინძლობს. დედაქალაქურ კლუბს აქტივში სულ 15 ქულა აქვს და "მხსნელი" მე-14 ადგილიდან მთელი ხუთი ქულა აშორებს. იმის გათვალისწინებით, რომ ამავე ტურში გასავარდნი ზონიდან თავის დაღწევისთვის მებრძოლი კიდევ ორი გუნდი – "თბილისი" და სოხუმის "დინამო" ერთმანეთს უპირისპირდება, ეს 5-ქულიანი სხვაობა, "სპარტაკის" წარმატების შემთხვევაშიც კი, სულ მცირე, შენარჩუნდება. შესაბამისად, "სპარტაკის" ხელმძღვანელობას უკვე შეუძლია ზრუნვა დაიწყოს გუნდის საპირველლიგოდ მომზადებაზე. ამ მატჩში გამარჯვების მოპოვებაში "სიონს" მხოლოდ... "სიონი" თუ შეუშლის ხელს. მხედველობაში მაქვს ის არასახარბიელო ფსიქოლოგიური განწყობა, რომელიც "ბორჯომთან" მარცხისა და მდევრის წარმატების გამო ბოლნისური კლუბის ფეხბურთელებში გაჩნდებოდა. თუმცა, "სიონის" მთავარი მწვრთნელის კახაბერ ცხადაძის კვალიფიკაცია ნამდვილად იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ეს გუნდი შეძლებს საბრძოლველად განწყობას და "სპარტაკს" იოლად დაძლევს.



"სიონის" მთავარი თავის ტკივილი - "ამერი" შეტევაში.

ამ პროგნოზირებადი წარმატების მიუხედავად, ბოლნისური კლუბი სატურნირო სიმშვიდეს ვერ დაიბრუნებს, რისი თქმაც თითქმის ასი პროცენტის სიზუსტით შეიძლება. ამავე ტურში "ვიტ ჯორჯია" თბილისის "ლოკომოტივს" სტუმრობს და არანაკლები ალბათობით შეძლებს გამარჯვების მოპოვებას. ეს მატჩი რომ პირველ წრეში გამართულიყო, როცა "ლოკომოტივი" აღმავლობის გზაზე იყო და თავად იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის, ვერავინ იტყოდა, ვინ გაიმარჯვებდა. სამწუხაროდ, ამ გუნდს დაფინანსება შეუწყდა, ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელმა ზამთრის არდადეგებზე თავისი გზა მონახა და მეორე წრე "ლოკომოტივმა" სრულიად ახალი შემადგენლობით დაიწყო. შედეგად – 12 თამაშში თერთმეტი წაგება და ერთი ფრე – მეორე წრის აბსოლუტური ანტირეკორდი ამ გუნდის პასივშია. პირველ წრეში 33 ქულის მომპოვებელმა გუნდმა თავის ყულაბას მეორე წრეში კინკილა ქულა შემატა და, საშემოდგომო მონაგარი რომ არა, პირველ ლიგას ვერ აიცილებდა. ახლა გუნდი მერვე ადგილზეა, არავითარი სატურნირო პრობლემა არა აქვს, მოტივაციითაც ვერ დაიკვეხნის და ერთხელ ჩემპიონობანაგემებ და "ოქროზე" დაგეშილ ვეტერინართა გუნდს რომ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს, ფაქტია.

29-ე ტურში "სიონი" ბოლო საშინაო მატჩს გამართავს. ამჯერად ამ გუნდს "სპარტაკზე" გაცილებით სერიოზული მეტოქე ეყოლება თბილისის "ამერის" სახით. მაგრამ აქ არის სიტუაცია, რომელმაც, შესაძლოა, მატჩის ბედზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს. საქმე კი დავით ყიფიანის სახელობის თასს ეხება. ამ ტურნირის ნახევარფინალში წილისყრამ სწორედ "სიონი" და "ამერი" დაწყვილა. "ამერს" ტიტულის მოგებისა და უეფას ზონაში მოხვედრის ეს ერთადერთი შანსი – თასის მოგება აქვს დარჩენილი. მით უმეტეს, რომ ამ გუნდების პირველი ნახევარფინალური შეხვედრა, რომელიც ბოლნისში გაიმართა, 0:0 დასრულდა. განმეორებითი მატჩი 2 მაისს გაიმართება თბილისში. თუ "ამერი" ფინალის საგზურს მოიპოვებს, ძალების კონცენტრაციას სწორედ თასის ფინალზე გათვლით გააკეთებს და არა 6 მაისის მატჩზე, რომელიც სატურნირო თვალსაზრისით, მორალურის გარდა, ვერავითარ სარგებელს ვერ მოუტანს. ხოლო თუ ისე მოხდა, რომ ბოლნისელებმა თასის ფინალში გააღწიეს, მაშინ 29-ე ტურში უმძიმესი ბრძოლის გადატანა მოუწევთ. ჩემი აზრით, ეს ნაკლებად სავარაუდოა და აი რატომ. არ იფიქროთ, რომ "ამერისა" და "სიონის" პატიოსნებაში შემაქვს ეჭვი და ურთიერთხელსაყრელ გარიგებაზე ვაკეთებ აქცენტს. უბრალოდ, ორ ფრონტზე ბრძოლა, თუნდაც საქართველოს პირობებში, თვით ვარსკვლავებით სავსე თბილისის "დინამოსაც" უჭირდა საუკეთესო წლებში, როცა მის შემადგენლობაში არველაძეები, ქინქლაძე, ნემსაძე, ჯამარაული, კობიაშვილი, კალაძე და ასეთი დონის ფეხბურთელები იყვნენ. მით უმეტეს, არც "სიონს" და არც "ამერს" არა აქვთ იმის რესურსი, რომ ორ ფრონტზე იბრძოლონ. ერთი სიტყვით, თუ "ამერი" ფინალში გავიდა, ხოლო "სიონმა" ბოლოსწინა ტურში გაიმარჯვა, მოულოდნელი ნამდვილად არ იქნება.

მაგრამ "სიონს" ვერც ეს გამარჯვება შეუქმნის სატურნირო კომფორტს. ამ ტურში "ვიტ ჯორჯია" კიდევ უფრო უპრობლემოდ მიითვლის სამ ქულას, რადგან გორის "დილას" მასპინძლობს. გორელებმა მთავარი ამოცანა წარმატებით გადაწყვიტეს – 25 ქულა დააგროვეს და ლიგიდან გავარდნისგან პრაქტიკულად დაიზღვიეს თავი. ასეთ "კმაყოფილ" აუტსაიდერთან რომ "ვიტ ჯორჯია" მორიგ ქულებს მიიმატებს, ყველამ კარგად იცის. რჩება ბოლო ტური, რომელიც სერიოზულ გამოცდას უმზადებს ოქროსმაძიებლებს, პირველ რიგში კი, "ვიტ ჯორჯიას". ამ ტურში თბილისური კლუბი ბათუმის "დინამოსთან" გასვლით მატჩში შეეცდება ოქროს მედლების მოპოვების ბოლო შანსის გამოყენებას. "ბათუმი" კი ის "ბათუმი" ნამდვილად აღარ არის. ის "ლოკომოტივის" სრული ანტიპოდია. მეორე წრეში ზღვისპირელებმა 12 მატჩიდან 10-ში გამარჯვება იზეიმეს, ორი ფრედ დაასრულეს და 35 ქულა დააგროვეს. ეს 21-ე საუკუნის საქართველოს ჩემპიონატების რეკორდია. თუ როგორ გუნებაზე იქნება ამ მატჩის წინ ბათუმის "დინამო", უახლოეს ტურში, თბილისის "დინამოსთან" მატჩის შემდეგ გაირკვევა. დედაქალაქელებთან წარმატების შემთხვევაში ამ გუნდს მესამე ადგილის დაკავების რეალური შანსი უჩნდება და ამ შანსის რეალიზებას "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩში შეეცდება. თუ მომდევნო ტურში თბილისელები იმარჯვებენ, მაშინ ეს შანსი ნულს გაუტოლდება და ვეტერინარებსაც ნაკლებად მოტივირებულ მეტოქესთან მოუწევთ თამაში. ლიდერი კი ქუთაისის "ტორპედოს" სტუმრობს და ამ არცთუ ძლიერ მეტოქესთან მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაშიც "ოქროს" დაისაკუთრებს. ასე რომ, ოქროს მედლების ბედი საბოლოოდ სწორედ ქუთაისში გადაწყდება.

ჭიდაობა

# ევროპული სარმა რუსულად

გიგა გურასაშვილი

*მაშინ, როდესაც რუსეთმა ქართულ პროდუქციას, ფაქტობრივად, ემბარგო დაუწესა, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა ორთაბრძოლები გადახდებათ ქართველ ფალავნებს რუსეთის დედაქალაქში, რომელიც 25-30 აპრილს მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს. რა შუაშია სპორტი პოლიტიკასთან? შუაშია და მერე როგორ! ამის არაერთი მაგალითი არსებობს. თანაც, როგორი. ჭიდაობა კი სპორტის ის სახეობა, რომელშიც ყოველთვის აშკარა იყო მიკერძოებული მსაჯობა. თამამად შეიძლება ვთქვათ: ხალიჩაზე რომ მაფიაა, ისეთი ალბათ თითზე ჩამოსათვლელ სახეობებში თუ იქნება.*



ამასობაში ჩვენი "კეთილი მეზობლები" საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს რუსეთში შესასვლელ ვიზაზე უარს ეუბნებიან. სპორტული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, კახა გეწაძეს წითელი აუფრიალეს. თავისუფლად შეიძლება ითქვას: რუსებმა საქართველოს ნაკრები ფსიქოლოგიურად წინასწარ გატეხეს. რუსეთის ნაკრები ის გუნდია, რომელიც ყოველთვის ქართველ ფალავანთა ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტად ითვლებოდა. ლოგიკით, მოსკოვში დიდი წარმატების იმედი არც უნდა გვქონდეს.

მსოფლიოში არაერთი მაგალითი არსებობს იმისა, თუ მსგავს სიტუაციებში როგორ გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას ესა თუ ის ქვეყნები. პროტესტის სხვადასხვა ფორმას ვგულისხმობ. კარგი იქნებოდა, თუ საქართველოს ნაკრები და, პირველ ყოვლისა, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია საერთოდ უარს იტყოდა რუსეთში – ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებაზე. ხანდახან ასეთი რადიკალური ნაბიჯებიც საჭიროა, რომელიც ჩვენზე ძლიერ თუ დალხენილ ქვეყნებსაც გადაუდგამთ და რომელიც უფრო ფასეულია, ვიდრე ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული ოქროს მედალი. ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკური სიტუაციის გამო ოლიმპიურ თამაშებზეც უთქვამთ უარი ქვეყნებს და მათ ნაკრებებს.

ეს ისაა, რისი თქმაც მინდოდა. ახლა კი ორიოდე სიტყვით იმათზე, ვინც უკვე მოსკოვშია და დიდი ორთაბრძოლებისთვის ემზადება.

პირველად ბერძენ-რომაელთა ნაკრები გავა ხალიჩაზე, შემდეგ კი თავისუფლები ჩაიბარებენ ესტაფეტას. საქართველოს ბერძნულ-რომაული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე შვიდივე წონით კატეგორიაში იასპარეზებს. ამასთან, თუ მანუჩარ კვირკველიას არ ჩავთვლით, გუნდი მთლიანად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული.

აი, ისინიც: რევაზ ლაშხი (55კგ.), რამინ უნგიაძე (60), ალექსანდრე ტაბატაძე (66), მანუჩარ კვირკველია (74), შალვა გადაბაძე (84), პაატა დვალიძე (96), რევაზ ჭელიძე (მძიმე წონა).

კალათბურთი

# NBA-ში ფლეი-ოფებია

## ლებრონ ჯეიმსი ისტორიაში შევიდა

მამუკა ხოშტარია

აღდგომას ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში ფლეი-ოფები დაიწყო. ყველაზე დიდ ინტრესს იწვევდა ფლორიდაში ადგილობრივი "მაიამი ჰიტისა" და "ჩიკაგო ბულზის" დაპირისპირება. "ხარები" რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს ისე ათამაშდნენ, რომ ბევრი სპეციალისტი "ჩიკაგოს" ჯორდანისეული დიდების დაბრუნებაზე ალაპარაკდა. შესაბამისად, "ჰიტს" საკუთარ პარკეტზეც რომ არ ელოდა იოლი გასეირნება, ადვილად სავარაუდებელი იყო. მატჩმა მოლოდინი გაამართლა. "მაიამის" ლიდერის დუეინ ვეიდის მიერ ბოლო წამებზე ზედიზედ გამოყენებულიმა საჯარიმოებმა გადაწყვიტეს თამაშის ბედი - 111:106. ასევე აღსანიშნავია "ჰიტის" მეორე ლიდერის შაკილ ო'ნილის კარგი თამაში. მან, ვეიდის მსგავსად, ორმაგი დუბლით დაასრულა მატჩი. მეორე შეხვედრაში "მაიამის" მძიმე ფორვარდი ადონის ჰასლემი ვერ დაეხმარება. მსაჯის შეურაცხყოფისთვის მას მოედანი დაატოვებინეს და მომავალ შეხვედრასაც გამოტოვებს. ადონისის არყოფნა ფლორიდელთათვის დიდი დანაკლისია. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ჰასლიმმა წლევანდელ სეზონში 80 მატჩი დაიწყო სასტარტო ხუთეულში.

ასევე დიდ ინტერესს იწვევდა კლივლენდში ადგილობრივი "კავალიერსისა" და დედაქალაქური "ვიზარდსის" დაპირისპირება. "კავალიერსმა" დიდი ხნის შესვენების შემდეგ მოიპოვა ფლეი-ოფში თამაშის უფლება და ამას გუნდის უდავო ლიდერს ლებრონ ჯეიმსს უნდა უმადლოდეს. უკვე მეფის მეტსახელის მატარებელმა ლებრონმა ამ მატჩში სამმაგი დუბლი მოახერხა და ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში მესამე კალათბურთელი გახდა, ვინც თავის პირველივე საფლეიოფო მატჩში სამმაგი დუბლის გაკეთება შეძლო. დედაქალაქელებს "ვიზარდსის" ჯილბერტ არინასის 26 ქულამაც არ უშველა - 97:86 და "კავალიერსი" სერიაში, რომელიც ოთხ მოგებამდე გაგრძელდება, 1:0 დაწინაურდა.

**სხვა მატჩების შედეგები:**

| | |
|---|---|
| "სან-ანტონიო სპურსი" - "საკრამენტო ქინგზი" | 122 : 88 |
| "ლოს-ანჯელესს კლიპერსი" - "დენვერ ნაგეტსი" | 89 : 87 |

მოკლედ

## ყველაზე ძვირფასი მსოფლიოში

"ბარსელონას" ბრაზილიელმა ფეხბურთელმა რონალდინიომ, როგორც მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებულმა ფეხბურთელმა, უკან ჩამოიტოვა ბექჰემი. ინგლისის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ნახევარმცველი ამ წოდებას სამი წლის განმავლობაში ატარებდა, მაგრამ ახლა ამ თავისებურ რეიტინგში მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა. რონალდინიომ წელს საერთო ჯამში 23 მილიონი ევრო გამოიმუშავა. აქ შედის არა მარტო ფეხბურთელის ხელფასი, არამედ პრემიები სარეკლამო ბლოკებიდან და სხვა შემოსავლები.

ბექჰემმა კი შარშან გამომუშავებული 25 მილიონის ფონზე წელს მხოლოდ 18 მილიონი იკმარა. მესამე პოზიციაზე მადრიდის "რეალის" კიდევ ერთი ფეხბურთელი რონალდოა, რომლის ანგარიშზეც 17,4 მილიონი ევროა.

ყველაზე ძვირად ღირებული მწვრთნელი, რა თქმა უნდა, ჟოზე მოურინიოა. მისი შემოსავალი წელიწადში 10,9 მილიონი ევროა. შემდეგ მოდის ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სვენ-გორან ერიქსონი 6,9 მილიონი ევროთი.

## ფინალში გავალთ!

"მილანის" მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ამტკიცებს, რომ მისი გუნდი ბარსელონაში დაამარცხებს მასპინძლებს და ფინალში გააღწევს. "ჩვენ ამ მატჩის წინ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი, რადგან ასეთ მატჩებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება გვაქვს. ეს ის თამაშია, რომელიც შეგვიძლია და ვალდებულნიც ვართ მოვიგოთ. რა თქმა უნდა, "ბარსელონა" უდიდეს უპირატესობას ფლობს, რაკი "სან სიროზე" მოიგო, მაგრამ, ვფიქრობ, კატალონიელები იგივე სტილში ითამაშებენ, როგორც მილანში. ჩვენ კი მთელი 90 წუთი ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც მილანური მატჩის პირველი ერთი საათი. გუნდი ამ მატჩისთვის სერიოზულად არის განწყობილი", - განაცხადა კარლო ანჩელოტიმ.

## მარტინსი ანრის სანაცვლოდ

მილანის" ინტერს დიდი იმედი აქვს, რომ ლონდონის "არსენალის" ფორვარდ ანრისთვის ბრძოლას მოიგებს და თავის წინადადებას დაუმატა აბოფემი მარტინსიც. ასე რომ, თუ ლონდონელები მოისურვებენ, შეუძლიათ ფულის გარდა მარტინსიც მიიღონ. მიუხედავად იმისა, რომ ანრის შეძენა "რეალსა" და "ბარსელონას" სურთ, "ინტერი იმედს არ კარგავს. ლონდონელთა მწვრთნელი არსენ ვენგერი, ბუნებრივია, დაინტერესდება "ინტერის" წინადადებით, ფულის გარდა ფორვარდიც მიიღოს, რადგან მარტინსი სრულიად ჯდება ვენგერის ტაქტიკურ მონახაზში. მარტინსი კი, თავის მხრივ, ყველა შემთხვევაში დატოვებს მილანურ კლუბს იმ წარუმატებელი სეზონის შემდეგ, რომელიც მას "ინტერის" შემადგენლობაში ჰქონდა.

# ლიტერატურული პრემია "საბა 2006"

მაისში ლიტერატურული პრემია "საბას" რიგით მეოთხე დაჯილდოება გაიმართება, რომელზეც გამოვლინდება გასული, 2005 წლის საუკეთესო წიგნები და ავტორები.

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია "საბა" 2003 წელს დააფუძნა თი-ბი-სი ბანკმა, "ქართულმა პენ-კლუბმა" და გაზეთმა "24 საათი". პრემიის მიზანია წლის საუკეთესო ავტორებისა და ნაწარმოებების შეფასება 8 ნომინაციის მიხედვით,.

ტრადიციულად, პრემია "საბა" გაიცემა შემდეგ ნომინაციებში:

1. წლის საუკეთესო პროზაული კრებული
2. წლის საუკეთესო რომანი
3. წლის საუკეთესო პოეტური კრებული
4. წლის საუკეთესო თარგმანი
5. წლის საუკეთესო პიესა
6. წლის საუკეთესო კრიტიკა, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა
7. წლის საუკეთესო დებიუტი
8. პრემია ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის

სპეციალურად შერჩეული 7-კაციანი ჟიურის მიერ პრემიაზე განიხილება საქართველოში წინა წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული, კრიტიკა და ესეისტიკა), უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი, ასევე პერიოდიკაში (პრესაში) გამოქვეყნებული ან წიგნად გამოსული ლიტერატურული კრიტიკის ნიმუშები და პიესები.

პრემია "ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის" გადაეცემა ავტორს, რომელსაც გამორჩეული წვლილი მიუძღვის ქართული ლიტერატურის წინაშე. წინა წლებში აღნიშნული პრემია გადაეცათ: ვახტანგ ჭელიძეს, ბაჩანა ბრეგვაძეს და ოთარ ჩხეიძეს.

ჟიურის შემადგენლობა ყოველწლიურად იცვლება. ის, ძირითადად, მწერლების, კრიტიკოსებისა და ლიტერატორებისაგან შედგება. ჟიურის წევრების ნაწარმოები ამ წელს საკონკურსოდ არ განიხილება. გამარჯვებულ ავტორებს, სპეციალურ პრიზთან ერთად, გადაეცემათ ფულადი ჯილდო.

წლევანდელი ჟიური მუშაობას თებერვლიდან შეუდგა. განხილული 220-მდე წიგნიდან შეირჩა "საბას" ფინალური ეტაპის შემდეგი ნომინანტები:

| საუკეთესო პროზაული კრებული | | | |
|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | [illegible] | ზამთრის წიგნი | [illegible] |
| 3 | [illegible] | ხიდი [illegible] | საარი |
| 4 | [illegible] | არიადნა და ორმოცი ყორანი | ლიტერა |

| საუკეთესო რომანი | | | |
|---|---|---|---|
| 1 | აკა მორჩილაძე | [illegible] | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | [illegible] | [illegible] | სიესტა |
| 3 | ზაზა ბურჭულაძე | [illegible] | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 4 | ბესიკ ხარანაული | ეპიგრაფები დაკარგული სამშობლოსათვის | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |

| საუკეთესო პოეტური კრებული | | | |
|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 2 | ზვიად რატიანი | გზები და დღეები | არტანუჯი |
| 3 | რატი ამაღლობელი | წრე | გამოიცა ავტორის ხარჯით |
| 4 | [illegible] | [illegible] | საარი |

| საუკეთესო დებიუტი | | | |
|---|---|---|---|
| 1 | თეონა დოლენჯაშვილი | [illegible] | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | [illegible] | [illegible] | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 3 | [illegible] | [illegible] | სტამბა "ფორმა" |

| საუკეთესო თარგმანი | | | |
|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 3 | | [illegible] | [illegible] |

| საუკეთესო პიესა | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ბასა ჯანიკაშვილი | პიესები | სიესტა |
| 2 | ლაშა თაბუკაშვილი | [illegible] | ჟურნ. "XX საუკუნე" |

| საუკეთესო კრიტიკა, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა | | | |
|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 3 | [illegible] | [illegible] | გამოიცა ავტორის ხარჯით |
| 4 | [illegible] | [illegible] | [illegible] |

# ქართული კულტურის დღეები სტამბულში

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის ინიციატივით, პირველი ივნისიდან თურქეთში გაიხსნება ქართული კულტურის დღეები, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნება.

როგორც პროექტის მენეჯერმა ქეთი კორძახიამ განაცხადა, სტამბულში ქართული კულტურის დღეების ორგანიზებასა და განხორციელებაზე თბილისისა და სტამბულის მერები იზრუნებენ. ქართული კულტურის დღეების ფარგლებში დაგეგმილია რამდენიმე ღონისძიება, რომელიც სამ დღეს გასტანს.

კორძახიას თქმით, პირველ ივნისს პროგრამის პირველი ნაწილი დაეთმობა ქართულ გალაკონცერტს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ნანი ბრეგვაძე, ვალერიან შიუკაშვილი, ანსამბლები "ქართული ხმები", "ერისიონი" და "ფორტე". საკონცერტო პროგრამის ორკესტრს ნიკა მემანიშვილი უდირიჟორებს. გალა კონცერტი დაგეგმილია ჯემალ რეშიდრეის საკონცერტო დარბაზში, რომელიც, კორძახიას თქმით, ქალაქში საუკეთესოა.

2 ივნისს სტამბულის ამფითეატრი "ერისიონის" სოლო კონცერტს უმასპინძლებს.

"ერისიონის" კონცერტის ხარჯებს მთლიანად სტამბულის მერია გაიღებს, ამიტომ იგი მაყურებლებისთვის უფასო იქნება. ამფითეატრი 5 ათას მაყურებელს იტევს, - განაცხადა პროექტის მენეჯერმა.

კულტურის დღეების დახურვის ცერემონია 3 ივნისს ერთ-ერთ სკვერში გაიმართება. მასზე, გალაკონცერტში მონაწილე ყველა შემსრულებლის გარდა, წარდგებიან საქართველოს მოძრაობის თეტრი და თითების თეატრი. დახურვის ცერემონიაში ადგილობრივი ქართული დიასპორის წარმომადგენლები და შემოქმედებითი კოლექტივებიც ჩაერთვებიან. ქართული კულტურის დღეების ფარგლებში თურქულ-ქართული ურთიერთობების ამსახველი ფოტოგამოფენაც მოეწყობა და გაიმართება ქართული არქეოლოგიური ნიმუშების გამოფენა. გამოფენა სახელწოდებით "სამკაული და ისტორია" ევროპისა და აზიის კულტურათა სინთეზის ფონზე უძველეს საქართველოში შექმნილი სამკაულები არქეოლოგიურ მასალას მოიცავს.

"კოლექცია, ასლების გარდა, ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით შექმნილ უძველესი სამკაულების თანამედროვე მოტივებსაც მოიცავს. მათ კოლექციაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ", - განაცხადა გამოფენის კოორდინატორმა მაკა დვალიშვილმა. არქეოლოგიური კოლექცია ძვ. წელთაღრიცხვის 25-ე საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნეში შექმნილ ნიმუშებს ეყრდნობა, რომლებიც, ძირითადად, XX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს არის აღმოჩენილი.

ქართული კულტურის დღეები სტამბულში უკვე მეორედ იმართება. წელს საპასუხო ღონისძიებას - თურქული კულტურის დღეებს - თბილისი სექტემბრის ბოლოს უმასპინძლებს.

ტელეკრიტიკა

# სააღდგომო სატელევიზიო მაუწყებლობა

ნინია კაკაბაძე

თითქოს პოლიტიკურმა ცხოვრებამ აზრი დაკარგა მას შემდეგ, რაც ოპოზიცია და უმრავლესობა გაიბუტა. შეწყდა კამათი, დებატები, ღია დაპირისპირება და ა.შ. ამიტომ ჩვენი სატელევიზიო ყუთების ცისფერი ეკრანიც განაცრისფრდა და უინტერესო გახდა. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ჩვენი უფროსი **ex**-ძმა გვიტევს, მის წინააღმდეგ კი ყველანი ერთსულოვანნი ვართ, რადგან ამ დროს შუღლი არაფრის მომტანია და მხოლოდ მტრის წისქვილზე წყლის დასხმაა. ასევე გაგვაერთიანა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულმა, რომელმაც სატელევიზიო ბადე 24-საათიან გრაფიკში მთლიანად ამოავსო. აი, მაგალითად, 22 აპრილს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში დილიდან პირდაპირ ეთერში ჩართული იყო იერუსალიმი. თითქმის მთელი დღის განმავლობაში ჩვენ თვალს ვადევნებდით, როგორ ვითარდებოდა მოვლენები იერუსალიმში და როგორ აღნიშნავდა ქართველების შეძლებული ფენა აღდგომის დღესასწაულს. ასე უნდა წავიდეთ კომპრომისზე მაშინ, როდესაც საზოგადოება ანუ მაყურებელი ჩვენით უკმაყოფილოა და მართლმადიდებელი მორწმუნეების დისკრედიტაციაში გვდებს ბრალს. თუ საზოგადოებრივ არხზე შობის ლიტურგია არ იყო ტრანსლირებული და ეს ერთმორწმუნე საზოგადოების რისხვის საბაბი გახდა, აღდგომაზე საჯარო ტელევიზიამ ყველა ცენტრალური ტაძარი შემოიარა, ჩანაწერებითა და პირდაპირი ჩართვით ამომწურავი ინფორმაცია მოგვაწოდა იმის შესახებ, თუ ვინ სად და როგორ აღნიშნავს ბრწყინვალე დღესასწაულს.

ხშირად საუბრობენ და ჩვენც ხშირად აღვინიშნავს ის ტენდენცია, რომ მედიას, განსაკუთრებით კი სატელევიზიო მედიას, მოსახლეობის აზრის მანიპულირების შეუდარებელი უნარი აქვს, რაც გარკვეულწილად იმასაც ნიშნავს, რომ აგიტაცია-პროპაგანდის მეშვეობით შესაძლებელია მაყურებლის მოტყუება, მცდარი შეხედულებების შექმნა, სიმართლის დამალვა და "სასარგებლო" ტყუილის პოპულარიზაცია. მაგრამ არ უნდა გამოვრიცხოთ ის დეტალიც, რომ რიგ შემთხვევაში მედია და ამ კონკრეტულ შემთხვევაში ტელევიზია, ნამდვილ, უტყუარ წარმოდგენასაც გვიქმნის რიგ საკითხებთან დაკავშირებით.

### რწმენა - შესაძლებლობის მიხედვით

მაგალითად, წელს სატელევიზიო ტრანსლაციების მიხედვით, ცხადი გახდა, რომ საქართველოში რწმენა შესაძლებლობების მიხედვით ფასდება. ქართული საზოგადოების მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს ისე სწამთ, როგორი შესაძლელობაც აქვთ. აღდგომის დღესასწაულზე ისინი იმ გზას გადიან, რომელიც ქრისტემ ჯვარცმამდე გაიარა. მაგალითად, თითქმის ყველა ტელევიზიის რეპორტაჟში ნაჩვენები იყო, როგორ განიწმინდა და განიბანა ადამიანური ცოდვებისგან ხათუნა გოგორიშვილი. მაშინ მე, როგორც მაყურებელს, რა უფლება მაქვს ეჭვი შევიტანო მის გულწრფელობაში. მით უმეტეს, როდესაც ვიცი, რომ იორდანეს მდინარეში განბანვის შემდეგ ქრისტეს გზაც გაიარა, წმინდა ცეცხლს შეეხო და სხვა. რა მიშლის ხელს, რომ ვირწმუნო – ხათუნაც აღსდგება! აბა, ვინ მოგვცა ჩვენ, უბრალო ტელემაყურებლებს იმის ბედნიერება, რომ ისევე განვიბანოთ, როგორც ხათუნა გოგორიშვილი და ვახტანგ გოგუაძე. სატელევიზიო რეპორტაჟებით კი მოსახლეობას ეძლევა საშუალება, ნახოს და, აქედან გამომდინარე, იცოდეს, ვინ რა სახით წარდგა აღდგომის დღესასწაულზე ღმერთის წინაშე.

ერთმნიშვნელოვნად კარგი იყო ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა ტელევიზიამ (აქაც მსგავსი დიფერენცირება ხდება), ყველა შეძლებულმა, შეძლებული მეპატრონის ტელეარხმა ("იმედი", "რუსთავი 2", "მზე", "საზოგადოებრივი მაუწყებელი") პირდაპირი ეთერით ან ჩანაწერით წარმოგვიდგინა ის შოუდ ქცეული დღესასწაული, რომელსაც ყველა ქრისტიანი ერთად აღნიშნავს. მათ შორის ჩვენი მართლმადიდებელი, შეძლებული ქართველებიც იყვნენ. საზოგადოებრივ არხზე წარმოდგენილი პირდაპირი ეთერი კი ყველაზე ნათელ და ნამდვილ სურათს ქმნიდა იმის შესახებ, თუ რამდენად შორს არიან ადამიანები ღვთის რწმენისგან. ეს ჩემი, რიგითი ტელემაყურებლის მოსაზრებაა.

### აღდგომა - სატელევიზიო პროპაგანდის საშუალება

კიდევ ერთი სინამდვილე ტელეეთერში. იერუსალიმის კადრებთან ერთად ჩვენ ასევე ვნახეთ, როგორ ხვდებიან აღდგომის დღესასწაულს საქართველოს საშუალო და დაბალი სოციალური ფენები. სამების ტაძარი ამჟამინდელი და ყოფილი ჩინოვნიკების შეხვედრის ადგილი იყო. იქ ყველა შეძლებული და საარსებო მინიმუმის ამარა დარჩენილმა ტელეკომპანიებმა მოიყარეს თავი. ბუნებრივია, ამდენი ტელეკამერის ცდუნებას საქართველოს პრეზიდენტმა ვერ გაუძლო და ამიტომ თბილისის გარეუბნებში არსებული ახლად ნაგები ტაძრებისკენ აიღო გეზი. რასაკვირველია, სადღესასწაულო განწყობაზე მყოფი ჟურნალისტები უკან გაჰყვნენ. აი, მაგალითად, როგორ იყენებს პრეზიდენტი მედიას სადღესასწაულო მდგომარეობაში, თუმცა ეს მას არც ნაკლებად მნიშვნელოვან დღეებში უჭირს. პირველი - ჩვენ ვხედავთ, რომ პრეზიდენტი არც იერუსალიმშია და არც მხოლოდ სამების ტაძარში ჩატარებული ლიტურგიით კმაყოფილდება. მას უბრალო ხალხთან სურს ურთიერთობა და ამიტომ გლდანში, ნუცუბიძის პლატოზე მიდის. ჩვენ ვფიქრობთ: მიშა რომ დადის ასე კარდაკარ, რათა მოსახლეობის რაც შეიძლება დიდ ნაწილს მიულოცოს დღესასწაული, ამ დროს სად არის, მაგალითად, კობა დავითაშვილი?! არასდროს ივიწყებს უბრალო მოსახლეობას და ყოველთვის გაურბის ელიტიზმს. ეს რომ მხოლოდ კამერებისთვის არ ხდებოდეს, რასაკვირველია, ჩვენს ქვეყანას ერთ-ერთი საუკეთესო პრეზიდენტი ეყოლებოდა. ამ შემთხვევაში კი გვყავს მხოლოდ კარგი "პიარშიკი" (როგორც მას უწოდებენ), რომელიც არასდროს უშვებს ხელიდან სათანადო დროს და მომენტს. თუმცა, რასაკვირველია, ეს ის საკითხია, რომელიც ყველაზე ნაკლებად შემაშფოთებელი და ყველაზე მეტად დასაფასებელია. თანამედროვე სამყაროში კარგი რეკლამის გარეშე სარეცხი ფხვნილი აღარ იყიდება და ადამიანი, თავისი ცუდი თუ კარგი თვისებებით ვერ გახდება მისი მომხმარებლად ვერ იქცევა.

პრეზიდენტი არც სხვა შანსს უშვებს ხელიდან – აღდგომის დღესასწაულზე ახლად დაგებულ გზებსა და განათებულ ქუჩებზე საუბრობს. ტელეკამერების წინ ისიც კი წამოსცდება, რომ ძალიან ახარებს ბრწყინვალე დღესასწაული და ახალი ტაძარი, მაგრამ გიგი უგულავას მიერ განათებული ქუჩები ყველაზე მეტად უნათებს გულს. არ ვიცი, როგორ შეაფასებს ამას მართლმადიდებელი ქართული "მრევლი".

ასე რომ, სადღესასწაულო სატელევიზო ეთერში უკვე მრავალჯერ გაგონილის კიდევ ერთხელ ნახვის საშუალებაც მოგვეცა და იმ სინამდვილის შეფასების შანსიც, რომელიც შესაძლებელია წლიდან წლამდე ტელეეთერის მიღმა დაიმალოს და, აქედან გამომდინარე, ჩვენ მხოლოდ კარგად გააზრებული და კარგად დამონტაჟებული სხვისთვის სასურველი ინფორმაცია მივიღოთ.

### მედია - მედიის ინტერესებისთვის

დღეს, როდესაც მაყურებელთა, პირობითად რომ ვთქვათ, ხმები თანაბრად არის გადანაწილებული სხვადასხვა არხებზე, საკუთარი თავის რეკლამირებას, პროპაგანდას, საზოგადოებაზე ზემოქმედების შანსს არა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები, არამედ თავად სატელევიზიო არხებიც იყენებენ. მაშინ, როდესაც საქართველოში მორწმუნეობა, ეკლესიურობა დროთა განმავლობაში მოდურ ტენდენციად იქცა, ამ დროს ტელევიზიებსაც ეძლევათ შესაძლებლობა დაამტკიცონ თავიანთი ერთგულება ხალხისადმი. ვინ უფრო საფუძვლიანად, კარგად და ლამაზად წარმოგვიდგენს აღდგომის დღესასწაულს. როგორც დასაწყისში აღვნიშნე, საზოგადოებრივმა არხმა მისი საშობაო დანაშაული სააღდგომოდ მოინანია და, ქალბატონი ხათუნა გოგორიშვილის მსგავსად, განიბანა ძველი ცოდვებისგან. ვერ დაამზადა "რეპორტაჟები ჯოჯოხეთიდან", მაგრამ გააკეთა ხანგრძლივი და ვრცელი პირდაპირი ეთერი "სამოთხიდან".

ასე ვთქვათ, მაყურებლის ინტერესების გათვალისწინებით, 23 აპრილს, ანალიტიკურ პროგრამა "დროებაში" 20-მდე სიუჟეტიდან თითქმის ყველა რელიგიურ თემაზეა. იერუსალიმი, ხანძთა, თბილისი, ლისაბონი და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი კუთხე-კუნჭული, სადაც მართლმადიდებლობის კვალი ჯერ კიდევ შემორჩა. ამ გადაცემის ხილვის შემდეგ მაყურებელი, რომლის 90 პროცენტი ეკლესიური ორიენტაციით ხასიათდება, იტყვის: "იმედი" მაინც ყველას ჯობს!

პრინციპებს არ ღალატობს და აშკარა კომპრომისზე არ მიდის "რუსთავი 2". წლების წინ არჩეული, საშუალო და გაწონასწორებული ზღვარი რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით დღესაც უცვლელი რჩება. სამწუხაროდ, ვარდების რევოლუციის შემდეგ ერთი კეთილი წამოწყება, რასაც ქართულ ეკლესიაში არსებულ პრობლემებზე მსჯელობა ერქვა, აღარ არსებობს. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ზომიერების გრძნობა, რომელიც მსგავს საკითხებში ახასიათებს ამ არხს. როგორც თავისი "რევოლუციური შვილების" მიმართ იჩენს ერთგულებას, "რუსთავი 2" ასევე არ ღალატობს საკუთარ პრინციპებს და, მაგალითად, საზოგადოებრივი არხის მსგავსად არ მიდის კომპრომისზე მაყურებლის ხმების მოსაგროვებლად.




**არსი**
**არქიტექტურა და სამშენებლო მენეჯმენტი**
**1989 წლიდან**

## "არსის" რჩევები მომხმარებელს - როგორ შევარჩიოთ სასურველი ბინა

### ახალი სახლი - კომფორტული გარემო და სასურველი დაგეგმარება





**როგორ შევარჩიოთ სასურველი ბინა თბილისში? სად სჯობს ბინის შეძენა ძველ თუ მშენებარე სახლში? რას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება ბინის შეძენისას? ერთი შეხედვით კითხვები რიტორიკულია, თუმცა აღნიშნულ თემაზე ამომწურავი ინფორმაციის მიღებას ჩვენი მკითხველი ერთი კვირაა ელის და არცთუ უსაფუძვლოდ.**

**როგორც დაგპირდით, ყოველ ორშაბათს (თუმცა ამჯერად ოთხშაბათს) კომპანია "არსი" მზად არის დაინტერესებული პირების ცნობისმოყვარეობა სპეციალური რუბრიკის საშუალებით, თქვენივე გამოგზავნილი კითხვებზე დაყრდნობით დააკმაყოფილოს და მოგაწოდოთ ინფორმაცია, ვისაც ეს გესაჭიროებათ.**

**როგორც ჩანს, ამ მისიის შესრულება საკმაოდ რთული აღმოჩნდა, თუმცა ჩვენი სურვილია გამოვიყენოთ თქვენთან დიალოგის შანსი და გაგიზიაროთ ცოდნა, რომელიც კომპანიის 16-წლიან გამოცდილებასა და თანამშრომლების პროფესიონალიზმს ემყარება. ასეა თუ ისე, პირველი შეხვედრა შედგა...**

უკანასკნელ წლებში ჩვენი დედაქალაქი ძალიან შეიცვალა, პროცესი დღესაც გრძელდება, ეს არც ისე რთული შესამჩნევია. საკმარისია, ცოტა ხნით გავისეირნოთ თბილისის ქუჩებში და უამრავ მშენებლობას წავაწყდებით. დღეს არსებობს მოთხოვნა, რომელსაც დაკმაყოფილება სჭირდება. შესაბამისად, არსებული მოთხოვნის ფონზე, უძრავი ქონების ბაზარზე უკვე ფეხმოკიდებულ გამოცდილ თუ ახალბედა სამშენებლო კომპანიებს მიწოდებაზე ზრუნვა დაეკისრათ. საკმაოდ დიდ და მრავალფეროვან მოთხოვნას ისინი სხვადასხვა სახისა და ხარისხის საერთო თუ ინდივიდუალური ბინათმშენებლობით პასუხობენ. ხარისხი კი სამშენებლო ბიზნესში შენობა-ნაგებობების ფუნქციონალურობას, საიმედოობას და ესთეტიკურობას გულისხმობს.

არსებულ მოთხოვნას კი ის ფაქტორიც აძლიერებს, რომ თბილისის საბინაო რესურსების დიდი ნაწილი ავარიულ მდგომარეობაშია, ამასთან ბევრი ნაგებობისთვის თავდაპირველად დადგენილი სტანდარტული ამორტიზაციის პერიოდი გასულია ან რამდენიმე წელიწადში გავა. გასათვალისწინებელია, რომ თბილისის მოსახლეობაში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მოთხოვნილებები არსებობს, თუმცა დიდი ნაწილის ეს მოთხოვნილება მოთხოვნილებადვე რჩება, რადგან ისინი ისევ ძველ სახლში ამჯობინებენ საცხოვრებელი ფართის შეძენას. ამიტომაც არის, რომ დღესდღეობით 5-ჯერ მეტი ძველი ბინა იყიდება, ვიდრე ახალაშენებული თუ მშენებარე. მაშინ როცა, ფასები ძველ ბინებზე გაცილებით მაღალია, ვიდრე მშენებარე სახლებში. (მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ეგრეთწოდებული "ხრუშჩოვკა", 1 კვ/მ 50-100 დოლარით მეტი ღირს, ამასთან მისი ექსპლუატაციის ვადა გასულია). ამგვარი ქმედებით ისინი მხოლოდ დროებით იუმჯობესებენ საცხოვრებელ პირობებს, რასაც რეალურად გვიან აცნობიერებენ, მაშინ, როდესაც ძველი ბინით გამოწვეული დისკომფორტი კვლავ შეახსენებს თავს.

უძრავი ქონების შეძენისას მოსახლეობის ამგვარ მიდგომას სპეციალისტები, ყოველ შემთხვევაში სამშენებლო ბიზნესში ჩახედული ადამიანები, სამშენებლო კომპანიისადმი დაბალი ნდობის, მშენებლობის ხანგრძლივობისა და მყიდველის მხრიდან უბნის თუ სახლის მიმართ არსებული ლოიალურობით ხსნიან. კერძოდ, მყიდველი არ ენდობა ამა თუ იმ სამშენებლო კომპანიას, და მისთვის უპრიანია შეიძინოს ის უძრავი ქონება, რასაც რეალურად ხედავს ან სულაც მისთვის წამგებიანია დაელოდოს მშენებლობის დასრულებას. ხშირ შემთხვევაში კი, ასეთ გადაწყვეტილებას აძლიერებს სწორედ ლოიალურობის ფაქტორი, ანუ მყიდველს განსაკუთრებული დამოკიდებულება გააჩნია კონკრეტული სახლის თუ უბნის მიმართ და ის სხვა ფაქტორებზე ყურადღებას აღარ ამახვილებს.

ამავე დროს, ძველი ბინების ბაზარი იმდენად დიდია, რომ წინ უსწრებს მოთხოვნას. ამიტომაც არის რომ, ძალიან ბევრი ყიდულობს უკვე აშენებულ ბინას და არ აბანდებს თანხას მშენებარე სახლში. არადა მშენებარე ბინის შეძენა ფინანსურად უფრო მომგებიანია. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მყიდველს უნდა მისცე დრო და საშუალება, რათა ოპტიმალურ გადაწყვეტილებამდე მივიდეს, ჩვენი რუბრიკაც სწორედ ამას ემსახურება.

ერთი კვირის განმავლობაში კომპანიაში უამრავი ზარი შემოვიდა, უმრავლესობის ინტერესს მშენებარე სახლები წარმოადგენდა, ისინი ცდილობდნენ გარკვეულიყვნენ იმ უპირატესობებში, რომელიც ახალ ბინებს ძველისგან განასხვავებს.

**და მაინც რატომ სჯობს შეიძინო ბინა მშენებარე სახლში?**

ამ გადაწყვეტილების მიღებაში უდიდეს როლს თამაშობს **ფუნქციონალური მხარე**.

კერძოდ, **1. ბინის გარშემო არსებული გარემო, ინფრასტრუქტურა** - ახლადაშენებულ სახლებში სადარბაზოები, ავტოსადგომები და საერთო სარგებლობის ფართი მოვლილი და მოწესრიგებულია. ერთი სიტყვით, ახალი ბინა გაცილებით კომფორტულია და მყიდველი მისი შეძენისას მისთვის მისაღებ გარემოში შედის.

**2. უკეთესი დაგეგმარება** - თუ ფურცელზე წარმოდგენილი გეგმის აღქმას კლიენტი ვერ ახერხებს, ასეთ დროს ერთვება კომპანია, რათა მყიდველს მისცე საშუალება მოხვდეს სამშენებლო ობიექტზე, უკეთესად შეაფასოს ბინიდან გადაშლილი ხედი, საძინებლის თუ მისაღების სამომავლო ადგილმდებარეობა. ამიტომაც მყიდველი მშენებარე ბინის შეძენისას თავად ღებულობს მონაწილეობას საცხოვრებელი ფართის დაგეგმარებაში და საშუალება ეძლევა ეფექტურად, კომპაქტურად გამოიყენოს და საკუთარი გემოვნების მიხედვით გაანაწილოს შეძენილი ფართი, რაც ძველი ბინის ყიდვისას შეუძლებელია. უფრო მეტიც, მოსალოდნელია ფართი მოუხერხებლად იყოს განაწილებული და ბოლომდე ვერც კი აითვისოს.

**3. უფრო მეტი სიცოცხლისუნარიანობა** - ყველა ბინას თავისი რესურსი გააჩნია, კერძოდ, ახალი ბინების საექსპლუატაციო ვადა 50-100 წელს მერყეობს მაშინ, როცა ძველი ბინების დიდ ნაწილს რესურსი ამოწურული აქვს და უახლოეს 5-10 წელიწადში თავად დაიწყებს დაშლას. სამწუხაროდ, ზოგიერთ უბანში პროცესი უკვე დაწყებულია...

ფუნქციონალურზე უფრო მნიშვნელოვანი **ეკონომიკური მხარეა.** რეალურად , საკმაოდ ეფექტურია, კერძოდ, შეძენილი უძრავი ქონების ღირებულება მზარდია. ხოლო ძველი ბინების ფასი უკეთეს შემთხვევაში სტაბილურია, თუმცა მომავალში აუცილებლად დაიწევს. ერთი სიტყვით, ახალი ან მშენებარე ბინის შეძენისას, ფაქტობრივად ინვესტირებას ახდენთ - ფულს აბანდებთ უძრავ კაპიტალში. გარდა ამისა, მშენებარე ბინის შეძენისას, მომხმარებელს შეუძლია გადახდის გამარტივებული პირობებით ისარგებლოს - ბინა შესაძლებელია უპროცენტო განვადებით შეიძინო და ღირებულება ეტაპობრივად დაფარო, მაშინ როცა, ძველი ბინის ყიდვისას თანხას ერთაბაშად იხდი.

ალბათ ეს ინფორმაცია საკმარისია იმისათვის, რომ დაინახოთ მშენებარე ბინის შეძენის უპირატესობები ძველ ბინასთან შედარებით. ამ თემაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ, მოგვმართოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

მომავალი ორშაბათის თემაა: თბილისის ცალკეული უბნების დადებითი და უარყოფითი მხარეები. გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი შეკითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით.

*გემშვიდობებით მომავალ ორშაბათამდე,*
*"არსის" აღმასრულებელი დირექტორი* ***თორნიკე აბულაძე***

დაგვიკავშირდით: არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია "არსი"
**ტელ: 25-19-04**
info@arci.ge, www.arci.ge



## აფიშა

### 26 აპრილი

**თეატრი**

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი**
პრემიერა
ოთარ თაქთაქიშვილი
"მინდია"
რეჟისორი გეოგრ რუტენინგი
დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი**
"ღია შუშაბანდი"
რეჟისორი დიმიტრი ღვთისიაშვილი
დასაწყისი: 19.00

**თავისუფალი თეატრი**
"ძმები"
რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი
დასაწყისი: 19.00

**კინო**

**"ახმეტელი"**
"დიდი გამყინვარება"
დასაწყისი: 14:00; 15:45 სთ

"ძალიან საშიში კინო 4"
დასაწყისი: 17:30

"16 კვარტალი"
დასაწყისი: 19:15; 21:00

**"ამირანი"**
"სლივენის იღბლიანი რიცხვი"
დასაწყისი: 14:00; 17:00; 20:00; 22:15

**"რუსთაველი"**
"დიდი გამყინვარება"
დასაწყისი: 12:30; 14:30; 16:15

"ძალიან საშიში კინო 4"
დასაწყისი: 18.00

"16 კვარტალი"
დასაწყისი: 20:00; 22:15

**გამოფენა**

**"ქარვასლა"**
გიოსგი ხოსიტაშვილის ფოტოგამოფენა

# Mamma mia ეკრანებზე



თომ ჰენქსი და მისი საპროდიუსერო კომპანია "ფლეიტონი" მიუზიკლს "Mamma Mia!" (რომლის მუსიკაც ჯგუფ ABBA-ს ეკუთვნის) კინოსურათისთვის გაუკეთებენ ადაპტაციას. ბროდვეის სცენის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული შოუს ეკრანული ვერსია 2007 წლის კინოგაქირავებაში აღმოჩნდება.

ფინანსური დეტალები ჯერ არ არის შეთანხმებული, ასევე არაფერია ცნობილი მომავალი ფილმის მსახიობების შესახებ. გარდა იმ რეპლიკისა, რომელიც საპროდიუსერო კომპანიის წარმომადგენელმა უდი კრეიმერმა წარმოთქვა. მისი თქმით, შოუს შემთხვევაში ვარსკვლავებს არავინ ეძახის, რადგან მთავარი ვარსკვლავი მუსიკაა, მაგრამ კინო სულ სხვა საქმეა და რამდენიმე ცნობილ სახეს, როგორც კანდიდატურას, ისინი უკვე განიხილავენ.

მას შემდეგ, რაც 1999 წელს "Mamma Mia!" ბროდვეის სცენაზე პირველად გათამაშდა, წარმოდგენა 20 მილიონზე მეტმა ადამიანმა იხილა. წარმოდგენის შემქმნელებმა კი მისი წყალობით ასობით მილიონი დოლარი მიიღეს. მიუზიკლის სიუჟეტი ბერძნულ გამოგონილ კუნძულზე ვითარდება. მთავარი გმირი სოფია საკუთარ ქორწილში დედამისის – დინას სამ მეგობარ მამაკაცს პატიჟებს, რათა ახლა მაინც შეიტყოს, თუ ვინ არის მამამისი. საბოლოოდ სოფიას წინაშე მთელი რიგი მოულოდნელობები ხდება. ორმოქმედებიან წარმოდგენაში ისმის "აბბას" ისეთი ჰიტები, როგორებიცაა "Mamma Mia!", "Dancing Queen", "Lay All Your Love On Me", "Super Trouper" და მრავალი სხვა.

# უილიამი თუ ელიზაბეთის ქკვიანი ვაჟი



ამერიკელმა მწერალმა პოლ სტრეიცმა სულ ახლახან გამოაქვეყნა წიგნი-ნარკვევი "In Oxford: Son of Queen Elizabeth I", რომელშიც ირწმუნება, რომ შექსპირის გვარის მიღმა იმალებოდა გრაფი ოქსფორდ ედუარდ დე ვირ, რომელიც დედოფალ ელიზაბეთ I-ის უკანონოდ შობილი ვაჟი გახლდათ. პოლ სტრეიცის მტკიცებით, დიდი დრამატურგის მამა სამეფო კართან დაახლოებული თომას სეიმური იყო. ამ პუბლიკაციით აპრილის ბოლოს სტრეიცი გეგმავს სპეციალური ლექციის გამართვას, რათა საკუთარი თეორია ფართო აუდიტორიას გააცნოს.

ცნობილია, რომ თომას სეიმური ჰენრიხ VIII-ის მესამე ცოლის ჯეინ სეიმურის უმცროსი ძმა გახლდათ. თომასს ახალგაზრდა ელიზაბეთთან ჯერ კიდევ მაშინ ჰქონია ურთიერთობა, როცა მომავალი დედოფალი საკუთარ დედინაცვალთან ეკატერინე პართან, ჰენრიხ მერვის მეექვსე და უკანსკნელ ცოლთან ცხოვრობდა. ეკატერინას გერი ქალიშვილი არასასურველი თაყვანისმცემლისგან შორს გაუგზავნია და, როგორც ისტორია აზუსტებს, საბოლოოდ თავად გამხდარა თომასის მეუღლე.

ელიზაბეთის ორსულობის დასასაბუთებლად სტრეიცი მომავალი დედოფლის პარის სახლიდან წასვლას და მის დროებით გაუჩინარებას იშველიებს. ელიზაბეთის ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ ამ დროს იგი ავად იყო, თუმცა რა იყო მისი ავადმყოფობის მიზეზი, არ იციან. სტრეიცი დარწმუნებულია, რომ ელიზაბეთმა ბავშვი გააჩინა, რომელსაც ედუარდი დაარქვა და იგი ღირსეულ ადამიანს, ოქსფორდის მეთექვსმეტე გრაფს, ჯონ დე ვირს გადასცა აღსაზრდელად. სტრეიცი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ედუარდ დე ვირის საეკლესიო ჩანაწერები არ არსებობს. სხვა წყაროებიდან კი ცნობილია, რომ იგი 1550 წელს დაიბადა (შექსპირი – 1564).

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შექსპირის პიესების ავტორი მეჩვიდმეტე გრაფი ოქსფორდია, სულაც არ არის ახალი. ეს პოლ სტრეიცის მიგნება ნამდვილად არაა. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1920 წელს საუბრობდა ჯონ ლუნი და მას შემდეგ კიდევ არაერთი მკვლევარი. პოლ სტრეიცი, ამ ახალი წიგნის ავტორი, უბრალოდ, ამ ჰიპოთეზის გულმხურვალე მხარდამჭერია. თუ "გრაფი ოქსფორდის თეორიის" მხარდამჭერების თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, გრაფ ედუარდის კარგი განათლება და მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება (ის იყო იურისტი, რომელიც ძალზე ბევრს მოგზაურობდა) უკეთ ხსნის შექსპირის ფენომენსა და მის წარმატებულობას, ვიდრე უბრალო პროვინციელის, რიგითი ვაჭრის ვაჟის ბევრის ვერაფრის მთქმელი ბიოგრაფია.

# ოპერის თეატრის ახალი წარმოდგენა

გუშინ საღამოს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ოთარ თაქთაქიშვილის ოპერის "მინდიას ახალი დადგმის პრემიერა შედგა. საპრემიერო წარმოდგენები დღეს საღამოს და 28, 30 აპრილს განმეორდება. სპექტაკლის დამდგმელი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილია, რეჟისორი გეორგ რუტერინგი მოწვეული გახლდათ თბილისში, კოსტიუმების მხატვარი ნელი კილასონიაა, ხოლო სცენოგრაფია პოლინა რუდჩიკს ეკუთვნის.

გუშინ საღამოს "მინდიას" წამყვანი პარტიები თეიმურაზ გუგუშვილმა, ირინე რატიანმა, ელდერ გეწაძემ, ტარიელ ჭიჭინაძემ და გია ასათიანმა შეასრულეს. შემდგომ სპექტაკლებში გიორგი ონიანს, სულხან გველესიანს, ლეგი იმედაშვილსა და კახაბერ თეთვაძეს მოისმენთ. პრემიერამ წარმატებით ჩაიარა, მათთვის კი, ვისაც გუშინ საღამოს არ უნახავს ახალი წარმოდგენა, წინ კიდევ სამი საპრემიერო საღამო ელით.

*24 საათი*


"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge





24 საათი | BRITISH AIRWAYS

**შეავსე "British Airways" - ის კითხვარი სწორად და მოიგე სასტუმრო შერატონ მეტეხის საცურაო აუზის ერთთვიანი აბონემენტი**

ვიქტორინისთვის საჭირო ინფორმაცია შეგიძლიათ მოძებნოთ British Airways -ის ვებ გვერდზე www.ba.com.

1. British Airways - ის მგზავრებს შეუძლიათ ელექტრონული ბილეთები ინტერნეტის საშუალებით დაჯავშნონ და შეიძინონ.

**კი** **არა**

2. British Airways - ის საიტის www.ba.com -ის მომსახურების "Manage my Booking"- ის დახმარებით მგზავრებს ბორტზე სასურველი ადგილის დაჯავშნა შეუძლიათ.

**კი** **არა**

3. თუ მგზავრმა ელექტრონული ბილეთი დაკარგა, მას შესაძლებლობა აქვს შევიდეს "British Airways"- ის ვებ გვერდზე და ნებისმიერ დროს ამობეჭდოს იგი.

**კი** **არა**

4. British Airways - ის გრძელ მარშრუტებზე მიმავალ მგზავრებს, რომლებიც Executive Club"ის ოქროს ბარათის მფლობელები არიან, შეუძლიათ ჰითროუს აეროპორტში Molton Brown"ის სარელაქსაციო მომსახურებით ისარგებლონ.

**კი** **არა**

სახელი:
გვარი:
E-mail:
ტელეფონი
მობილური

პასუხები გამოაგზავნეთ გაზეთ "24 საათი"-ის მისამართზე: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N51. ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: maia.chitaia@actionprgroup.com. პასუხების მიღების ბოლო ვადაა 28 აპრილი.

გამარჯვებული გამოცხადდება გაზეთ "24 საათი" - ის 2006 წლის 1 მაისის ნომერში.

გამარჯვებული დასაჩუქრდება სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასის საცურაო აუზის ერთთვიანი აბონემენტით.

British Airways - ისა და 24 საათის თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ.

ცენტრ პოინტ ჯგუფი

**ცენტრ პოინტ ჯგუფი**

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.**

**სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში.**

**განვადება უპროცენტოა.**

**მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.**



**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

მეწარმეების დუმილი მთავრობას აღიზიანებს

ლეკიშვილს დენის ფასის მატება გაუმართლებლად მიაჩნია

B2



ევროკომისია კომპანია "Microsoft"-ის წინააღმდეგ

ესპანური El Bulli - მსოფლიოს საუკეთესო რესტორანი

Toyota" მსოფლიო ავტოწარმოებას ტექნოლოგიებით დაეხმარება



Red Digital"-მა მსოფლიოში ყველაზე მაღალ-ტექნოლოგიური ვიდეოკამერა გამოუშვა

Apache-მა BP-ის 18 საბადო შეიძინა

B3

## ვინ იყიდის 450 საწარმოს აქციებს?

### კახა ბენდუქიძე "წითელი დირექტორების" წინააღმდეგ

თინა შავაძე

*საწარმოს იმიჯი, მომხიბვლელობა და მისი აქციების საბაზრო ფასის განსაზღვრა სამეთვალყურეო საბჭოს მოვალეობაა. დღეს ძალიან მცირე რაოდენობის სააქციო საზოგადოებაა საქართველოში, რომლის აქციებიც ლიკვიდურია. საერთაშორისო სტანდარტებს მხოლოდ "საქართველოს ბანკი" აკმაყოფილებს. გასულ წელს მისი აქციების მსხვილი პაკეტი უცხოეთის ერთ-ერთ ბირჟაზე გაიყიდა. ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ საქართველოში საწარმოების წარმატებული მმართველები არავის სჭირდებოდა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებებს კორპორაციული მართვისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, აშკარაა, რომ "წითელ დირექტორებს" უძრაობის ხანიდან გამოსვლა მოუწევთ. სხვაგვარად, ქონების წილების გაყიდვა, ნებსით თუ უნებლიეთ, მათთვის გარდაუვალი გახდება. ამ საკითხით თავად სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძეა დაინტერესებული. მან არსებული მდგომარეობა კარგად შეისწავლა და გამოსავალიც (თუნდაც - საკანონმდებლო ინიციატივის დონეზე) უკვე მოძებნა. სააქციო საზოგადოებას საჯარო ვაჭრობის გარეშე, ანუ ბირჟისა და ბროკერის გვერდის ავლით, შეუძლია აქციების გაყიდვა. ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი ხნის განმავლობაში ვერავინ გაიგებს, გარიგება ვისა და ვის შორის შედგა.*

**ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ანგლო-საქსონურ სისტემებში სახელმწიფო, ტრადიციულად, მინიმალური ხარისხით ერევა ეკონომიკაში, ხოლო სახელმწიფო ქონებაზე დამყარებული საწარმოების შექმნა იქ მეტად უმნიშვნელო წილით ხდება. ევროპულ სახელმწიფოებში, მათ შორის - გერმანიაში, სახელმწიფოს ყოველთვის ძლიერი როლი ჰქონდა და ბევრი საწარმო სახელმწიფოს საკუთრებაში იყო. იაპონური ფენომენის მთავარი ხიბლია გადაწყვეტილებათა ეფექტურობა - შეზღუდვათა მინიმუმი და ქცევის ვარიანტების დიდი მასშტაბი. იაპონელები ფართოდ იყენებენ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიულ პროცესს, როცა გადაწყვეტილების მიღებაში ყველა მონაწილეობს და ნებისმიერი ალტერნატივა განიხილება.**



*კახა ბენდუქიძე: "ჩვენი მიზანია, არსებული ხელოვნური მდგომარეობა შევცვალოთ."*

B2

## ბაზარზე ახალი მოთამაშე გაჩნდა

ნინო ნატროშვილი

*კომუნიკაციების ბაზარზე კონკურენცია მძაფრდება. ეს სფერო საკმაოდ მიმზიდველი და რენტაბელური ბიზნესია. ექსპერტების შეფასებით, ბაზარზე ახალი მოთამაშეების გამოჩენის შემდეგ ცვლილებები მოხდება. შესაძლებელია ბაზრის ხელახლა გადანაწილება, წილების გასხვისება და, ბუნებრივია, იქნება სიახლეებიც, რომელსაც კომპანიები აბონენტებს რეიტინგის და ბაზრის სეგმენტის შესანარჩუნებლად შესთავაზებენ.*

- **2000 მეგაჰერც დიაპაზონში სიხშირეები ვიდეოგამოსახულების გადაცემას და ინტერნეტის მაღალ სიჩქარეს უზრუნველყოფს.**
- **აღნიშნულ დიაპაზონში სიხშირეები 2005 წლის აგვისტოში აუქციონზე "მაგთიკომმა" 20 მილიონ ლარად შეისყიდა.**
- **მესამე GSM - ლიცენზია საქართველოში "რუთავი 2"-ის მფლობელის ქიბარ ხალვაშის საკუთრებაა.**



*დიმიტრი ქიტოშვილმა სიხშირის ახალ მფლობელს შენაძენი მიულოცა.*

B4

## ჩინური თანამშრომლობის სიკეთე და რუსული გაზ-ულტიმატუმი

თორნიკე შარაშენიძე
ნატოს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

*ჩინეთის აღზევება უკვე დიდი ხანია ყველაზე პოპულარულ თემად იქცა და ამ თემამ ჩვეულებრივზე მეტი ყურადღება დაიმსახურა გასულ კვირას, როცა ვაშინგტონს ჰუ ძინტაო ეწვია. პოტენციური ზესახელმწიფოს ლიდერი ახლანდელ ზესახელმწიფოს ლიდერს სტუმრობს. რა იქნება მათი საუბრის მთავარი თემა და საერთოდ რა აქვთ გასაყოფი და სადავო ვაშინგტონსა და პეკინს? უქმნის თუ არა საფრთხეს ჩინეთი მსოფლიოს? გამოიწვევს თუ არა ჩინეთის გაძლიერება მსოფლიოში ძალთა ბალანსის რღვევას, ისე, როგორც გამოიწვია ეს ოდესღაც გერმანიის გაერთიანებამ და გაძლიერებამ? ცხადია, ეს შეკითხვები პეკინის ყურადღების მიღმა არ რჩება და ჩინელთა ლიდერიც ყველანაირად შეეცადა თავისი ვიზიტით გაექარწყლებინა ის შიში და უარყოფითი განწყობა, რომელიც მზისქვეშა იმპერიის აღზევებას ახლავს თან. მართლაცდა, ალბათ, მცდარია ახლად გაერთიანებული და ამბიციური კაიზერის გერმანიის შედარება ათეულობით საუკუნეების გამოცდილების მქონე აზიურ დიდ სახელმწიფოსთან. ასევე მცდარია მაშინდელი მსოფლიოს დღევანდელ მსოფლიოსთან შედარებაც.*



*ჯორჯ ბუშის და ჰუ ძინტაოს შეხვედრა თეთრ სახლში.*

B3

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3517 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0093 |
| 1 არაბული დირჰამი | AED | 0,4947 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,8170 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8454 |
| 1 ბულგარული ლეი | BGL | 1,1471 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,3007 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3166 |
| 1 ევრო | EUR | 2,2433 |
| 10 ესტონური კრონი | EEK | 1,4338 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3494 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,3672 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1543 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2428 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,1991 |
| 10 ისლანდიური კრონი | ISK | 0,2301 |
| 1 ისრაელის სეკელი | ILS | 0,3986 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,5974 |
| 1 ლატვიური ლატი | LVL | 3,1933 |
| 10 ლიტვური ლიტი | LTL | 6,5030 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,3998 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2883 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5764 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6104 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0662 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1371 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4043 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5653 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,4952 |
| 10 უკრაინული გრივნა | UAG | 3,5908 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8469 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2226 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1466 |
| 10 ყირგიზული სომი | KGS | 0,4426 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2416 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4289 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0788 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2268 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2343 |



## ქუთაისში აწყობილი ოთხადგილიანი თვითმფრინავი "მერკური" არ გაიყიდა

აუქციონზე, რომელიც დღეს სს "ქუთაისის საავიაციო ქარხანაში" გაიმართა, არც ერთი განაცხადი არ შესულა. ოთხადგილიანი საექსპერიმენტო თვითმფრინავის ფასი 140 ათასი დოლარია. იმის გამო, რომ დღეს "მერკური 2"-ის გაყიდვა არ მოხერხდა, ახლა მას ქარხნის ხელმძღვანელობა პირდაპირი წესით გაყიდის. როგორც "ინტერპრესნიუსს" ქარხნის დირექტორმა ირაკლი კოხრეიძემ განუცხადა, ქუთაისური თვითმფრინავის მსურველი მოსკოვური ფირმა "ავიატორია", რომელიც თვითმფრინავში 150 ათას დოლარს გადაიხდის. ქუთაისის საავიაციო ქარხანაში "მერკური" 5 წლის წინ ააწყვეს, მისი ფასი 350 ათასი დოლარია, მაგრამ რადგანაც თვითმფრინავს ფრენის სერტიფიკატი არა აქვს, თვითღირებულებით ვერ იყიდება. ოთხადგილიანი თვითმფრინავი მოსკოვის ფირმა "ავიატონისა" და ქუთაისის საავიაციო ქარხნის ერთობლივი ნაწარმია. "ავიატონი" ქუთაისის საწარმოს აქციათა 91 პროცენტს ფლობდა, თუმცა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორი წლის წინ "ავიატონს" აქციები ჩამოერთვა და სახელმწიფოს გადაეცა. **ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს საგარეო ვალი დღემდე თითქმის მილიარდი დოლარით გაიზარდა

საქართველოს საგარეო ვალის მოცულობა 1 მილარდ 965,6 მილიონი დოლარია, რაც თითქმის ერთი მილიარდით მეტია 12 წლის წინ აღებულ ფინანსურ ვალდებულებებზე 1994 წელს საქართველოს საგარეო ვალი 1 მილიარდ 3,9 მილიონი დოლარით განისაზღვრებოდა. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ყველაზე მსხვილი კრედიტორი, 678, 7 მილიონი დოლარით, მსოფლიო ბანკია. აღსანიშნავა, რომ 1994 წელს ამ ორგანიზაციის მხოლოდ 1 მილიონი დოლარი გვმართებდა. ხუთჯერ გაიზარდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე აღებული ფინანსური ვალდებულებები. თუ 1994 წელს ვალის მოცულობა 40,5 მილიონი დოლარი იყო, 2005 წელს 233,3 მილიონ დოლარს მიაღწია. სადებეტო მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა ევროკავშირთან, 1994 -2005 წლებში დავალიანების მოცულობა 151,7 მილიონიდან 101,3 მილიონ დოლარამდე შემცირდა. რაც შეეხება ქვეყნების წინაშე აღებულ ფინანსურ ვალდებულებებს, ამ მხრივ "მევალეების" სიაში 150,5 მილიონი დოლარით, რუსეთი ლიდერობს (1994 წელს რუსული ვალის მოცულობა 156, 3 მილიონი დოლარით განისაზღვრებოდა), 111,5 მილიონი დოლარით მას მოსდევს გერმანია, ხოლო შემდეგ ადგილზე კი, 101 მილიონი დოლარით, თურქმენეთია. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ამ ქვეყნისადმი დავალიანების მოცულობა 4-ჯერ შემცირდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მორიგი ტრანში

საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშზე ჩაირიცხა 20.4 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ტრანში, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის" (PRGF) პროგრამის მესამე შუალედური მიმოხილვის ფარგლებში გამოყო. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა პროგრამის მიმდინარეობის განხილვის შემდეგ, რომლის საფუძველზეც საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა დადებითად შეფასდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების განხილვის დროს აღინიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლების 2006 წლის ეკონომიკური პროგრამის მთავარი მიმართულება არის ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის ღონისძიებათა გაგრძელება. აღნიშნული პროცესი ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და ინფლაციის ერთნიშნა მაჩვენებლის შენარჩუნებას. საბჭოს წევრებმა ხაზი გაუსვეს საქართველოში სიღარიბის დაძლევის მიზნით მუშაობის გააქტიურების აუცილებლობას, ასევე კერძო ინვესტიციების განსახორციელებელი პირობების გაუმჯობესებას, მათ შორის, ინფრასტრუქტურის სრულყოფასა და სტაბილურ ენერგომომარაგებას. საბჭოს წევრთა შეფასებით, საქართველოს ეკონომიკაში დადებითი ტენდენციების განვითარება გრძელდება, რასაც ხელს უწყობს ფისკალური პოლიტიკის დახვეწა და მონეტარული პოლიტიკის წარმართვა ინფლაციის კონტროლის კუთხით. საქართველოს ხელისუფლება თანმიმდევრულად ახორციელებს "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის" პროგრამასა და სტრუქტურულ რეფორმებს. საგადასახადო რეფორმის ფონზე, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი კიდევ უფრო გაფართოვდა, რამაც ხელისუფლებას პრიორიტეტულ მიმართულებებზე ხარჯების ზრდის შესაძლებლობა მისცა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი საბჭოს დასკვნით, საქართველოს ფინანსური სექტორი დღეისათვის უფრო მდგრადი გახდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბანკების მდგომარეობა, სექტორის მარეგულირებელი სტრუქტურა და საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო რეჟიმი. აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა 2005 წელს საქართველოში "საბანკო ბუმის" წელი უწოდეს. ასეთი შეფასება ფულად-საკრედიტო სფეროში მიღწეულმა შედეგებმა განაპირობა. ქვეყანაში გაიზარდა კერძო სექტორისათვის გაცემული სესხების მოცულობა, მოიმატა შემოსავლებმა ბანკების აქტივებსა და სააქციო კაპიტალთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სესხები, უმეტესად, უცხოური ვალუტით, ძირითადად კი, აშშ დოლარით გაიცემა, 2005 წელს სამჯერ მოიმატა ლარით გაცემული სესხების მოცულობამ, შემცირდა დეპოზიტების დოლარიზაცია. სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული დროული და სწორი პოლიტიკით თავიდან აცილებულ იქნა ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკის ("ინტელექტბანკის") გაკოტრება. საბჭოს წევრების შეფასებით, საბანკო ზედამხედველობა საქართველოში გაუმჯობესდა და უფრო აქტიური, ეფექტიანი გახდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ჩრდილოვანი ეკონომიკის" წილი მთლიან შიდაპროდუქტში 29 პროცენტია

"ჩრდილოვანი ეკონომიკის" წილი მთლიან შიდაპროდუქტში 29 პროცენტია. როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლობის მოხსენებაშია ნაჩვენები, იგივე მაჩვენებელი 2001 წელს დაახლოებით 33 პროცენტი იყო. აქედან გაზისა და წყლის მომსახურებაზე 15 პროცენტი მოდის, რაც 4 პროცენტით ნაკლებია ხუთი წლის წინ დაფიქსირებულ ანალოგიურ მაჩვენებელზე. მთელი ოცი პროცენტით შემცირდა ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშენებლობაში, თუმცა მისი დონე მაინც მაღალი (35 პროცენტი) რჩება. ვაჭრობასა და მომსახურების სექტორში არალეგალური ეკონომიკა 74 პროცენტიდან 54 პროცენტამდე შემცირდა. 2001 წელს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (77 პროცენტი) ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროში დაფიქსირდა, რაც დღეისათვის 52 პროცენტს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქვემო ქართლის ნაწილი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი

ძლიერი ქარის გამო, ქვემო ქართლის რეგიონში ელექტროენერგია დაახლოებით 7 ათას აბონენტს არ მიეწოდება. საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ქვემო ქართლის ფილიალის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის ინფორმაციით, ძლიერი ქარისა და ელექტროგადამცემი ხაზების მწყობრიდან გამოსვლის შედეგად გაითიშა ქვესადგურ "რუსთავი-220"-ის რამდენიმე ფიდერი, საიდანაც ელექტროენერგიით გარდაბნის რაიონი მარაგდება. ბოლო მონაცემებით, დენი რაიონის დაახლოებით 4 აბონენტს გაეთიშა. ძლიერ ქარს მოჰყვა, აგრეთვე, ელექტროგადამცემი ხაზების დაზიანება და ქვესადგურ "მარნეული-220"-ის სამი ფიდერის გამორთვა. ელექტროენერგია შეუწყდა მარნეულის რაიონის დაახლოებით 2 300 აბონენტს და საავადმყოფოს, თუმცა კომპანიის წარმომადგენელთა მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, ქალაქის საავადმყოფოსა და თითქმის 1 500 აბონენტს ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგა. ამჟამად გამორთულია ქვესადგურ "მარნეული-220"-ის ორი ფიდერი, ხოლო ქალაქი მარნეული ელექტროენერგიით თითქმის მთლიანად მომარაგებულია. გარდა ამისა, ძლიერი ქარის გამო, ასევე დაახლოებით 2 300 აბონენტს არ მიეწოდება დენი დმანისის რაიონში, სადაც უამინდობამ 110-კილოვოლტიან ქვესადგურ "დმანისი"-ს ორი ფიდერის - "განთიადისა" და "კიროვისის" გამორთვა განაპირობა. მომხდარი ავარიების სალიკვიდაციოდ ინტენსიური სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. **მედიანიუსი**

# ვინ იყიდის 450 საწარმოს აქციებს?

პირველი გვერდიდან

90-იან წლებში პოსტსაბჭოურ სივრცეში მასობრივი პრივატიზაცია ჩატარდა. ამის შედეგად საქართველოში დაახლოებით 500 ათასი მოქალაქე უნებლიეთ გახდა ე.წ აქციონერი. ყოფილი სახელმწიფო საწარმოები პრივატიზაციის ფარგლებში ხელოვნურად და დირექტიულად გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებებად. ექსპერტის, გოგი ლოლაძის შეფასებით, პროცესის ასე წარმართვით ხელოვნურად ჩამოყალიბდა კორპორაციის ახალი ტიპი, ე.წ კვაზი-სააქციო საზოგადოება (დამახინჯებული ფორმა). მაგრამ მათი რაოდენობა ძალიან მცირეა. ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის ინფორმაციით, ქვეყანაში დღემდე 1800-ზე მეტი სააქციო საზოგადოება მოქმედებს, რადგან ქვეყნის ქონების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სახელმწიფოს მმართველობის ხელშია. დიდი ხნის განმავლობაში წინა ხელისუფლება ეკონომიკის ძირითადი სექტორების ქონებას წარუმატებლად მართავდა. ახალმა მთავრობამ სტრატეგია შეცვალა და კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის და სხვა დარგებში მოქმედი მსხვილი ობიექტების გაყიდვა დაიწყო.

მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფოს შეუძლია, საკუთრებაში ჰქონდეს საწარმოები და სამეწარმეო საქმიანობას მისდევდეს. ექსპერტების დაკვირვებით, იმ ქვეყნებში, რომლებშიც სახელმწიფოს წილი საწარმოებში ჯერ კიდევ მაღალია, მიზანშეწონილია დაიწყოს მისი შემცირება. როცა სახელმწიფო საწარმოს ფლობს, ეს იმას ნიშნავს, რომ მის საქმიანობას თავად აკონტროლებს. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ ქონების მართვა და განკარგვა ხშირად წარუმატებლად მიმდინარეობს, რადგან შეუძლებელია, სამართლიანი მსაჯული იყო საკუთარ საქმეში. სწორედ ამის გამო, საკუთრების სახელმწიფო ფორმა არაეფექტურად მიაჩნიათ.

როგორია უცხოეთის ქვეყნებში კერძო საკუთრების მართვის წარმატებული ფორმა? ცივილიზებულ ქვეყნებში თავისუფალი მეწარმეობა ვითარდება სამეწარმეო სუბიექტების, მათ შორის, უმეტესწილად, კორპორაციების (სააქციო საზოგადოება) მეშვეობით. ექსპერტ თენგიზ ახობაძის განმარტებით, მსოფლიოში, ძირითადად, სამი ტიპის კორპორაციას განასხვავებენ: კორპორაციას ანგლო-საქსონური სამართლის სისტემაში; კორპორაციას კონტინენტალურ-ევროპული სამართლის სისტემაში და კორპორაციას აღმოსავლური (იაპონური) სამართლის სისტემაში.



კახა ბენდუქიძემ ახალი გამოსავალი იპოვა.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ანგლო-საქსონურ სისტემებში სახელმწიფო, ტრადიციულად, მინიმალური ხარისხით ერევა ეკონომიკაში, ხოლო სახელმწიფო ქონებაზე დამყარებული საწარმოების შექმნა იქ მეტად უმნიშვნელო წილით ხდება. ევროპულ სახელმწიფოებში, მათ შორის - გერმანიაში, სახელმწიფოს ყოველთვის ძლიერი როლი ჰქონდა და ბევრი საწარმო სახელმწიფოს საკუთრებაში იყო. იაპონური ფენომენის მთავარი ხიბლია გადაწყვეტილებათა ეფექტურობა - შეზღუდვათა მინიმუმი და ქცევის ვარიანტების დიდი მასშტაბი. იაპონელები ფართოდ იყენებენ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიულ პროცესს, როცა გადაწყვეტილების მიღებაში ყველა მონაწილეობს და ნებისმიერი ალტერნატივა განიხილება.

რა ფორმით იმართება სააქციო საზოგადოებები საქართველოში? როცა ქვეყანაში კერძო სამართლის სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო, ხელისუფლებამ რამდენიმე ფაქტორი არ გაითვალისწინა. პრივატიზაციისა და მეწარმეობის შესახებ კანონები გერმანული სამართლის მიხედვით გაკეთდა, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი კი ამერიკული კანონმდებლობის მსგავსია. ამდენად, ანგლო-საქსონური და გერმანული სამართალი ერთმანეთთან შეუსაბამობაში მოვიდა - ქვეყანაში სააქციო საზოგადოებები გერმანული კანონით იმართება, ხოლო ფასიანი ქაღალდების ბაზარს სახელმწიფო ამერიკული მოდელით არეგულირებს. ხელისუფლებამ დაშვებული შეცდომები ნაწილობრივ გამოასწორა - არსებულ კანონმდებლობაში 50-მდე შესწორება შევიდა.

საქართველოში კორპორაციული მართვის კულტურა ისეთი ფორმით ჯერ კიდევ არ არსებობს, როგორც უცხოეთის ქვეყნებშია. უფლებამოსილებათა გამიჯვნის გარეშე, ხშირად სააქციო საზოგადოებებს ის პირები მართავენ, რომლებიც "წითელი დირექტორების" სახელით არიან ცნობილი. მათ ქონება მასობრივი პრივატიზაციის დროს ჩაიგდეს ხელში და დღემდე აქვთ იმის შიში, რომ ამ ქონებაში ვინმე შეეცილება. ამიტომაც, კანონის მოთხოვნის მიუხედავად, სააქციო საზოგადოებების საქმიანობა დახურულია. არსებული ფაქტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი ხშირად საწარმოს განვითარების ბიზნესწინადადებებსა და ფინანსურ ანგარიშებს კომუნისტური სტილით ამუშავებენ.

სააქციო საზოგადოებების საქმიანობას ზედამხედველობა უწევს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია. სხვათა შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში მეწარმეებს მსგავსი კომისიის უფრო დიდი შიში აქვთ, ვიდრე ფინანსური პოლიციისა. ფასიანი ქაღალდების კომისია უფლებამოსილია გადაწყვიტოს, რომელი კომპანიის აქციები დაუშვას საფონდო ბირჟაზე გასაყიდად. ამასთან, სააქციო საზოგადოებები ანგარიშვალდებულნი არიან კომისიის წინაშე. მაგრამ მთავრობის მიერ მომზადებული ცვლილებებით, შესაძლებელია, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ლიბერალიზაცია მოხდეს. ამის შესახებ "24 საათს" სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე ესაუბრა.

**- მოქმედი კანონმდებლობით, თუ დაინტერესებული ვარ, ს.ს "ყაზბეგის" ფინანსური საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მივიღო, მაშინ ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას უნდა მივმართო. ეს წესი თქვენს მიერ მომზადებული ცვლილებით გაუქმდება?**

- მსხვილი საწარმოების მიმართ მოთხოვნა არ შეიცვლება. მათ გარდა, არსებობს 450 სააქციო საზოგადოება, რომელიც ბირჟაზე არასდროს ვაჭრობდა. ჩვენი მიზანია, არსებული ხელოვნური მდგომარეობა შევცვალოთ. ისინი ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას ანგარიშს აღარ ჩააბარებენ.

**- ანუ, თუ სააქციო საზოგადოება აქციებს საფონდო ბირჟაზე არ ყიდის და ბირჟის მსხვილი მოთამაშე არ არის, მას აღნიშნული ვალდებულება მოეხსნება?**

- რასაკვირველია, არ იქნება ანგარიშვალდებული. მას ქაღალდების მექანიკურად წერა აღარ დასჭირდება. ყოველწლიურად ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიაში 450 სააქციო საზოგადოების საქმიანობის შესახებ ქაღალდების უზარმაზარი რაოდენობა შედიოდა, რომლის წამკითხავიც ამ დუნიაზე არავინ იყო.

**- მეორე ცვლილებით, როგორც თქვენ ამბობთ, სააქციო საზოგადოებას აქციების გაყიდვა თუ სურს, ის აღარ იქნება ვალდებული, ამ გარიგების წარმართვისთვის საბროკერო კომპანიას მიმართოს?**

- დიახ, არ იქნება ვალდებული.

**- მაშინ, რა წესით მოხდება გარიგება კლიენტსა და კომპანიას შორის?**

- თუ მას სურს, კარგად გაყიდოს აქციები, შეუძლია, საბროკერო კომპანია დაიქირაოს. მაგრამ, ვფიქრობ, ეს კანონით დადგენილი ვალდებულება არ უნდა იყოს. საბროკერო კომპანიის გარეშეც შესაძლებელი გახდება, სააქციო საზოგადოებამ საკუთარი აქციები გაყიდოს.

# მეწარმეების დუმილი მთავრობას აღიზიანებს

### თუ შეგვეშინდება, ყოველთვის ასეთი მდგომარეობა იქნება

თინა შავაძე

*ბიზნესი და ხელისუფლება პარტნიორები ვერ გახდნენ. საგადასახადო და საბაჟო სამსახური, ფინანსური პოლიცია და სამინისტროებში შექმნილი მაკონტროლებელი რგოლები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი თანხები ამოიღონ მეწარმეებისგან. ამას სახელმწიფო მოხელე, წოდებით ინსპექტორი, მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით აკეთებს. როგორ უნდა იპოვონ მეწარმემ და სახელმწიფო მოხელემ ურთიერთობებში ოქროს შუალედი? "24 საათი" სახელმწიფო მინისტრის, კახა ბენდუქიძის მოადგილეს ვახტანგ ლეჟავას ესაუბრა.*

**- საგადასახადო კოდექსის რამდენიმე მუხლი არაკონსტიტუციურია, მაგრამ მისი შეცვლა არ ხერხდება. ეს მუხლები მოსალოდნელ ცვლილებებშიც არ არის შეტანილი.**

- ასე დეტალურად ეს საკითხი არ მაქვს შესწავლილი. და თუ ასეა, მაშინ ვიღაცამ საკონსტიტუციო სასამართლოში უნდა იჩივლოს.

**- ამის გაკეთება ვისაც შეუძლია, მათ შორის - ბიზნესასოციაციებს, ისინი შიშის ფაქტორის გამო ჩუმად არიან.**

- მთავრობისგან ნამდვილად არის მზადყოფნა, რათა გაკეთდეს საგადასახადო კოდექსის სისტემური რევიზია იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც დაგროვდება. რა თქმა უნდა, იდეალურ კოდექსს ვერავინ დაწერს და ეს საქართველოს ხელისუფლებას კარგად აქვს გაცნობიერებული. მთავარია, არსებული ხარვეზები გამოსწორდეს. უკვე არსებობს მოქმედი კოდექსის ცვლილებების პაკეტი, რომლის მომზადებაშიც, სამინისტროების გარდა, ბიზნესასოციაციებიც მონაწილეობდნენ, და ახლა პარლამენტში განიხილება.

**- ამ ცვლილებებიდან კარგად ჩანს, რომ ინსპექტორს კვლავ გაფართოებული უფლებები ექნება და ის არ შეიზღუდება.**

- ინსპექტირება შეიძლება იყოს მრავალნაირი, მათ შორის - უსაფრთხოების, ფინანსური, ჯანდაცვის,



ვახტანგ ლეჟავა.

სანიტარული, კონტროლის და სხვა. მთავრობის სურვილია, სისტემურად გადახედოს ინსპექტირების პროცედურებს, საერთოდ პროცესს, მის საჭიროებას, და ამის საფუძველზე მოამზადოს რეფორმების პაკეტი.

**- როგორ ფიქრობთ, კიდევ სჭირდება განსჯა იმას, რომ ინსპექტორს შეუძლია, კომპანიის ანგარიში ან ქონება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დააყადაღოს. თუმცა მეწარმეები ამ და სხვა პრობლემებზე, ისევ და ისევ, შიშის ფაქტორის გამო ვერ საუბრობენ.**

- არაკორუფციული გარემო რომ არ არსებობდეს, საჭიროა გამოირიცხოს ორი რამ: პირველი - არ უნდა იყოს ქრთამის აღების მსურველი, და მეორე - არ უნდა იყოს ქრთამის მიცემის მსურველი. სანამ გეყოლება ქრთამით პრობლემების მოგვარების მსურველები, ყოველთვის გამოჩნდება ვიღაც, ვინც ამ ცდუნებას ვერ გაუძლებს. ამის წინააღმდეგ საბრძოლველად არსებობს ორი გზა: საერთოდ გავაუქმოთ ამის შესაძლებლობა, დავხვეწოთ პროცედურები და, რაც მთავარია, ხმა ამოვიღოთ. თუ შეგვეშინდება, ყოველთვის ასეთი მდგომარეობა იქნება.

# ლეკიშვილს დენის ფასის მატება გაუმართლებლად მიაჩნია

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი მიიჩნევს, რომ სადისტრიბუციო კომპანიების მიერ, ელექტროენერგიის ტარიფის მომატებასთან დაკავშირებით, სემეკში შეტანილ განაცხადში ციფრები გადაჭარბებულია. "მართალია, გაზის ტარიფი გაიზარდა და ამან ბუნებრივი აირიდან წარმოქმნილი ელექტროენერგიის ფასი გაზარდა, მაგრამ თითქმის 30-პროცენტიანი მატება, რომელსაც სადისტრიბუციო კომპანიები ითხოვენ, ცოტა მაღალია," - განაცხადა ლეკიშვილმა. მისივე თქმით, ტარიფის ასეთი სიდიდით ზრდა იმ პირობებში, როცა მაისიდან ბუნებრივი აირის ფასი მოიმატებს, მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვება. "ამ გადაწყვეტილებით მოსალოდნელი იქნება გაზრდა იმ პროდუქციის ფასისაც, რომელიც ელექტროენერგიას უკავშირდება. გაიზრდება საბიუჯეტო ხარჯებიც, რომლითაც სახელმწიფო უწყების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი უნდა დაიფაროს," - განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ და დასძინა, რომ კარგი იქნება, თუ ტარიფის გაზრდა ეტაპობრივად მოხდება.

მისი თქმით, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი შეისწავლის იმ განაცხადებს, რომელიც სადისტრიბუციო კომპანიების მხრიდან მარეგულირებელ კომისიაში შევიდა. "მართალია, ჩვენ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ვერ ვიქონიებთ, რადგან სემეკი დამოუკიდებელი ორგანოა, თუმცა, უნდა ვიცოდეთ ის, რის საფუძველზეც სადისტრიბუციო კომპანიები ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდას მოითხოვენ," - განაცხადა ლეკიშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქართული ღვინის თაობაზე საკოორდინაციო ჯგუფი იქმნება

ქართული ღვინის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებების გაკონტროლების მიზნით, "ღვინის მწარმოებელთა კავშირი" საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის ინიციატივით გამოდის. "გვინდა, რომ რაღაც ერთმა კონკრეტულმა ჯგუფმა ილაპარაკოს ქართული მეღვინეობის სახელით, რათა არ მოხდეს ერთმანეთისგან განსხვავებული აზრების დაფიქსირება და ქმედებების განხორციელება," - განაცხადა კავშირის თავმჯდომარემ ლევან კობერიძემ. მისი განცხადებით, საკოორდინაციო ჯგუფში მთავრობისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები გაერთიანდებიან. ჯგუფი მთლიანად გააკონტროლებს ქართული ღვინის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებებს როგორც რუსულ მხარესთან, ასევე მომავალ ევროპელ პარტნიორებთან. ჯგუფის შექმნის აუცილებლობას მწარმოებლები მოლაპარაკების პროცესში არსებულ აზრთა სხვადასხვაობას და ამ საკითხის საერთო პოლიტიკის არქონას უკავშირებენ. მეწარმეები ამ ინიციატივას მთავრობას უახლოეს პერიოდში პირადად გააცნობენ. **ინტერპრესნიუსი**

## ქართული ღვინის მაღალი ხარისხი საფრანგეთის ლაბორატორიამ დაადასტურა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საფრანგეთის ლაბორატორიიდან ქართული ღვინის ხარისხის დამადასტურებელი ცნობა მიიღო. საფრანგეთის ლაბორატორიის დასკვნის მიხედვით, ქართულ ღვინოში პესტიციდები არ აღმოჩენილა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ქართული ღვინო გამოკვლევისთვის გერმანიის და შვეიცარიის ლაბორატორიებშიც არის გაგზავნილი. პასუხს ამ ქვეყნებიდან ხვალისთვის ელოდებიან. ცნობისთვის: რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სანიტარულმა სამსახურმა ქართული ღვინის რუსეთში იმპორტი მასში "პესტიციდების არსებობის" გამო აკრძალა. **მედიანიუსი**

## ქართული ღვინის ხარისხზე ახალი დასკვნები, სავარაუდოდ, დღეს გახდება ცნობილი

ქართული ღვინის ხარისხზე შვეიცარიისა და გერმანიის ლაბორატორიების დასკვნები, სავარაუდოდ, დღეს გახდება ცნობილი. სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამ ლაბორატორიებიდან დასკვნებს დღეს ელოდებიან. საფრანგეთის ლაბორატორიაში შემოწმებული ქართული ღვინის ანალიზები კი სამინისტრომ გუშინ მიიღო. დამოუკიდებელ ლაბორატორიაში შემოწმებულ ქართულ ღვინოში პესტიციდები არ აღმოჩნდა. "საფრანგეთიდან მივიღეთ პასუხი, რომ ქართული ღვინოები სრულიად შეესაბამება სტანდარტებს და არ შეიცავს პესტიციდებს," - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ქართული ღვინის მაღალი ხარისხის დასამტკიცებლად, საერთაშორისო დამოუკიდებელ ლაბორატორიებში 10-მდე დასახელების ქართული ღვინო მარტის ბოლოს გადაგზავნა. **ინტერპრესნიუსი**

## დოლარის კურსის დაცემა სავალუტო რეზერვების ევროში გადაყვანამ განაპირობა

ერთი ევრო 1,24 აშშ დოლარს გაუტოლდა. ექსპერტების ვარაუდით, დიდია ალბათობა, რომ კურსი 1, 25 დოლარს მიაღწევს. ეკონომიკის ექსპერტები დოლარის კურსის ვარდნას რამდენიმე ფაქტორით ხსნიან. ძირითად მიზეზად კი მსოფლიოში წამყვანი ბანკების ოქროსა და სავალუტო რეზერვების ევროში გაზრდას ასახელებენ.

ერთ-ერთ მაგალითად გასულ კვირას დანიის ცენტრალური ბანკის განცხადებას ასახელებენ, რომლის მიხედვით, დანიის ცენტრალურმა ბანკმა საკუთარი ოქროსა და სავალუტო რეზერვების 15-პროცენტიანი წილი ევროში გაზარდა. შესაბამისად, ბანკის რეზერვებში დოლარის წილი 17 პროცენტით შემცირდა. ასევე, შვედეთის ცენტრალურმა ბანკმაც საკუთარი სავალუტო რეზერვების ევროში 50-პროცენტიანი ზრდა გამოაცხადა. ანალოგიურ ნაბიჯებს დგამს კატარის ბანკიც. ბანკი საკუთარი სავალუტო რეზერვების საერთო მოცულობის ზრდას 40 პროცენტის ფარგლებში ევროში ცდილობს. ზოგიერთი საინვესტიციო ბანკი ინვესტორებს ურჩევს დოლარის გაყიდვასა და ევროსა და შვეიცარული ფრანკის შეძენას. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ წლის ბოლოსთვის დოლარი ევროსთან მიმართებაში დაეცემა და სავარაუდო კურსი - ერთი ევრო 1,21 დოლარი იქნება. დოლარისათვის ნეგატიურ როლს თამაშობს ფასიანი ქარალდების ბაზარზე ამერიკული აქციების დაბალი კოტირება. 30-წლიანი სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავალი 0,027 საპროცენტო პუნქტით დაეცა, რაც წლიურ 5,110 პროცენტს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**



## ევროკომისია კომპანია Microsoft -ის წინააღმდეგ

ლუქსემბურგში ევროკომისიის მიერ კომპანია “Microsoft”-ის წინააღმდეგ აღძრული საქმის მოსმენა დაიწყეს. ევროპელი ჩინოვნიკები ბილ გეიტსის კომპანიას ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევაში ადანაშაულებენ.

24 და 25 აპრილს, ლუქსემბურგის სასამართლომ ევროკომისიის მიერ “Microsoft”-ისადმი წაყენებული ბრალდებები მოისმინა. კვირის ბოლომდე კი სასამართლო მოპასუხე მხარის არგუმენტებსაც განიხილავს.

გამოძიება, რომელიც, პირველი ინსტანციის სასამართლოში 24 აპრილს ევროკავშირის ინიციატივით დაიწყო, “Microsoft”-ის ისტორიაში, კომპანიის წინააღმდეგ მიმართული კიდევ ერთი იურიდიული ბრძოლის სტატუსით შევა. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 2004 წელს, სასამართლოს განაჩენის შედეგად, კომპანია “Microsoft”-ს, ჯარიმის სახით 613 მილიონი აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა. გარდა ამისა, ევრო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპანიას თავისი პროგრამებისა და ოპერაციული სისტემების საწყისი კოდები უნდა გაეხსნა.

“Microsoft”-ი სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება. “ჩვენი კომპანიის საქმიანობაში კანონსაწინააღმდეგო არაფერი არ არის. პროგრამული უზრუნველყოფის საერთაშორისო ბაზარზე, მოცემულ მომენტში, თანასწორი და ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოა. ამის დამამტკიცებელ არგუმენტებს სასამართლოს აუცილებლად წარვუდგენთ.”- აცხადებენ “Microsoft”-ის წარმომადგენლები.

## ევროკავშირსა და ამომავალი მზის ქვეყანას შორის სავაჭრო გაცვლებმა წელიწადში 150 მილიარდი ევრო შეადგინა

მოკლე და შინაარსიანი უწოდეს დამკვირვებლებმა ევროსაბჭოსა და იაპონიის ყოველწლიურ მე-15 სამიტს, რომელიც ტოკიოში გაიმართა. უმაღლესი დონის შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ იაპონიის მხრიდან ქვეყნის პრემიერ-მინისტრი კოიძუმი და ევროკომისიის მეთაური ბაროზუ. შეხვედრა ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. განიხილეს ირანის ატომური კრიზისი, ელექტრომომარაგებისა და უსაფრთხოების საკითხები აღმოსავლეთ აზიის რეგიონში. ევროკავშირმა ტოკიოს მოუწოდა, ევროპელ ბიზნესმენებს შეუმსუბუქოს საქმიანობისთვის აუცილებელი ადმინისტრაციული და კანონმდებლობითი ასპექტები. აღინიშნა, რომ ევროკავშირსა და ამომავალი მზის ქვეყანას შორის სავაჭრო გაცვლებმა 150 მილიარდი ევრო შეადგინა წელიწადში. "დარწმუნებული ვარ, რომ ახლა უკიდურესად აუცილებელია ყველა წინააღმდეგობის მოხსნა, რომელიც არსებობს უცხოური ინვესტიციების განხორციელებაში ორივე მხარეზე," - განაცხადა ევროკომისიის მეთაურმა. მან იაპონიას მოუწოდა, მაგალითი აიღოს ერთიანი ევროპისაგან, აღმოსავლეთ აზიის ინტეგრაციის საკითხებში. იაპონიამ აპრილში იმპულსი მისცა აზიურ ზონაში "თავისუფალი გაცვლების" წარმოებას, მაგრამ, ანალიტიკოსების აზრით, ეს პროექტი იაპონიას, ჩინეთსა და ორივე კორეას შორის მრავალმხრივი პოლიტიკური უთანხმოების გამო დღის სინათლეს უახლოეს პერიოდში ვერ იხილავს. სამიტის შემდეგ კონკრეტული განცხადებები არ გაკეთებულა. ევროპელთა უმაღლესი წარმომადგენელი მოგვიანებით იაპონიის იმპერატორმა აკიხიტომ მიიღო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ნავთობი გაიაფდა

ნავთობის ფასი მსოფლიოში მნიშვნელოვნად შემცირდა. ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე ნავთობის ფასი ბარელზე 73 აშშ დოლარია (1,57 აშშ დოლარით ნაკლებია წინა დღეებთან შედარებით), დაეცა მსუბუქი ტიპის ნავთობის ფასიც და 73,33 აშშ დოლარი შეადგინა. ამერიკის შეერთებული შტატების თეთრი სახლის პრესმდივნის სკოტ მაკკელანის თქმით, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა იუსტიციისა და ენერგეტიკის სამინისტროებს დაავალა, დაინტერესდნენ ქვეყანაში ბენზინის ბაზარზე შესაძლო მაქინაციებითა და უკანონო მანიპულაციებით. მაკკელანი ასევე აღნიშნავს, რომ დღეს ჯორჯ ბუში ამ საკითხებთან დაკავშირებით პირადად გააკეთებს განცხადებას. გუშინ აშშ-ში ერთი გალონი ბენზინის ფასმა 2,91 აშშ დოლარს მიაღწია. **მედიანიუსი**

# ჩინური თანამშრომლობის სიკეთე და რუსული გაზ-ულტიმატუმი

პირველი გვერდიდან

საუკეთესო აზიურ ტრადიციებში, ჰუ ძინტაომ მასპინძლებს რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვა. სანამ ჩინეთის ლიდერის ვიზიტი დაიწყებოდა, პეკინმა ამერიკაში 16 მილიარდი დოლარის საქონელი შეისყიდა. ამ თანხაში შედიოდა 80 ცალი "ბოინგის" ლაინერი (რისი წყალობითაც ეს კომპანია კიდევ უფრო გაამყარებს ბოლო დროს მოპოვებულ უპირატესობას თავის ევროპულ კონკურენტებთან შედარებით). გარდა ამისა, მსოფლიოში პერსონალური კომპიუტერების უმსხვილესმა მწარმოებელმა, ჩინურმა "ლენოვომ" (რომელმაც რამდენიმე ხნის წინ "აიბიემის" პორტატული კომპიუტერების ბიზნესი შეისყიდა) "მაიკროსოფტთან" მსხვილი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც მისეული კომპიუტერები "უინდოუზებით" იქნება აღჭურვილი. ეს გარიგებები ჰუს ვიზიტის განრიგზეც აისახა - ბუშთან შეხვედრამდე მან სიეტლში "ბოინგისა" და "მაიკროსოფტის" ხელმძღვანელობა მოინახულა და, როგორც იუწყებიან, ბილ გეიტსთან საუბარს დიდი დროც დაუთმო. "მაიკროსოფტის" თავკაცი და მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი ზემოხსენებული გარიგებით ცხადია კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, თუმცა ბევრი შეკითხვაც ექნებოდა ჩინეთში საავტორო უფლებათა დარღვევასა და პროგრამულ მეკობრეობასთან დაკავშირებით. ეს ის შეკითხვებია, რომლებიც ჩინეთის ლიდერს წესით თეთრ სახლშიც უნდა დაესვათ. თუმცა, ჰუსტუმარი ამისთვისაც მოემზადა და მისი ვიზიტის წინ, ჩინეთში მეკობრული კომპიუტერული პროგრამებით მოვაჭრე რამდენიმე მაღაზია დაიხურა.

ყველაზე უფრო მწვავე კი ჩინური ვალუტის საკითხი უნდა ყოფილიყო. ვაშინგტონში მიიჩნევენ, რომ იუანი ხელოვნურადაა გაუფასურებული და ჩინური ექსპორტის მოზღვავებაც სწორედ ამის დამსახურებაა. შესაბამისად, გასულ წელს აშშ-ის სავაჭრო დეფიციტმა ჩინეთთან 202 მილიარდ დოლარს მიაღწია. თუმცა, პეკინს ამის თაობაზე თავისი აზრი გააჩნია. ჩინელთა დათვლით, ეს დეფიციტი 114 მილიარდს შეადგენს და მისი უდიდესი ნაწილი ამერიკული კომპანიების ჩინურ ფილიალებში გამოშვებულ საქონელზე მოდის - ანუ, მოგების ძირითადი ნაწილი ისევ ამერიკაში ბრუნდება. ამერიკელებმა ჩინეთში 50 მილიარდი დოლარი დააბანდეს. მათი საწარმოები შიდა ბაზარზე ყოველწლიურად 75 მილიარდი დოლარის რეალიზაციას ახდენს და დაახლოებით ამდენივეს ექსპორტს ეწევა (უპირველესად კი სწორედ აშშ-ში). "ორმხრივი ვაჭრობის განვითარებას ჩვენი ხალხისათვის მხოლოდ სიკეთე მოაქვს. მაღალხარისხიანმა და ამავე დროს იაფმა ჩინურმა საქონელმა, მხოლოდ 2004 წელს, ამერიკელ მოქალაქეებს 100 მილიარდი დოლარი დააზოგინა," - განაცხადა ჰუ ძინტაომ სიეტლში გამოსვლისას. მოკლედ, ჩინელთა პოზიცია გასაგებია: მზისქვეშა იმპერია მშვიდობიან განვითარებაზეა ორიენტირებული და ეს არავის საფრთხეს არ უქმნის, ის კი არა, ჩინეთის განვითარება მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის მოგებიანია.

რამდენად ეთანხმებიან ამას ამერიკაში? სანამ ჰუ ძინტაო მასპინძლებს საჩუქრებს უგზავნიდა, ვაშინგტონში პრეტენზიების დიდ სიას ადგენდნენ, სადაც იუანისა და პროგრამული მეკობრეობის გარდა ჩინეთში დემოკრატიის შეზღუდვის საკითხიც შევიდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ადმინისტრაციამ პეკინთან ურთიერთობას ოფიციალური შეფასებაც მისცა - პრეზიდენტმა ბუშმა ვიზიტამდე ორიოდე დღით ადრე ჩინეთს "პარტნიორი და კონკურენტი" უწოდა. სად მთავრდება პარტნიორობა და სად იწყება კონკურენცია? ჩინური ვალუტის თაობაზე გამოთქმული პრეტენზიების მიუხედავად მზარდი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ორ დიდ სახელმწიფოს სერიოზულ პარტნიორებად აქცევს. თუმცა, გამოიკვეთა ეკონომიკასთან მჭიდროდ გადაჯაჭვული კონკურენციის სფეროც - ენერგეტიკა. გასულ წელს ჩინეთის მთლიანი ეროვნული შემოსავლის ზრდამ 10% შეადგინა. მსოფლიოს უდიდეს ქვეყანაში ეკონომიკის ზრდის ამგვარი ტემპები ცხადია ენერგორესურსებზე მოთხოვნილების ზრდას იწვევს, რასაც მრავალმხრივი ეფექტი აქვს: მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი იზრდება, ჩინეთი კი ენერგომომარაგების წყაროების დაბევებას ცდილობს. ვაშინგტონში სწორედ ეს უკანასკნელი მომენტი აშფოთებთ, რადგან ენერგორესურსების ძიებაში პეკინი არა მხოლოდ კონკურენციას უწევს ამერიკას, არამედ არადემოკრატიულ რეჟიმებს (ირანს, ბირმას, სუდანს) უმეგობრდება და, შესაბამისად, ამ რეჟიმებს სიცოცხლესაც უხანგრძლივებს. ის ფაქტი, რომ ჩინეთი დიდად არ იმაღლებს ხმას ირანის ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ უპირველესად სწორედ იმითაა გამოწვეული, რომ ჩინურმა ენერგოკომპანიებმა ირანულ საბადოებში დიდძალი კაპიტალი დააბანდეს.

რაც შეეხება წმინდა კონკურენციას, ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ აშშ-ის შემდეგ ჰუ ძინტაო ნავთობის უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანას, საუდის არაბეთს ესტუმრა, რითაც შეიძლება ითქვას, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა აშშ-ის განსაკუთრებული და გარკვეულწილად ექსკლუზიური ურთიერთობები ამ სახელმწიფოსთან. ბუნებრივია, რომ ადგილობრივ ლიდერებთან მოლაპარაკებებში ნავთობი დიდ ადგილს დაიკავებდა (თუმცა საუდის არაბეთი ჩინეთისათვის ისედაც ნავთობის უმსხვილესი მიმწოდებელია). ამავე დროს ჰუ ძინტაომ განაცხადა, რომ ჩინეთი აქტიურად იმუშავებს ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის განმტკიცებაზე. ცხადია, ეს განცხადება კიდევ ერთი კითხვის ნიშანია ამ რეგიონში აშშ-ის განსაკუთრებულ გავლენაზე. ჩინელთა ლიდერი ამას არ დასჯერდა და აღნიშნა, რომ დასავლეთი "უნდა შეეშვას გამოგონილი ბრალდებების წაყენებას სხვა სახელმწიფოთა მისამართით და ამ სახელმწიფოთა შიდა საქმეებში ჩარევას. რომ არაფერი ვთქვათ მსოფლიოს ყველა პრობლემაში რომელიღაც კონკრეტული ცივილიზაციის, ხალხისა და რელიგიის დადანაშაულებაზე." თუკი აშშ-ში ყოფნისას ჰუ ყველანაირად აღნიშნავდა ჩინეთის განვითარების მშვიდობიან ხასიათს. ამერიკიდან წასვლის შემდეგ მან სხვა საკითხებიც წამოსწია - მართალია, ჩინეთი მშვიდობიანად ვითარდება, მაგრამ ამ განვითარებაში სხვა ქვეყნის (მათ შორის თვით აშშ-ის) ჩარევას არ შეურიგდება.

### "გაზით შანტაჟზე სსრკ-ც კი არ მიდიოდა"

ბოლო ხანს, ჩინეთის გარდა ახლო აღმოსავლეთში კიდევ ერთი მოთამაშის გააქტიურების მოწმენი ვხდებით. ეს მოთამაშე რუსეთია, რომელმაც საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ პირველად გადაწყვიტა საზღვარგარეთ სპონსორობის გაწევა. მოგეხსენებათ, 90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული რუსეთი აქეთ იღებდა დიდძალ კრედიტებსა და მხარდაჭერას და სხვისთვის სპონსორობის გაწევა ძნელად თუ შეეძლო. ამ მხრივ კრემლის გულუხვობა ვალების ჩამოწერითა და სტიქიური უბედურების დროს გაწეული ტექნიკური დახმარებით ამოიწურებოდა.

მოკლედ, ყველაფერ ამას იქითკენ მივყავართ, რომ პალესტინის ავტონომია, რომელსაც ტერორისტული ორგანიზაცია ჰამასი მართავს, პირველ საზღვარგარეთულ სუბიექტად იქცა, რომელსაც საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ კრემლმა ფინანსური დახმარება (10 მილიონი დოლარი) გაუწია. ეს რას ნიშნავს? კრემლი ტერორიზმს უჭერს მხარს? ცხადია, არა. ცხადია საქმე ასე მარტივად არ არის. უბრალოდ, ჰამასის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აშშ-მ და ევროკავშირმა პალესტინის ავტონომიას ფინანსური დახმარება შეუწყვიტეს. ანუ, გამოთავისუფლდა რაღაც ნიშა ახლო აღმოსავლეთში - რეგიონში სადაც ყველა დიდი სახელმწიფო ცდილობს ჩარევას - და კრემლი ახლა ამ ნიშას იკავებს, პალესტინის დაფინანსების გზით. რუსეთს დიდი სახელწიფოს ამბიციები აქვს და ამ ამბიციების გამო ამ ნაბიჯს ალბათ, ასე თუ ისე, გაგებით ხვდებიან.

იგივეს ვერ ვიტყვით გასულ კვირას "გაზპრომის" ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, რომელმაც მთელი ევროპა ააფორიაქა. განცხადებას წინ უძღოდა "გაზპრომის" მოლაპარაკებები ბრიტანული "სენტრიკას" შესყიდვის თაობაზე. "სენტრიკა" "ბრიტიშ გაზს" ფლობს, რომელიც ბრიტანეთში გაზის უმსხვილესი გამანაწილებელია. მოკლედ, "გაზპრომის" მცდელობები გასაგებია - ევროპისათვის ნედლეულის მიწოდება საკმარისი არ არის, საჭიროა ძველ კონტინენტზე ამ ნედლეულის განაწილებაც.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ "გაზპრომის" ამ ნაბიჯებს ევროპაში სერიოზული დაბრკოლებები შეხვედროდა, ეს კომპანია რომ წმინდა კომერციული მოტივებით მუშაობდეს. დაბრკოლებებს თავად რუსული მხარე ქმნიდა და ქმნის. 2005 წელს პრეზიდენტმა პუტინმა თავის მიმართვაში პარლამენტს უცხოური ინვესტიციების შეზღუდვისაკენ პირდაპირ მოუწოდა. ახლახან პუტინმა უარით გაისტუმრა ევროკომისიის ხელმძღვანელი ჟოზე მანუელ ბაროზო, რომელმაც მას კასპიური ენერგორესურსების ევროპაში ექსპორტისათვის ევროპული კომპანიების მიერ რუსული მილსადენების გამოყენება შესთავაზა. არადა, ამის სანაცვლოდ "გაზპრომი" ალბათ თავისუფლად შეაბიჯებდა ძველი კონტინენტის გამანაწილებელ ბაზარზე. პუტინის განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ რუსეთის ენერგორესურსებისადმი ამ შემთხვევაშიც ყველაფერი გადაწონა.

ნაკლებად სავარაუდოა "გაზპრომს" ამ მხრივ რაიმე სერიოზული პრობლემა შექმნოდა, რომ არა ახალ წელს უკრაინისათვის გაზის გათიშვა. ყოველივე ამან ბრიტანელები სერიოზულად დააფიქრა და ლონდონში სერიოზულად დაიწყეს მუშაობა, რათა "სენტრიკას" შესყიდვისათვის ხელი შეეშალათ (მიმდინარეობს კომპანიათა გაერთიანებების პროცედურების გადახედვა), რასაც "გაზპრომის" მხრიდან სრულიად არაადეკვატური რეაქცია მოჰყვა: "მცდელობები, ხელი შეუშალოთ "გაზპრომის" მოღვაწეობას ევროპულ ბაზარზე და გაზის მიწოდების საკითხების პოლიტიზირება მოახდინოთ, კარგს არაფერს მოიტანს," - ასეთი ტექსტით გამოვიდა კომპანიის ხელმძღვანელი ალექსეი მილერი რუსეთში ევროკავშირის ქვეყნების ელჩებთან შეხვედრის დროს და ძველი კონტინენტის დიპლომატებს შეახსენა, რომ რუსეთი გაზის ახალ ბაზრებსაც ითვისებს. გულისხმობდა ჩინეთს და ჩრდილო ამერიკას. "გაზპრომი", პრაქტიკულად, ევროპელებს გაზის გათიშვით დაემუქრა და რეაქციამაც არ დააყოვნა. ევროკომისია "გაზპრომის" არასაიმედოობასა და ენერგოწყაროების დივერსიფიკაციის აუცილებლობაზე ალაპარაკდა. ენერგეტიკის საერთაშორისო უწყებამ კი განაცხადა, რომ რუსების განცხადებამ ევროპელ პოლიტიკოსებს თვალი უნდა აუხილოს. ჩანს, ეს პროცესი დაიწყო კიდეც, რადგან ძველ კონტინეტზე აქტიურად შეუდგნენ ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის პერსპექტივების განხილვას. ცხადია, ყველას კარგად ესმის, რომ სანამ ჩინეთისათვის შეპირებული გაზსადენი აიგება და სანამ აშშ-სათვის თხევადი გაზის მიწოდება დაიწყება, კიდევ რამდენიმე წელი გავა და იქამდე ევროპას არანაირი გაზის გათიშვა არ ემუქრება. მაგრამ, თუკი "გაზპრომი" უკვე ამგვარ განცხადებებს აკეთებს, არავინ იცის რას მოიმოქმედებს იგი რამდენიმე წლის შემდეგ? ერთ ენერგოწყაროზე დამოკიდებულება თავისთავად სარისკოა, მითუმეტეს როცა ეს წყარო კრემლის მიერ კონტროლირებული კომპანიაა. ევროპელთა ბედად, "გაზპრომი" მუქარასა და შანტაჟს დროზე ადრე შეუდგა და ახლა ძველ კონტინენტს ენერგოწყაროების დივერსიფიკაციისათვის საკმარისი დრო აქვს.

"ცივი ომის დროსაც კი საბჭოთა კავშირი დასავლეთ ევროპის გაზით დაშანტაჟებას ვერ ბედავდა," - სინანულით აღნიშნავს რუსეთის ყოფილი ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ვლადიმირ მილოვი. "გაზპრომის" საქციელი მართლაც რომ არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება. თუმცა, დღევანდელი რუსეთი ხომ სსრკ არ არის. ეს უკანასკნელი მთელს მსოფლიოში მისი იდეოლოგიის - კომუნიზმის - გავრცელებას ცდილობდა და კეთილი და მოწყალე სახელმწიფოს როლს თამაშობდა. დღევანდელ რუსეთს კი მსოფლიო იდეოლოგობაზე პრეტენზია არა აქვს. ეს არის სახელმწიფო, რომლის ხელმძღვანელობას საბჭოთა კავშირის დანგრევა ტრაგედიად მიაჩნია, რომელიც რევანშზე ოცნებობს, რომელიც ენერგორესურსებზე მოთხოვნისა და ფასების ზრდასთან ერთად რაღაც ძალას გრძნობს და ახლა ამ ძალის დემონსტრირებას ცდილობს. როგორც არაერთხელ მომხდარა ისტორიაში, რუსეთი ძალის დემონსტრირებას ვერ ზომავს და ზედმეტი მოსდის ხოლმე. რუსეთი არ იცვლება...



*რუსეთი ძალის დემონსტრირებას ვერ ზომავს და ზედმეტი მოსდის ხოლმე.*

# ჯორჯ ბუში ნავთობის გაძვირებას ებრძვის

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში საწვავის ფასების გაზრდის მანიპულირებელი ფაქტების გამოძიებას იწყებს. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება გუშინ თეთრი სახლის წარმომადგენლება გააკეთეს. აღნიშნული ფაქტების გამოძიებაში მონაწილეობას აშშ-ს იუსტიციის სამინისტრო და ფედერალური სავაჭრო კომისიაც მიიღებს.

ჯორჯ ბუშის ბრძანება, პირველ რიგში გენერალურ პროკურატურას გადაეცემა. ფედერალური სავაჭრო კომისია კი დანარჩენ შტატების პროკურორებს შესაბამის შეტყობინებებს გადაუგზავნის, რომლის საფუძველზეც, ისინი საწვავის ბაზრებზე შექმნილ სიტუაციას გააკონტროლებენ. მონიტორინგის ამ ჯგუფს გარკვეულ დახმარებას ფედერალური ძალებიც გაუწევენ.

ამერიკის პრეზიდენტის პრესმდივანი აცხადებს, რომ ჯორჯ ბუშის ახალი ინიციატივა საწვავის ფასის დარეგულირების პროცესს დააჩქარებს. აღნიშნული გეგმა საწვავის ეკონომიურ მოხმარებასა და შიდა ბაზარზე ბენზინის მარაგის გაზრდასაც გაუწევს გარკვეულ აგიტაციას.

ბუშის წარმომადგენელი აცხადებს, რომ “აშშ-ს პრეზიდენტი საწვავის ღირებულების ასეთ ცვალებადობას ბოლოს მოუღებს. ამასთან, პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ ნავთობზე მოთხოვნილების ზრდა საკმაოდ აქტუალური პრობლემაა, თუმცა მისი მოგვარება ასეთ მოკლე დროში ვერ მოხერხდება.”

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამ დროისთვის, მსოფლიოში ნავთობის ყველაზე მსხვილ იმპორტიორად ითვლება. “ჩვენ უცხოურ ნავთობზე დამოკიდებულები აღარ უნდა ვიყოთ. მითუმეტეს არასტაბილური იმპორტიორებთან ურთიერთობას უნდა დავაღწიოთ თავი და ამ საკითხს მასიმალურად მოკლე დროში მოვაგვარებთ.”- აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი.

## Apache-მა BP-ის 18 საბადო შეიძინა

ამერიკის სიდიდით მესამე ნავთობკომპანიამ Apache Corp-მა British Petroleum PLS-ისაგან მექსიკის ყურეში მდებარე ნავთობის 18 საბადო 1,3 მილიარდ დოლარად იყიდა. ამერიკული მხარის განცხადებით, ეს შენაძენი საშუალებას მისცემს ყოველდღიურად 7,1 ათასი ბარელი ნავთობი, 1,5 ათასი ბარელი გაზოკონდესატი და 108 მილიონი კუბური ფუტი ბუნებრივი გაზი მოიპოვოს.

ეს გარიგება მეტად მოგებიანია Apache Corp-ისათვის, რომლის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ აპირებს 15 მილიონი თავისივე აქცია მილიარდ დოლარად გამოისყიდოს.

## რუსეთის ოქროსა და სავალუტო რეზერვმა 212 მილიარდი შეადგინა

რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის ინფორმაციით, ქვეყნის ოქროსა და სავალუტო რეზერვმა 212 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც 7 აპრილს გამოყვეყნებულ მონაცემზე 3,9 მილიარდი დოლარით მეტია.

რუსეთის ოქროსა და სავალუტო რეზერვი 2005 წლის 18 ნოემბრის შემდეგ, ანუ, უკვე ოთხნახევარი თვეა მატულობს. ამ ხნის განმავლობაში იგი 45 მილიარდი დოლარით, ანუ, 27,5 პროცენტით გაიზარდა და რუსეთის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის არსებობის ისტორიაში ახალ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

ამჟამად ოქროსა და სავალუტო რეზერვის მიხედვით რუსეთი მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა და ჩინეთს, იაპონიას, ტაივანს და სამხრეთ კორეას ჩამორჩება. თუმცა, სავარაუდოდ, ამ უკანასკნელს, რომლის მარაგი 216 მილიარდია, მალე უკან ჩამოიტოვებს.

## Red Digital -მა მსოფლიოში ყველაზე მაღალტექნოლოგიური ვიდეოკამერა გამოუშვა



კომპანია “Red Digital Cinema”-მ 2006 წლის NAB-ის საერთაშორისო გამოფენაზე, საზოგადოებას თავისი ბოლო ნამუშევარი, ახალი ციფრული ვიდეოკამერა წარუდგინა. როგორც კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, ვიდეკამერა, ამ მომენტისთვის, საერთაშორისო ბაზარზე ყველაზე მაღალტექნოლოგიური აპარატურაა. ახალ ვიდეოკამერას მწარმოებლებმა “Red One” დაარქვეს.

ახალი კამერის გადაღების სიჩქარე წამში 60 კადრია, მაშინ როცა, მისი წინამორბედები წამში მხოლოდ 30 კადრს იღებენ.

ახალი ვიდეოკამერის საერთაშორისო ბაზარზე გამოსვლის ზუსტი თარიღი ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა კომპანია “Red Digital”-ის წარმომადგენლები ფასზე უკვე შეთანხმდნენ. ახალი კამერა “Red One” 17500 დოლარი ეღირება.

## Toyota მსოფლიო ავტოწარმოებას ტექნოლოგიებით დაეხმარება

კომპანია “Toyota” ავტომობილების მაწარმოებელ კომპანიებთან თანამშრომლობას აპირებს. თუმცა მხოლოდ იმ ავტომწარმოებლებთან, რომლებსაც თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებაში გარკვეული სირთულეები აქვთ. აღნიშნული ალიანსის შესახებ პირველი ოფიციალური ინფორმაცია იაპონური კომპანიის მეთაურმა გაავრცელა.

“Toyota”-ს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კომპანია მზადაა ითანამშრომლოს იმ ავტომობილების ყველა მწარმოებელთან, რომლებსაც მაღალტექნოლოგიური პროდუქციის დამოუკიდებლად შექმნა არ შეუძლიათ. კომპანიის ხელმძღვანელს კონკრეტული კომპანია ჯერ ოფიციალურად არ დაუსახელებია, თუმცა განაცხადა, რომ ალიანსის ფარგლებში, ავტომწარმოებლებს ავტომობილების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ტელეკომუნიკაციის სისტემების სფეროში თავის გამოცდილებას უპრობლემოდ გაუზიარებს.

კომპანია “Toyota”-ს ამ დროისთვის, მსგავსი თანამშრომლობის გამოცდილება უკვე აქვს. გასული წლის შემოდგომას, კომპანიამ “Subaru”-ს აქციების პაკეტი შეიძინა და პერსპექტიული აგრეგატები მის ნაცვლად აწარმოა.

## ესპანური El Bulli - მსოფლიოს საუკეთესო რესტორანი

ფრანგული გაზეთის Le Figaro-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, რომელშიც მსოფლიოს 600 საუკეთესო მზარეული, განქმული კულინარიული კრიტიკოსები და უბრალოდ, ცნობილი გურმანები მონაწილეობდნენ, პლანეტის 50 საუკეთესო რესტორანი გამოვლინდა.

რეიტინგის პირველი ათეული ამგვარად გამოიყურება: 1. El Bulli (ესპანეთი), 2. The Fat Duck (დიდი ბრიტანეთი), 3. Pierre Garnaire (საფრანგეთი), 4. French Laundry (აშშ), 5. Tetsuya (ავსტრალია), 6. Bras (საფრანგეთი), 7. Restaurant Le Louis XV (მონაკო), 8. Per Se (აშშ), 9. Restaurante Arzak (ესპანეთი), 10. Mugaritz (ესპანეთი).

აღსანიშნავია, რომ ესპანურმა El Bulli-მა პირველი ადგილი ჯერ კიდევ 2002 წელს დაიკავა, როცა ამგვარი გამოკითხვა პირველად ჩატარდა. მას შემდეგ El Bulli-ის საპატიო სია არასოდეს დაუტოვებია.



# ბაზარზე ახალი მოთამაშე გაჩნდა

პირველი გვერდიდან

კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში გუშინ გამართულ აუქციონზე მე-3 თაობის მობილური კავშირგაბმულობის სიხშირე შპს "არგოტექსმა" 19 954 782 ლარად შეისყიდა. სიხშირის საწყისი ფასი 8 მილიონ 491 ათას 392 ლარი იყო.

აუქციონზე სს "არგოტექსს" კონკურენციას "ჯეოსელი" უწევდა. მობილური კავშირგაბმულობის კომპანია "ჯეოსელი" დამარცხდა, თუმცა აუქციონი ამ სიხშირეზე სწორედ მისი ინიციატივით გამოცხადდა. "არგოტექსმა" სიხშირეში კომისიას უფრო მეტი თანხა შესთავაზა.

აუქციონის პირობების თანახმად, "არგოტექსმა" სახელმწიფო ბიუჯეტში ლიცენზიის ღირებულების 30 პროცენტი უნდა გადარიცხოს. ლიცენზიას კომპანია მას შემდეგ მიიღებს, რაც კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში თანხის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს წარადგენს. თანხის 70 პროცენტი კომპანიამ ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში უნდა დაფაროს.

კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში აცხადებენ, რომ 2000 მეგაჰერც დიაპაზონში არსებული სიხშირეები ვიდეოგამოსახულების გადაცემას და ინტერნეტის მაღალ სიჩქარეს უზრუნველყოფს. კომპანია "არგოტექსი" ვალდებულებას იღებს, ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ საქართველოს ყველა რეგიონში, დროის სამწლიანი ინტერვალით, თითო გადამცემი დადგას. საგულისხმოა, რომ სს "არგოტექსს" აქამდე კომუნიკაციის სფეროში საქმიანობის ლიცენზია არ ჰქონდა. თუმცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ "არგოტექსი" კომპანია "სელფორდთან" ასოცირდება.

როგორც "პრაიმ-ნიუს ბიზნესს" საინვესტიციო ჯგუფ "სელფორდის" წარმომადგენელმა ირაკლი რუხაძემ განუცხადა, "სელფორდი" ახლადშექმნილი "არგოტექსის" დამფუძნებელი არ არის, თუმცა ამ კომპანიასთან კავშირი აქვს. რუხაძის ინფორმაციით, "არგოტექსის" დამფუძნებელი "სელფორდის" წარმომადგენელი ირინე ფაილოძეა.

კომისიის ცნობით, აღნიშნულ დიაპაზონში სიხშირეები 2005 წლის აგვისტოში გამართულ აუქციონზე "მაგთიკომმა" 20 მილიონ ლარად შეისყიდა. ამ ეტაპზე მობილური კავშირგაბმულობის ბაზარზე ორი კომპანია, "ჯეოსელი" და "მაგთიკომი" მოღვაწეობს. თუმცა, 2007 წელს ბაზარზე კიდევ ერთი კომპანია გამოჩნდება. მესამე GSM - ლიცენზია საქართველოში, რომელზეც პრეტენზიას რუსეთის მსხვილი ფიჭური კომპანიები აცხადებდნენ, "რუთავი 2"-ის მფლობელს ქიბარ ხალვაშს ერგო, რაშიც აჭარელმა ბიზნესმენმა ლიცენზიის ღირებულებაზე სამჯერ მეტი - 71,9 მლნ ლარი (39,9 მლნ დოლარი) გადაიხადა და აქამდე არსებული ყველა რეკორდი მოხსნა. ასეთი თანხა სიხშირეში არც ერთ კომპანიას არ გადაუხდია. კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ინფორმაციით, გაიყიდა ის სიხშირე, რომელიც თავის დროზე ამერიკულ-ქართულ "მეგაკომს" ეკუთვნოდა. კონკურსი სიხშირეზე 2005 წლის დეკემბერში გამოცხადდა. გამარჯვებულის გამოვლენის ძირითადი კრიტერიუმი მაქსიმალური ფასი იყო. ლიცენზიის საწყისი ფასი 4,2 მილიონ ლარს (2,3 მლნ დოლარი) შეადგენდა. ექსპერტების შეფასებით, ლიცენზიაში აჭარელმა ბიზნესმენმა საკმაოდ ძვირი გადაიხადა.

## საფონდო ბირჟაზე 190,106.49 ლარის ფასიანი ქაღალდი გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაზე წარმოდგენილი 7 კომპანიის აქციებიდან და 1 კომპანიის ობლიგაციებიდან სავაჭრო გარიგება დაიდო 2 კომპანიის საქართველოს ბანკისა და საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის აქციებზე. ასევე გარიგება დაიდო საქართველოს ბანკის ობლიგაციებზე (#GEBON). საქართველოს ბანკის აქციებზე დადებულმა გარიგებების საერთო მოცულობამ 153,934.10 ლარი, ხოლო გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის გაყიდული აქციების საერთო ღირებულებამ 33,534.00 ლარი შეადგინა. გარიგებების საერთო რაოდენობა იყო 23, ჯამური მოცულობა - 108,417 ფასიანი ქაღალდი, ხოლო ჯამური ღირებულება - 190,106.49 ლარი. განცხადებები ყიდვა-გაყიდვაზე იყო, აგრეთვე, ემიტენტების "გაერთიანებული ქართული ბანკის", "რეა ქართუს", სატრანსპორტო მშენებლობის სააქციო საზოგადოება "ტრანსმშენის, "საქწყალპროექტისა" და "რუსთავცემენტის" აქციებზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## BP Plc-ის მოგებამ 2006 წლის პირველ კვარტალში 17, 4 პროცენტით დაიწია

ერთ-ერთი უმსხვილესი ევროპული ნავთობის კომპანიის BP Plc (British Petroleum public limited company) სუფთა მოგებამ 2006 წლის პირველ კვარტალში 17, 4 პროცენტით დაიწია და 5,62 მილიარდი დოლარი შეადგინა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში 6, 66 მილიარდი დოლარი იყო დაფიქსირებული. 2005 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით (3,78 მილიარდი დოლარი) აღნიშნული მაჩვენებელი 50,7 პროცენტითაა გაზრდილი. BP-ის მიერ მოპოვებული ნავთობის მოცულობამ 2006 წლის პირველ კვარტალში დღეში 4,025 მილიონი ბარელი შეადგინა. გასული წლის მეოთხე კვარტალში ეს მაჩვენებელი 0,1 პროცენტით დაბალი იყო და დღეში 4,02 მილიონ ბარელს შეადგენდა, ხოლო იმავე წლის პირველ კვარტალში ნავთობის მოპოვების მაჩვენებელი დღეში 4,1 პროცენტს შეადგენდა. ბრიტანული კომპანია BP plc-ი ნავთობმომპოვებელი სფეროს დამფუძნებელთა რიცხვს მიეკუთვნება და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეწევა ნავთობის მოპოვებასა და გადამუშავებას. კომპანიას საწარმოო სიმძლავრეები გააჩნია მსოფლიოს 22 ქვეყანაში, ხოლო წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას 130 სახელმწიფოში ახდენს. კომპანიის ექსპერტების მონაცემებით, 2006 წლის პირველ კვარტალში ნავთობის საშუალო ფასი მსოფლიო ბაზარზე, ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 1,3-ჯერ გაიზარდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 26/04 | 27/04 | 28/04 |
|---|---|---|---|
| კიევი | 17 | 18 | 18 |
| რიგა | 17 | 17 | 16 |
| ვილნიუსი | 12 | 14 | 15 |
| მოსკოვი | 14 | 12 | 13 |
| მინსკი | 14 | 15 | 15 |
| პარიზი | 18 | 17 | 15 |
| რომი | 20 | 20 | 20 |
| ლონდონი | 11 | 15 | 14 |
| მადრიდი | 28 | 25 | 24 |
| ბონი | 16 | 16 | 15 |
| ვარშავა | 20 | 19 | 16 |
| ათენა | 22 | 20 | 20 |
| ბერნი | 15 | 11 | 13 |
| ამსტერდამი | 13 | 11 | 8 |
| ოსლო | 6 | 7 | 3 |
| ანკარა | 15 | 20 | 19 |
| ვარნა | 16 | 14 | 12 |
| დელი | 47 | 47 | 45 |
| ტოკიო | 22 | 14 | 20 |
| კოპენჰაგენი | 10 | 11 | 7 |
| ბაქო | 15 | 15 | 21 |
| ერევანი | 16 | 18 | 23 |
| ასტანა | 19 | 23 | 10 |
| ჰელსინკი | 10 | 11 | 6 |
| დუბლინი | 10 | 9 | 11 |
| ლისაბონი | 28 | 25 | 26 |
| პრაღა | 22 | 15 | 11 |
| სოფია | 21 | 18 | 16 |
| ბუდაპეშტი | 27 | 22 | 20 |
| ბუხარესტი | 17 | 18 | 18 |

# სომხეთი ქართველი მძღოლებისთვის საგზაო გადასახადს აუქმებს

### გაიაფდება თუ არა საავტომობილო გადაზიდვები ამ ქვეყანაში?

მარიამ ჭაჭვაძე

*სომხეთის ტრანსპორტის სამინისტრო ქართველი მძღოლებისთვის საგზაო ფონდის გადასახადს აუქმებს. მეზობელი ქვეყნის ხელისუფალთა გადაწყვეტილებით, უქმდება სატვირთო გადაზიდვებისთვის განკუთვნილი კვოტირებული ნებართვების სისტემა, რაც, ქართველი ექსპედიტორების თქმით, გარკვეულწილად გააიაფებს ტვირთების გადაზიდვას და მნიშვნელოვნად გაამარტივებს ორ სახელმწიფოს შორის საავტომობილო მიმოსვლას.*



*ხელშეკრულებას ირაკლი ჩოგოვაძემ და ანდრანიკ მანუკიანმა მოაწერეს ხელი.*

საქართველოსა და სომხეთს შორის საავტომობილო მიმოსვლის შესახებ ახალი შეთანხმება ოფიციალურად გუშინ გაფორმდა. ხელშეკრულებას საქართველოს მხრიდან ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ, ხოლო სომხეთის მხრიდან ტრანსპორტის მინისტრმა ანდრანიკ მანუკიანმა მოაწერეს ხელი.

უფრო დეტალურად: უახლოეს მომავალში უნდა გაუქმდეს სატვირთო გადაზიდვებისთვის განკუთვნილი კვოტირებული ნებართვების სისტემა, რაც შემდეგს გულისხმობდა: მთელი წლის განმავლობაში სომხეთის ხელისუფლების მიერ დაწესებული იყო კვოტები, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე გარკვეული რაოდენობის სატვირთო და სამგზავრო ავტომობილების უფასოდ შესვლას გულისხმობდა. მალე ეს კვოტები მოიხსნება და ყველა სახის ავტომობილი, მეზობელ სახელმწიფოში გადასვლის დროს, გათავისუფლდება საგზაო ფონდის გადასახადისგან. ამ გადასახადის განაკვეთები სომხეთის ტრანსპორტის სამინისტროს მიერ არის დაწესებული, რაც სამგზავრო და სატვირთო გადამზიდავებისთვის დაახლოებით 200-280 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს, ხოლო მსუბუქი ავტომობილის მფლობელები 18-20 დოლარს იხდიან.

რა ეკონომიკურ ეფექტს მოუტანს აღნიშნული გადასახადის გაუქმება საქართველოს და ვისთვის უფრო ხელსაყრელია ხსენებული გადაწყვეტილების მიღება?

ეკონომიკური განვითარების მინისტრის ირაკლი ჩოგოვაძის თქმით, აღნიშნული გადასახადების გაუქმება ორივე ქვეყნის სამგზავრო, სატვირთო გადამზიდველებს და მსუბუქი ავტომობილების მფლობელებს საშუალებას მისცემს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე განახორციელონ გადაზიდვები "როგორც საქართველოდან სომხეთში, ასევე პირიქით. ეს ნაბიჯი კი ორ ქვეყანას შორის ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს," - განმარტავს ჩოგოვაძე.

როგორც ირკვევა, ამ ეტაპზე საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც სომხეთმა საგზაო ფონდის გადასახადი მოუხსნა. სომხეთის ტრანსპორტის მინისტრის განმარტებით, სომხეთის მთავრობა ჩვენი ქვეყნისთვის საგზაო ფონდის გადასახადის გაუქმებით გამოეხმაურა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას, რომელმაც აღნიშნული გადასახადი როგორც სომხეთის, ასევე ყველა სხვა ქვეყნებისთვის 2005 წლის 1 იანვრიდან გააუქმა. "ასეთ ურთიერთობებს ყოველთვის დადებითი შედეგები მოაქვს. ჩვენი ამოცანაა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები გაღრმავდეს. საერთოდ, ტრანსპორტი და სატრანსპორტო მიმოსვლა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისთვის," - აღნიშნა ანდრანიკ მანუკიანმა.

"ეს ის ნაბიჯია, რომელიც სომხეთის მთავრობას დიდი ხნის წინათ უნდა გადაედგა. რა თქმა უნდა, ჩვენ მივესალმებით ამ გადაწყვეტილებას, რადგან ჩვენთვის, როგორც ექსპედიტორი კომპანიისთვის, კვოტებისა და გადასახადის გაუქმება ამარტივებს მიმოსვლას ამ ქვეყანაში," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს გადამზიდავი კომპანიის "კავკასტრანსექსპრესის" ფინანსურმა დირექტორმა ნიკო ზარდიაშვილმა. მისივე თქმით, საგზაო გადასახადის გაუქმებით, ახლო მომავალში მოსალოდნელია ტვირთების გადაზიდვების უმნიშვნელო გაიაფებაც. ზარდიაშვილის ვარაუდით, ერთ სატვირთო მანქანაზე ტვირთის გადაზიდვის ღირებულება 60-65 ლარით შემცირდება.

ფასის შემცირება კი, პირველ რიგში, იმ კომპანიებისთვის არის ხელსაყრელი, რომლებიც საქართველოდან (ან სხვა სახელმწიფოდან ჩვენი ქვეყნის გავლით) სომხეთში სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო პროდუქციის ექსპორტს ახორციელებენ.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოდან სომხეთში ექსპორტირებულმა პროდუქციის მოცულობამ 42 ათას ტონას გადააჭარბა, რომლის ღირებულება 12 მილიონ 500 ათას აშშ დოლარს შეადგენდა. ყველაზე ბევრი - 11 ათასი 300 ტონა (4 მილიონ 300 ათასი აშშ დოლარის ღირებულების) საქართველოდან სომხეთში შაქარი გავიდა. საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში შაქრის შემდეგ ხორბალი, სამკურნალო საშუალებები, საკვები პროდუქტები და ხე-ტყის მასალა ჭარბობს. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის დიდი ნაწილი საავტომობილო საშუალებებით არის გადაზიდული.

ერთი საინტერესო დეტალი: 2004 წელთან შედარებით, შარშან მეზობელ სომხეთში საქართველოდან გატანილი პროდუქციის მოცულობა თითქმის ორჯერ შემცირდა. თუკი გასულ წელს სომხეთში ექსპორტმა 133 ათას ტონა (40 მილიონი აშშ დოლარი) შეადგინა, 2004 წელს ეს მაჩვენებელი 227 ათას ტონას (55 მილიონ აშშ დოლარი) აღწევდა.

**P.S.** სომხეთსა და საქართველოს შორის მიღწეული შეთანხმება საგზაო ფონდის გადასახადის გაუქმების შესახებ მისი რატიფიცირების შემდეგ ამოქმედდება.





ვიზა ბარათის ყველა ფუნქცია

ბარათს აქვს ვიზა ბარათის ყველა შესაძლებლობა. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ იგი ყველგან, სადაც იყენებთ ვიზა ელექტრონზოლდ ბარათს.

ფასდაკლება სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში

ფასდაკლების პროგრამაში მონაწილე ობიექტებში იხდით საქონლის სრულ ღირებულებას, მეორე დღეს კი დახარჯული თანხის 5% უკან გიბრუნდებათ პლასტიკური ბარათის ანგარიშზე.
საქართველოს ნებისმიერ სავაჭრო ობიექტში „ვიზა-კომფორტით" ყოველი ანგარიშსწორებისას, გადახდილი თანხის 2%-ს საჩუქრად იღებთ სალაპარაკო წუთების სახით.

ბალანსის ავტომატური შევსება

აღარ გჭირდებათ მონო ბარათების შეძენა, რადგან მობილურის დეპოზიტი პლასტიკური ბარათის ანგარიშიდან ავტომატურად შეივსება თქვენ მიერ წინასწარ დაფიქსირებული თანხით (5-200 ლარი).

ასევე შეგიძლიათ გადაიხადოთ საუბრის ღირებულება ინტერნეტ ბანკით ან SMS-ით.
ყოველ გადარიცხვაზე თანხის 4%-ს მიიღებთ საჩუქრად სალაპარაკო წუთების სახით.

ვიზა კომფორტი VISA Comfort

დამატებითი უფასო სერვისები თიბისი ბანკისაგან (3 თვე):
- ავტომატური კომუნალური გადარიცხვები
- ანგარიშზე თანხის შეტანა ბანკომატით
- ინტერნეტ ბანკი
- SMS სერვისი

დამატებითი უფასო რეგისტრაცია მაგთიკომისაგან:
- WAP, GPRS, MMS მომსახურება
- ნომრის დაფარვისა და ავტოსწორის მომსახურება

ფასდაკლება ობიექტებში:

BOSS IBIS GPC TED LAPIDUS GMC Marco Polo Gentleman

ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელ: (995 32) 777 999 ან მობრძანდით თიბისი ბანკის ნებისმიერ ფილიალში


## Costa Ligure თბილისელებს იტალიურ პროდუქტს სთავაზობს



თბილისში, ვაშლოვანის ქუჩაზე, იტალიური პროდუქტის მაღაზია "Costa Ligure" გაიხსნა. ახალი მაღაზია თბილისელებს ნამდვილ იტალიურ პროდუქტს სთავაზობს. "costa Ligure"-ს ფილიალი თბილისში იტალიელმა ბიზნესმენმა დანიელე ვიალემ გახსნა.

მაღაზია მომხმარებლებს იტალიურ ჯემებს, სანელებლებს, ზღვის პროდუქტებისგან და წყალმცენარეებისგან დამზადებულ ეგზოტიკურ კერძებს, საუკეთესო ხარისხის მაკარონებს, "Baci"-ის ფირმის შოკოლადებსა და სხვა სახის იტალიურ პროდუქციას სთავაზობს. საკვები პროდუქტების ექსპორტს თბილისში სან-რემოს "costa Ligure" უზრუნველყოფს.

აღნიშნულ ფირმას მაღაზიები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქვს. ლონდონში, ნიუ-იორკში, მონტე-კარლოში "Costa Ligure"-ს ფირმის რესტორნებიც არსებობს. იტალიური პროდუქტის მაღაზიის გახსნის იდეა "Costa Ligure"-ს დამფუძნებელს

2005 წლის ოქტომბერში გაუჩნდა, მაშინ როცა სპორტის სასახლეში მსოფლიოში ცნობილმა იტალიელმა ბიზნესმენებმა ქართველ მომხმარებლებს საკუთარი პროდუქცია აჩვენეს.

"ჩვენ მაშინ ქართველებს ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქცია ვაჩვენეთ, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ამის შემდეგ გაგვიჩნდა სურვილი, რომ ჩვენი საფირმო მაღაზია თბილისშიც გაგვეხსნა. "Costa Ligure"-ს მაღაზიები მსოფლიოს მასშტაბით, თითქმის ყველა დედაქალაქში არსებობს და თანაც დიდი წარმატებებით სარგებლობს. მე მჯერა, რომ ქართველებსაც მოეწონებათ ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქტი. დიდი იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მთავრობა საშუალებას მოგვცემს უფრო დიდი ინვესტიციები ჩავდოთ და ჩვენი ბიზნესი კიდევ უფრო გავაფართოვოთ."- აცხადებს ფირმა "Costa Ligure"-ს დამფუძნებელი დანიელე ვიალე.

მაღაზიის ახალ-ახალი პროდუქტებით მომარაგებაზე თავად დანიელე ვიალე იზრუნებს და მის ხარისხზე გარანტიასაც თავად იძლევა. სამომავლოდ ის თბილისში პარტნიორ ბიზნესმენებთან ერთად იტალიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მაღაზიების გახსნასაც აპირებს.

## მაის-ივნისში რამდენიმე ფორუმი გაიმართება

საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელის ვასილ მანაგაძის განცხადებით, 4 მაისს Invest in Georgia დიდ ბრიტანეთში გაიმართება, სადაც ბრიტანელი ბიზნესმენების წინაშე წამყვანი ქართული კომპანიები წარდგებიან. მისივე თქმით, ივნისში მორიგი საინვესტიციო ფორუმი უკვე ისრაელში გაიმართება და ის, ძირითადად, ქართული ღვინის პოპულარიზაციას მიეძღვნება. მანაგაძის ინფორმაციით, ღვინის კომპანიების გარდა, ისრაელში სხვა პროდუქციის მწარმოებელი კომპანიებიც მიიღებენ მონაწილეობას, ქართული მხარე ისრაელში კულტურული პროგრამის ჩატანასაც გეგმავს. ივნისშივე დაგეგმილია ქართულ-სომხური ბიზნესფორუმის გამართვაც, რომლის ჩატარების ადგილი, მანაგაძის განმარტებით, უახლოეს დღეებში დაზუსტდება. **პრაიმ-ნიუსი**

## აშშ-ში გამოძიებას დაიწყებენ

თეთრის სახლის პრესმდივან სკოტ მაკკელანის განცხადებით, ჯორჯ ბუშმა იუსტიციისა და ენერგეტიკის სამინისტროებს დაავალა, დაინტერესდნენ აშშ-ში ბენზინის ბაზარზე შესაძლო მაქინაციებითა და უკანონო მანიპულაციებით. მაკკელანმა ასევე აღნიშნა, რომ სამშაბათს ჯორჯ ბუში გამოვა განცხადებით, რომელიც აშშ-ში საავტომობილო ბენზინზე მაღალ ფასებს მიეძღვნება. ცნობისათვის, 24 აპრილს აშშ-ში ბენზინზე საშუალო ფასი შეადგენდა 2,91 აშშ დოლარს გალონზე (3,7 ლიტრი) **ჯი-ეიჩ-ენი**

## ჩინეთი ნავთობის შეწყვეტისათვის ემზადება

ჩინეთმა გადაწყვეტილება მიიღო, აშშ-სა და ირანს შორის შესაძლო ომისთვის მოემზადოს და ამ შემთხვევისათვის ნავთობის მარაგების შექმნა დაიწყოს. ჩინეთმა საუდის არაბეთს სპეციალური გეგმა შესთავაზა, რომლის თანახმადაც, პეკინი განახორციელებს საუდის არაბეთიდან ნავთობის წინასწარ დამატებით შესყიდვას სპეციალური სახელმწიფო მარაგების შესაქმნელად. ეს განცხადება გამოწვეულია იმით, რომ ჩინეთს, კონფლიქტის გამძაფრების შემთხვევაში, ირანიდან ნავთობის მოწოდების შეწყვეტის ეშინია. **ჯი-ეიჩ-ენი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ინტელექტუალური მომსახურეობის - გაერთიანებული სადისპეჩერო ცენტრის მოწყობის სამუშაოებისათვის აუცილებელი, საპროექტო სამუშაოების შესყიდვაზე ერთ ლოტად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს:

I ლოტი - გაერთიანებული სადისპეჩერო ცენტრის პროექტირება.

1. ტენდერში შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა. სატენდერო კომისიაში პირველადი სატენდერო წინადადების წარმოდგენა ხდება დახურულ კონვერტში, რომელიც უნდა შეიცავდეს შესასრულებელი სამუშაოს ზოგად აღწერას ღირებულებების მითითების გარეშე.
2. მომსახურების მოწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე
3. E მოწოდების ადგილი ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15.

- დაინტერესებულმა პირებმა პირველადი სატენდერო წინადადება საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 17 მაისს 9 00 საათიდან 18 00 საათამდე ზემოხსენებულ მისამართზე, სატენდერო კომისიის აპარატში.

შესყიდვებში მონაწილის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტაცია და ბეჭდვითი ლიტერატურა შეიძლება შედგენილი იყოს ასევე, უცხო ენაზე, ოღონდ იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილების ზუსტი თარგმანი ქართულ ენაზე, რომელიც სათანადო წესით იქნება დამოწმებული ნოტარიუსის მიერ. საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა ევალებათ აგრეთვე სუბკონტრაქტორებს, თუ ისინი ჩართული იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროცესში.

- სხვა ინფორმაციას, რის წარმოდგენასაც საჭიროდ ჩათვლის პრეტენდენტი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად ამავე ვადებში წარმოდგენილი უნდა იქნას პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე დახურულ კონვერტში, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- ინფორმაცია პროექტზე დაკავებული ინჟინერ ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ;
- ინფორმაცია პროექტზე დაკავებული სხვა მუშა მოსამსახურეთა კვალიფიკაციის შესახებ;
- ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური საშუალებების შესახებ;
- ინფორმაცია ორგანიზაციის გამოცდილების შესახებ ანალოგიური პროექტების შედგენაში, არანაკლები ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში;
- სხვა ინფორმაცია, რის წარმოდგენასაც საჭიროდ ჩათვლის პრეტენდენტი.

4. შემსყიდველი ორგანიზაცია ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების დროს, ჯერ განიხილავს წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებს და პირველად სატენდერო წინადადებებს და განსაზღვრავს პრეტენდენტებს. პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასების დროს.

5. მე-II ეტაპში გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია შეათანხმოს შპს "საქართველოს რკინიგზის" შესაბამის სამსახურებთან და საპროექტო დოკუმენტაცია მოამზადოს საქართველოს მოქმედი კანონის: "საპროექტო-სამშენებლო ობიექტების სახელმწიფო ექსპერტიზის გავლის შესახებ" კანონის მიხედვით დამტკიცებული წესით წარსადგენად.

6. ტენდერის I ეტაპის დასრულების ვადას და II ეტაპის ჩატარების ვადებს სატენდერო კომისია განსაზღვრავს პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვის შემდეგ.

7. სალიკვიდაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

7.1. - იურიდიული პირისათვის:

ა) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას, რომ არ ხორციელდება კომპანიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე.

7.2. - ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

7.3. - როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა) ტენდერში მონაწილის მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია, სატრანსპორტო სახეობების დაპროექტების ნებართვით, კერძოდ, რკინიგზის ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების;

ბ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ.

7.4. - უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული ან ფიზიკური პირების მიერ 7.1, 7.2 და 7.3 "ა" ქვეპუნქტით პუნქტებით მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაციის გაცემის უფლებამოსილების მქონე დაწესებულებიდან. წარმოდგენილი დოკუმენტაცია თარგმნილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მის მიერ წარმოდგენილი ძირითადი სატენდერო წინადადება არ შეფასდება, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-7 და 7.3 პუნქტით მოთხოვნილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

9. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის N3407003205, და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

10.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიან მიიღონ შემდეგი პირისაგან: მინდია შეთეკაური, საკონტაქტო ტელეფონი 56-33-51

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფთიზიატრიული დახმარების კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:.

I ლოტი: DOTS - სოციალური მეურვეობის სამსახური ქ. თბილისში;

II ლოტი: რეფერენს კონტროლი;

III ლოტი: პროგრამის ზედამხედველობა.

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 11 მაისის 10 საათიდან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) I და II ლოტებში მონაწილეობის მსურველმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ლიცენზია, (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართებისა და ბარათების წარმოდგენით;

გ) II ლოტში მონაწილეობის მსურველმა ჰიგიენური სერთიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე და საკვალიფიკაციო მონაცემები წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) მონაწილე პირის დასახელება და იურიდიული რეკვიზიტები;

გ) მომსახურების აღწერილობა, გასაწევი მომსახურების ვადები და შედეგები;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ე) ინფორმაცია აღნიშნული მომსახურების სფეროში არსებული გამოცდილების შესახებ;

ვ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) I და II ლოტში მონაწილეობის მსურველმა დამატებით უნდა წარმოადგინოს პროგრამის მიხედვით მოსამსახურებელ პაციენტთა შესაძლო მაქსიმალური რაოდენობა.

თ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

9. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

10. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ სატენდერო წინადადებების წარმომდგენ პირებს.

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გადაცემა მოხდება 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შემდეგ ანგარიშზე: ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144. მეექვსე სართული, ოთახი 608.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ თითოეულ ლოტში წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე ტელ.: 696590, 694871, მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; ტელ.: E-mail: **Procurement@susif.ge**.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ღია აუქციონის ჩატარების შესახებ

**სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" (შემდგომში *გამყიდველი*) აცხადებს ღია აუქციონს მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე.**

გამყიდველის მისამართი: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა N68

აუქციონის "რეგისტრატორი"

**ელენე ქავთარაძე**

საკონტაქტო ტელეფონი: მობ: 8 77 46 01 45

ფაქსი: 33 23 15

გამყიდველის საბანკო რეკვიზიტები:

სს "ბანკი რესპუბლიკა"

ანგარიშის N 000 700 499

ბანკის კოდი: 220 101 757

"ბეს" გადახდა წარმოებს ზემოთ აღნიშნულ ანგარიშზე

**აუქციონი გაიმართება 2006 წლის 19 მაისიდან 20 დღის ვადაში. აუქციონის ჩატარების დღე და საათი წერილობით ეცნობებაბთ აუქციონის მონაწილეებს.**

გასაყიდი ქონება:

**1.** სასტუმროს ტიპის შენობა მცხეთის რაიონის სოფელ წინამძღვრიანთკარში. შენობა არის კაპიტალური და ექსპლუატაციაში შევიდა 1973 წელს. შენობა არის 4 სართულიანი (სარდაფი, პირველ სართულზე სასადილო და ადმინისტრაციული ობიექტები, 3 სართული ძირითადი საცხოვრებელი, სახურავზე ღია ვერანდა). ასევე მიწისქვეშა ორი ობიექტი (ერთსართულიანი და ორსართულიანი) გვირაბით დაკავშირებულია ძირითად შენობასთან. საქვაბე, სატრანსფორმატორო, სადარაჯო და წყლის აუზი.

I სართული - 640 კვ.მ.

II სართული - 568 კვ.მ.

III სართული - 508.52 კვ.მ.

IV სართული - 464.62 კვ.მ.

მანსარდა - 150.08 კვ.მ.

სარდაფი - 665.11 კვ.მ.

მიწისქვეშა ერთსართულიანი ობიექტის საერთო ფართობია - 730 კვ.მ.

მიწისქვეშა ორსართულიანი ობიექტის საერთო ფართობია - 1868.73 კვ.მ., აქედან პირველი სართულის ფართობია 884.73 კვ.მ., ხოლო მეორე სართულის ფართობია 984 კვ.მ.

საქვაბე - ფართობი 143 კვ.მ.

ელ. გამანაწილებელი - ფართობი 40.40 კვ.მ.

სადარაჯო - ფართობი 36 კვ.მ.

აქტივზე დამაგრებული მიწის ფართობი შეადგენს 3,018 კვ.მ. სულ მიწის ფართობი შეადგენს 22,059 კვ.მ.

**ზემოთ აღნიშნული გასაყიდი ქონების საწყისი ფასია 330 643 აშშ დოლარი.**

**2.** ავტოსარემონტო სახელოსნო მცხეთის რაიონის დაბა ზაჰესში (საბაჟო ტერმინალის უკან). ავტოსახელოსნო არის კაპიტალურად ნაშენები. Mმიწის მთლიანი ფართობია 3,018 კვ.მ. შენობა-ნაგებობები: 11 ბოქსი და ერთსართულიანი ადმინისტრაციული შენობა. შენობა-ნაგებობების მთლიანი ფართობი შეადგენს 1,227.81 კვ.მ. (სასარგებლო ფართი 838.73 კვ.მ.) ავტოსახლოსმნო ექსპლუატაციაში შევიდა 1977 წელს. Kკომუნიკაციები მთლიანად მიყვანილია. ამჟამად ავტოსახელოსნო არის კაპიტალურად სარემონტო. ავტოსახელოსნოში ცხოვრობს 2 დევნილი ოჯახი.

**ზემოთ აღნიშნული გასაყიდი ქონების საწყისი ფასია 36 646 აშშ დოლარი.**

**3.** სასტუმროს ტიპის ორსართულიანი შენობა ქ. თბილისში, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა N12/7. სასტუმრო მდებარეობს საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციასთან, თბილისის ისტორიულ ნაწილში და განეკუთვნება ისტორიულ შენობათა კატეგორიას. სასტუმროს მიერ დაკავებული მიწის მთლიანი ფართობი შეადგენს 421 კვ.მ. შენობის მთლიანი ფართობია 335 კვ.მ. (39 ოთახი). საჭიროებს საფუძვლიან რემონტს. შენობაში დროებით ცხოვრობს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ორგანიზაციის ყოფილ თანამშრომელთა ათი ოჯახი.

**ზემოთ აღნიშნული გასაყიდი ქონების საწყისი ფასია 201 000 აშშ დოლარი.**

განცხადებების მიღების ვადა

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა (შემდგომში *პრეტენდენტებმა*) განცხადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 19 აპრილიდან 2006 წლის 19 მაისის 17 საათამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები აღარ მიიღება.

აუქციონში მონაწილეობის პირობები

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

**1.** განცხადება;

**2.** "ბეს" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი გასაყიდი ქონების საწყისი ფასის 1%-ის ოდენობით;

**3.** პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

თუ აუქციონში მონაწილე იურიდიული პირია, მან დამატებით უნდა წარმოადგინოს:

**1.** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან გაცემული საგადასახადო სამსახურის მიერ;

**2.** ყადაღის ცნობა გაცემული საჯარო რეესტრის მიერ;

**3.** ცნობა გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოების შესახებ სასამართლოდან;

**4.** ცნობა იმის შესახებ, რომ არ მიმდინარეობს რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციის პროცესი.

პრეტენდენტის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

**1.** ობიექტის დასახელებას, რომლის შეძენასაც აპირებს პრეტენდენტი;

**2.** ზოგად ინფორმაციას პრეტენდენტის საქმიანობის შესახებ;

პრეტენდენტმა, რომელსაც სურს მიიღოს მონაწილეობა რამოდენიმე ობიექტის შეძენაში, უნდა გადაიხადოს "ბე" ცალ-ცალკე ყველა ობიექტისათვის.

თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები აკმაყოფილებს გამყიდველის მიერ "აუქციონში მონაწილეობის პირობები"-თ დადგენილ მოთხოვნებს, მას მიეცემა "აუქციონში მონაწილის ბილეთი" (შემდგომში *მონაწილე*).

ყველა შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ გადახდილი "ბე"-დან 100 ლარი რჩება გამყიდველს, აუქციონის ორგანიზაციული ხარჯებისთვის.

პრეტენდენტის მიერ "ბე"-ს სახით გადახდილი თანხა, მისი აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, ჩაითვლება აუქციონზე შეძენილი ქონების ღირებულებაში.

პრეტენდენტებს, რომლებიც ვერ მოახერხებენ ღია აუქციონში გამარჯვებას, დაუბრუნდებათ მათ მიერ "ბე"-ს სახით გადახდილი თანხა, 100 ლარის გამოკლებით.

აუქციონის ჩატარების წესი

მონაწილე აუქციონის დაწყებამდე შედის დარბაზში, წარუდგენს მონაწილის ბილეთს აუქციონის რეგისტრატორს და იღებს სპეციალურ დაფას, რომლის ნომერიც შეესაბამება მის ბილეთზე აღნიშნულ ნომერს. G

გამყიდველი ადარებს გაცემული ნომრიანი დაფების რაოდენობას შემოსული განცხადებების რაოდენობასთან, რითაც აზუსტებს რამდენი მონაწილე ესწრება თითოეულ ვაჭრობას.

აუქციონს ატარებს მეაუქციონე.

თითოეულ ობიექტზე ვაჭრობის დაწყებისას მეაუქციონე აცხადებს გასაყიდი ქონების დასახელებას, შემდგომ საწყის ფასს.

აუქციონზე ვაჭრობის დასაწყისად ითვლება საწყისი ფასის გამოცხადების მომენტი, რომელიც ფიქსირდება დროის აღნიშვნით. ვაჭრობის მიმდინარეობის დროს დაუშვებელია აუქციონში მონაწილეთა დარბაზში გადაადგილება.

მონაწილე, რომელსაც სურს საწყისი ფასიდან დაიწყოს ვაჭრობა, სწევს თავის ნომერს, ისე, რომ თვალსაჩინო იყოს მეაუქციონისათვის. თუკი ფასის სამჯერ გამოცხადებამდე დასახელდება მომდევნო ფასი, მეაუქციონე აფიქსირებს მას და სთხოვს მონაწილეებს გააგრძელონ ვაჭრობა, სანამ რომელიმე მონაწილე არ დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს. Aამის შემდეგ, გასაყიდი ქონება ითვლება გაყიდულად იმ მონაწილეზე, ვინც შესთავაზა გამყიდველს ყველაზე მაღალი ფასი.

სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელში ასახული უნდა იყოს ვაჭრობის მსვლელობა და შედეგი. Oოქმი ინომრება ქრონოლოგიური მიმდევრობით და ხელს აწერს "მყიდველი", "მეაუქციონე", მდივანი და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე.

აუქციონში გამარჯვებულმა საჯარო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ უნდა წარუდგინოს აუქციონის მდივანს მონაწილის ბილეთი და ხელი მოაწეროს აუქციონის შედეგების ოქმს.

აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ პირს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი "ბე" არ უბრუნდება. იმ ქონებაზე, რომლის მყიდველსაც ჩამოერთვა გამარჯვებულის სტატუსი, აუქციონი გაიმართება დაუყოვნებლივ, იმავე დღეს.

იმ შემთხვევაში, თუ აუქციონი არ შედგა, იმ მიზეზით, რომ აუქციონის მონაწილეები ესწრებოდნენ აუქციონს და არ მიიღეს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა, დგება არშემდგარი აუქციონის ოქმი და მონაწილეებს შეტანილი "ბე" არ უბრუნდებათ.

აუქციონის შედეგების ოქმი და სრული დოკუმენტაცია გადაეცემა გამყიდველს დასამტკიცებლად, რაც მტკიცდება 7 დღის ვადაში. ხსენებული ვადის გასვლიდან ათი დღის ვადაში, გამყიდველსა და მყიდველს შორის ფორმდება შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება. მყიდველის მიზეზით, თუ ათი დღის ვადაში არ გაფორმდა სათანადო ხელშეკრულება, მის მიერ "ბე"-ს სახით გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

მყიდველი ვალდებულია, შეძენილი ქონების მთლიანი ღირებულება გადაიხადოს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მომენტში.

**მყიდველი ვალდებულია დააკმაყოფილოს გასაყიდ ობიექტებში მცხოვრები პირები.**

# განცხადება

## შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს ტენდერს ავეჯის შესყიდვის მიზნით

**დაფინანსების წყარო:** საწარმოს სახსრები.
**შესყიდვის ობიექტი.**

| | საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| | **საძინებელი** | |
| 1 | ორადგილიანი საწოლის კომპლექტი 200-200 | 2 |
| 2 | ერთადგილიანი საწოლის კომპლექტი 100-200 | 4 |
| 3 | ტუმბო 50-50-40 | 8 |
| 4 | კარადა სამგანყოფილებიანი 150-60-205 | 4 |
| 5 | საწერი მაგიდა 120-75-60 | 2 |
| 6 | ტრილიაჟი 120-75-60 | 4 |
| 7 | სავარძელი | 12 |
| 8 | ჟურნალის მაგიდა 80-60-45 | 4 |
| 9 | დეკორატიული სარკე | 2 |
| | **შემოსასვლელი** | |
| 1 | მაგიდა | 3 |
| 2 | სკამი | 12 |
| 3 | ნაჭრის სამეული | 3 |
| 4 | სარკე 200-200 | 2 |
| 5 | ჟურნალის მაგიდა 80-60-45 | 3 |
| | **საკონფერენციო დარბაზი** | |
| 1 | საკომფერეციო მაგიდა 50 კაცზე ხის | 1 |
| 2 | ხის ზურგიანი სკამი | 50 |
| 3 | ნაჭრის სამეული | 2 |
| 4 | ჟურნალის მაგიდა 80-60-45 | 2 |

შესასყიდი საქონელი მოწოდებული უნდა იქნეს ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადებიდან 80 დღის განმავლობაში.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

სამუშაოთა ღირებულება უნდა შეიცავდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

სატენდერო დოკუმენტაცია **ქართულ ენაზე** პრეტენდენტებს გადაეცემათ მოთხოვნისთანავე, მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის (200 ლარი) გადახდის შემდგომ, მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N64. შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა", III სართული, ოთახი N328, სატენდერო კომისიის აპარატი, 15 მაისის 18 საათამდე.

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**

მიმღები ხაზინის ერთიანი ანგარიში (არასაგადასახადო, ვაკე-საბურთალოს რაიონი) ანგ.DN200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300044040. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი)

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეებმა ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით). საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთად ერთ დალუქულ პაკეტში ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. N64, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" III სართული, ოთახი N328, სატენდერო კომისიის აპარატი.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები მიიღება 16 მაისიდან 22 მაისის 16.00 საათამდე:

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის შესახებ, ანგარიშსწორების ანგარიშს, საკონტაქტო ტელეფონებს.

პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 22 მაისის 16.30 საათზე. პრეტენდენტებს უფლება აქვთ დაესწრონ გახსნის პროცესს.

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
4. სატენდერო დოკუმენტაციის წარმომდგენი უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი.

**ფიზიკური პირებისათვის**:

1. ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
3. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა. (ცნობა საგადასახადოდან რეგისტრაციის შესახებ;
4. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;

მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ბაზარზე მუშაობის გამოცდილების შესახებ.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დალუქული კონვერტით. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**დამატებითი ინფორმაცია**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე ქ.Dთბილისი, ი.Dჭავჭავაძის გამზ. N64, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" III სართული, ოთახი N328.

საკონტაქტო პირი გიორგი შარკოვი. ტელ: 91-60-79, 899 35-55-35

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ს/ს ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრის საკუთარი შემოსავლებისა და დაფინანსების წყაროს ფარგლებში საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს საავადმყოფოს საჭიროებისათვის მედიკამენტების, დამხმარე მასალებისა და ლაბორატორიული საშუალებების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:

| ლოტის № | დასახელება |
|---|---|
| 1 | ანტიბიოტიკები |
| 2 | ხსნარები, ერთჯერადი და მრავალჯერადი დანიშნულების საგნები |
| 3 | სანარკოზო და ფსიქოტროპული დანიშნულების მედიკამენტები |
| 4 | სხვადასხვა დასახელების მედიკამენტები (ამპულები, აბები) |
| 5 | რეაქტივები ლაბორატორიული კვლევისათვის |
| 6 | ნარკოტიკები |
| 7 | სამედიცინო აირები |
| 8 | სისხლი და სისხლის შემცველი კომპონენტები |
| 9 | სადეზინფექციო და ანტისეპტიკური საშუალებები |

შესყიდვის ობიექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დანართებში.

3. საქონლის მოწოდების პირობები: საქონლის მოწოდება განხორციელდება ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2006 წლის მაისიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე. ანაზღაურება კონსიგნაციით.

4. მიწოდების ადგილი: ქუთაისი ჯავახიშვილის 85. ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქულ პაკეტში 18 მაისის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქუთაისი ჯავახიშვილის ქ. № 85 ს/ს ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი. წინადადების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 18 მაისს 14 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონების ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ლიცენზია სამედიცინტო ტექნიკური ნაკეთობის რეალიზაციაზე;

დ) ლიცენზია მედიკამენტებისა და სამკურნალო საშუალებების რეალიზაციაზე;

ე) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების შესაბამისად უფლებამოსილი ორგანიზაციიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

9. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

12. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები ბანკი გაერთიანებული ქართული ბანკის ქუთაისის ფილიალი ანგ. № 12693602 კოდი 220101605 საიდენტიფიკაციო № 212674738 (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 15 მაისამდე შემდეგ მისამართზე: ქუთაისი ჯავახიშვილის ქ. 85. ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი.

13. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

14. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით.

15. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი 2%-ის ოდენობით.

16. ტენდერში მონაწილე მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: თეიმურაზ ნადირაძე, მარინა ქენქაძე. მისამართი: ქ. ქუთაისი ჯავახიშვილის ქ. 85. ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი. ტელ: 8231 7-70-40, 899 56-16-11.

**ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრის დირექტორი თ. ნადირაძე**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** შპს "თბილწყალკანალი", იურიდიული მისამართით: თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33 აცხადებს ღია ტენდერს ქ. თბილისში **ქ. თბილისში ლომთათიძის, ილურიძის და ჯავის ქუჩების მიმდებარე დასახლების წყალმომარაგების გაუმჯობესების სამუშაოების შესასყიდად.**

პროექტი ითვალისწინებს აღნიშნულ ქუჩებზე წყალსადენის მაგისტრალური ქსელის შეცვლას, წნევის დამგდები დამატებითი რეზერვუარის მშენებლობას და დასახლების წყალმომარაგების საერთო სქემის კორექტირებას. ახალი წყალსადენის ქსელი სრულდება სხვადასხვა დიამეტრის ფოლადის მილებით.

2. სამუშაოების დასრულების სასურველი ვადაა: **45 დღე** ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან.

3. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია ანალოგიური სახისა (წყალსადენის მოქმედი ქსელების სარეკონსტრუქციო სამუშაოები) და მოცულობის სამუშაოების შესრულების, სულ მცირე 3 (სამი) წლის გამოცდილება

4. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადებები , ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 11 მაისის 10:00 საათიდან, **17 მაისის 10 საათიდან - 15:00 საათამდე**, შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, ოთახი N28.**

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეუძლიათ მისამართზე: **ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, ოთახი N28; 2006 წლის 16 მაისის 17:00 საათამდე**

სატენდერო მოსაკრებელის ჩაირიცხვის რეკვიზიტებია:

მიმღები:

**შპს "თბილწყალკანალი";**

**ს/კოდი: 203826002;**

**ა/ა: N900467730;**

**ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;**

**კოდი: 2200101502.**

6. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთხსენებულ მისამართზე შემდეგი პირებისაგან:

ა) სატენდერო პროცედურასთან დაკავშირებით:

**ზურაბ ღონღაძე,**
ტელ/ფაქსი: **93 28 25;**
ელ. ფოსტა: **zgongadze@twu.water.ge**

ბ) საპროექტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით

**ქეთევან კაციტაძე,**
ტელ: **99 67 82;**
ელ. ფოსტა: **kkatsitadze@twu.water.ge**

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** შპს "თბილწყალკანალი" აცხადებს ღია ტენდერს **ექსკავატორ-დამტვირთველების და მობილური საკომპრესორო დანადგარების** შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებლებია:

***ლოტი N1.* ექსკავატორ-დამტვირთველი (ნამუშევარი), ორი ცალი:**

- გამწევი თვლები - 4X4;
- საწვავი - დიზელი;
- მართვის სისტემა - ჰიდრავლიკური;
- ექსკავატორის ციცხვის მოცულობა - არანაკლებ 0,3 კუბ.მ;
- დამტვირთველის ციცხვის მოცულობა - არანაკლებ 0,5 კუბ.მ
- დამტვირთველის აწევის მინიმალ. სიმაღლე - 2.5 მ;
- ექსკავატორის ისრის მობრუნების მინიმალური კუთხე - 170 გრად;
- ციცხვის ჩაწვდომის მინიმალ. სიღრმე - 5 მეტრი;
- ციცხვის პარალელური გადაადგილების საშუალება- მინ. 1 მ;
- დამატებითი საბჯენები - მინ. 2 ერთეული;
- ნამუშევარი მანქანა/საათების მაქსიმალური ოდენობა - 5000 მ/სთ;
- მაქსიმალური ხანდაზმულობა - 6 წელი (მექანიზმი არ უნდა იყოს გამოშვებული 2000 წელზე ადრე).

***ლოტი N2.* მობილური საკომპრესორო დანადგარები, (ნამუშევარი), ორი ცალი:**

- წარმადობა - მინ. 5კბ.მ/წთ.
- წნევა - 7-12 ატმ.
- ჭავლსადენების მინიმალური რაოდენობა - 2 ერთეული;
- საწვავი - დიზელის;
- ნამუშევარი მანქანა/საათების მაქსიმალური ოდენობა - 2500 მ/სთ;
- მაქსიმალური ხანდაზმულობა - 6 წელი (მექანიზმი არ უნდა იყოს გამოშვებული 2000 წელზე ადრე).

**2.** მიწოდების სასურველი ვადაა 45 დღე. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ერთდროულად. დასაშვებია, აგრეთვე ეტაპობრივი მოწოდება შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

**3.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 15 მაისის 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ა/ა: N900467730;

ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;

კოდი: 220101502.

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის **16 მაისის 10 სთ-დან - 15[00] სთ-მდე**, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1** იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ინფორმაცია უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური საქონლის მოწოდების შესახებ დამკვეთისა და ღირებულების მითითებით.

**6.2** ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

გ) ინფორმაცია უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური საქონლის მოწოდების შესახებ დამკვეთისა და ღირებულების მითითებით

